<b>Сопио Асанидзе</b> Правовые аспекты борьбы с легализацией незаконных доходов (отмывания денег) в Грузии.....	65
<b>Сопио Горгишели</b> Коррупция в политических кругах .....	71
<b>Саломе Адеишвили</b> Практика Верховного суда Грузии, связанная с организованной преступностью.....	76
<b>Сопио Асанидзе</b> Международная практика борьбы с отмыванием денег .....	80
<b>Анна Гахария, Анна Табатадзе, Саломе Читаладзе</b> Система исполнения наказаний в отношении несовершеннолетних .....	84
<b>Мариам Кумариташвили, Нино Джафарашвили, Димитри Деканоцишвили, Лили Бурзгла</b> Исследование преступности среди несовершеннолетних (употребление марихуаны) методом интервьюирования .....	88
<b>Георгий Папкиаури, Торнике Цицкишвили, Сопо Бекаури, Майя Бидзинашвили</b> Преступность среди несовершеннолетних и общественное мнение .....	97
<b>Малхаз Бадзагуа</b> Рецензия-заключение по докторской диссертации г-жи Ии Дадунашвили на	

тему: «Доступность правосудия жертв/потерпевших торговли людьми (трефикинга) и право справедливого суда» .....	103
<b>Зураб Чхаидзе</b>	
Правоохранительным структурам необходимы реальные реформы .....	107
<b>Гурам Гветадзе</b>	
Отрывки из книги «Шкатулка с воспоминаниями генерала», трагедия семьи Апасидзе; дело Солико Хабеишвили в различном ракурсе .....	110
<b>Джемал Гахокидзе</b>	
Отрывки из книги "На волосяном мосту" борец со злом - монолог о следственном деле .....	123
<b>Наши поздравления</b> .....	128
<b>Статистика преступлений в Грузии в 2003-2013гг. (Этапы развития и хронология)</b> .....	133



## CONTENTS

<b>Introduction for 7<sup>th</sup> and 8<sup>th</sup> Edition of Journal “Criminologist”</b> .....	16
<b>Open Letter to Mr. Irakli Gharibashvili, Minister Of Internal Affairs of Georgia</b> .....	28
<b>Cooperation Memorandum by and between Grigol Robakidze University, Georgian Technical University, Batumi Shota Rustaveli State University and The Centre of Study and Prediction of Crime</b> .....	29
<b>Anzor Gabiani</b> Reviving judicial power castrated by Saakashvili’s abusive regime is the primary task of Georgian People .....	31
<b>Jemal Gakhokidze</b> Legal and Political Aspects of frozen conflicts (based on so called Ergneti market).....	40
<b>Malkhaz Badzagua, Mikheil Badzagua</b> Criminological aspects of Safety of Tourism .....	46
<b>Givi Abashidze</b> Counter-terrorism and the fight against organized crime, according to the National Security Concept.....	53
<b>Mikheil Badzagua</b> Problems of Modern Criminological Thought in Georgia.....	57
<b>Sopho Midelashvili</b> Some of the aspects of Tagliavini Commission Conclusion.....	60
<b>Sophio Asanidze</b> Legal Aspects for fighting against Legalization (money laundering) of illegal income in Georgia .....	65
<b>Sophio Gorgisheli</b> Corruption in Political Sphere .....	71
<b>Salome Adeishvili</b> Practice of Supreme Court of Georgia related to Organized Crime .....	76
<b>Sophio Asanidze</b> Legal aspects of the fighting against money laundering in Georgia.....	80
<b>Ana Gakharia, Ana Tabatadze, Salome Chitiladze</b> Criminological Studies in Juvenile Penitentiary System.....	84
<b>Mariam Kumaritashvili, Nino Japharashvili, Dimitri Dekanozishvili, Lili Burzгла</b> Study of Juvenile Crime (Marihuana Use) through interview.....	88
<b>Giorgi Papkiauri, Tornike Tsitskishvili, Sophio Bekauri, Maia Bidzinashvili</b> Juvenile Crime and Public Opinion.....	97
<b>Malkhaz Badzagua</b> Review-Conclusion on Mrs. Ia Dadunashvili’s Doctorial Dissertation – “Availability of the Justice for Victims of Trafficking and Right of Fair Trail .....	103
<b>Zurab Chkhaidze</b> Law-enforcement bodies are in need of real reforms.....	107
<b>Guram Gvetadze</b> Excerpts from book “Chest of the General’s Memories”- Tragedy of The Aprasidzes’ Family; Suliko Khabeishvili Case in different angles .....	110
<b>Jemal Gakhokidze</b> Excerpts from book “Betsvis xidi” Fighter with the Evil - Monolog about investigative cases.....	123
<b>Our Congratulations</b> .....	128
<b>Crime statistics in Georgia in 2003-2013 (Stages of development and chronology)</b> .....	133

**ღია წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს**

თქვენი გუნდის მოსვლა ხელისუფლებაში სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის იმედს გვაძლევს, ამიტომ გრივად რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის, ჟურნალ „კრიმინოლოგის“ მიერ ორგანიზებულ მრგვალი მაგიდის მონაწილეები, რომელიც მიეძღვნა გენერალ-ლეიტენანტ გურამ გვეტაძის წიგნის „გენერლის მოგონებათა ზარდახშა“ განხილვას მოგმართავთ:

- აღსადგენია წინა ხელისუფლების პირობებში მოშლილი კავშირი, საზოგადოებასა და ზოგადად სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის.

ამ მიზნით სასურველი იქნება აღსდგეს სამინისტროში ათეული წლების მანძილზე ეფექტურად მოქმედი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, ან მსგავსი სტრუქტურა, სადაც ქვეყნის მოწინავე ინტელიგენცია, არასამთავრობო სექტორი, მეცნიერები, თვალსაჩინო მოღვაწეები, სასულიერო პირები, ხელოვნებისა და სპორტის გამოჩენილი მოღვაწეები, დარგის ვეტერანებთან ერთად საზოგადოებრივ საწყისებზე სხვადასხვა ფორმით მონაწილეობას მიიღებენ დანაშაულის თავიდან აცილების კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებაში და მისი რეალიზაციის საქმეში.

- მართებულად მიგვაჩნია აღსდგეს სამინისტროს ვეტერანთა საბჭო – თაობების დამაკავშირებელი სათათბირო ორგანო. რომლის პოტენციური წლების მანძილზე აქტიურად გამოიყენებოდა სისტემაში ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით ახალბედა თანამშრომელთა პროფესიული აღზრდისა და დაოსტატების კუთხით.

- საერთაშორისო სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სრულყოფას მოითხოვს არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა, რომელიც მიმართული იქნება პრევენციაზე, რეაბილიტაციაზე და ინტეგრაციაზე.

- მიზანშეწონილია აღსდგეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისთვის ჩამორთმეული უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია არამარტო აკადემიაზე, არამედ სისტემაში დასაქმებულ მოსამსახურეთა კვალიფიკაციაზე და მუშაობის შედეგებზე.

თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, პირადად თქვენ მიზანშეწონილად მიიჩნევთ, ჩვენ მრგვალი მაგიდის მონაწილეები შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანები, სამართლის დარგის მეცნიერები, მზადყოფნას გამოვთქვავთ სამინისტროში მიმდინარე რეფორმებში ნებისმიერი მისაღები ფორმით მონაწილეობის მიღებაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს  
ვეტერანებისაგან და სამართლის დარგის  
მეცნიერებისაგან შედგარი სამუშაო ჯგუფი

1 მაისი, 2013 წელი

## ОТКРЫТОЕ ПИСЬМО МИНИСТРУ ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГРУЗИИ

### ИРАКЛИЮ ГАРИБАШВИЛИ

Приход к власти Вашей команды дает надежду на формирование справедливого государства. Поэтому участники круглого стола, организованного Институтом криминологии Университета имени Григола Робакидзе, Центром исследований и прогнозирования преступности и журналом «Криминолог», который был посвящен анализу книги генерала-лейтенанта Гурама Гветадзе «Шкатулка воспоминаний генерала», обращаемся к Вам с предложением:

- восстановить расстроенный в условиях предыдущего правительства союз между обществом и правоохранительными органами в целом. С этой целью желательно восстановить действующий в министерстве на протяжении десятилетий институт общественного мнения или подобную ему структуру, в которой передовая интеллигенция, неправительственный сектор, ученые, выдающиеся деятели, духовные лица, деятели спорта и культуры, совместно с ветеранами отрасли, на общественных началах, в различной форме примут участие в разработке комплексных мероприятий по предотвращению преступлений и их реализации на практике;
- считаем резонным восстановление совета ветеранов министерства – объединяющий поколения совещательный орган, потенциал которого на протяжении многих лет активно использовался в системе по всем направлениям, в особенности при профессиональном воспитании и последующей реализации начинающих сотрудников;
- с целью приведения в соответствие с международными стандартами и нормами требует усовершенствования система борьбы с преступлениями, совершенными несовершеннолетними и в отношении несовершеннолетних, которая будет направлена на превенцию, реабилитацию и интеграцию;
- считаем целесообразным вернуть Академии министерства внутренних дел Грузии лишенный статус высшего учебного заведения, что отрицательным образом повлияло не только на Академию, но и на квалификацию и результаты работы служащих в этой системе лиц;

Если руководство Министерства внутренних дел, лично Вы, сочтете целесообразными наши предложения, мы, участники круглого стола, ветераны МВД, ученые в области правоведения, выражаем готовность к принятию участия в любой приемлемой форме в проводящихся в министерстве реформах.

Рабочая группа, состоящая из ветеранов министерства внутренних дел и ученых в области правоведения.

1 мая 2013 года.

## OPEN LETTER TO Mr. IRAKLI GHARIBASHVILI, MINISTER OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

The fact that your team came into the Government gives us a hope to build the Fair State, therefore Criminology Institute of Grigol Robakidze University, Centre of Study and Prediction of Crime, the participants of the Round Table organized by journal “Criminologist”, that was dedicated discussing the Book of General-Lieutenant Guram Gvetadze – “Chest of the General’s Memories”, urge you:

- To re-establish links between the Society and Law enforcement structures, completely destroyed by the previous government.

For this purposes, it would be desirable to restore The Institute of Public Opinion, which had been effectively operating during decades. Or create a similar structure, where the Leading intelligentsia of the country, Non-Governmental Sector, Scientists, Prominent Figures together with the veterans of the field on voluntary basis will take part in working out the complex measures for preventing crime and its realization in different way.

- In our opinion, it will be appropriate to re-establish Board of Veterans – Organ connecting the generations. During many years its potential was actively used in all directions of the system, especially in professional developing and mastering the Novice employers.

- To be in conformity with international standards and norms, system fighting against the crimes committed by and against juveniles, should be improved and system will be focused on prevention, rehabilitation and integration.

- It is recommended to restore the confiscated university status to Academy of Ministry of Internal Affairs of Georgia, what negatively affected not only Academy but the qualification of the systems’ employers and results of work.

If the heads of the Ministry of Internal Affairs of Georgia, personally you, think desirable we, participants of the Round Table, Veterans of the Ministry, Scientists of law, are ready to involve in any current reform at the Ministry in any acceptable form.

Working Group composed by the Veterans of  
Ministry of Internal Affairs and Scientists of law

May 1, 2013

**ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტსა და დანაშაულობის კვლევისა და  
პროგნოზირების ცენტრს შორის**

ქ. თბილისი

27 დეკემბერი 2011 წ.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მამუკა თავხელიძის სახით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ არჩილ ფრანგიშვილის სახით, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ ალიოშა ბაკურაძის სახით, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის, პროფესორ მალხაზ ბაძაღუას სახით, მხარეთა კეთილი ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე დებენ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ და გამოთქვამენ მზადყოფნას საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვით ითანამშრომლონ ერთმანეთთან.

**მემორანდუმის მიზანი:**

მხარეებს საერთო შეხედულება აერთიანებთ სამართლის და სოციალური დაცვის სფეროებში. პრაქტიკოს – სამართალმცოდნე კრიმინოლოგთა, პედაგოგთა, სოციალურ მუშაკთა, მეცნიერთა, დოქტორანტთა, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა მონაწილეობა კრიმინოლოგიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, მათი შემდგომი პროფესიული სრულყოფისათვის და განვითარებისათვის, გამოთქვამენ და ადასტურებენ მომავალი ურთიერთთანამშრომლობის სურვილსა და მზადყოფნას.

1. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად მზადაა:

ა) ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად;

ბ) წელიწადში ერთხელ კრიმინოლოგიაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ორგანიზებისთვის, აღნიშნული მასალების ბეჭდვითი – ელექტრონული წესით მომზადებისათვის – გამოცემისთვის.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად მზადაა:

ა) ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად;

ბ) წელიწადში ერთხელ კრიმინოლოგიაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ორგანიზებისთვის, აღნიშნული მასალების ბეჭდვითი – ელექტრონული წესით მომზადებისათვის – გამოცემისთვის.

3. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად მზადაა:

ა) ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად;

ბ) წელიწადში ერთხელ კრიმინოლოგიაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ორგანიზებისთვის, აღნიშნული მასალების ბეჭდვითი – ელექტრონული წესით მომზადებისათვის – გამოცემისთვის.

4. დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად მზადაა:

ა) ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად;

ბ) სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის და სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებისათვის. მათში მონაწილე მხარეებისათვის კონსულტაციების გაწევისა და გამოცდილების გაზიარებისათვის.

5. ერთობლივი პროექტების განხორციელებისას მხარეები მზად არიან ითანამშრომლონ სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო კვლევით ორგანიზაციებთან.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქუჩა 6

რექტორი, პროფესორი

**მამუკა თავხელიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, კოსტავას ქუჩა 77

რექტორი, პროფესორი

**არჩილ ფრანგიშვილი**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა 35

რექტორი, პროფესორი

**ალიოშა ბაკურიძე**

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი

თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქუჩა 6

დირექტორი, პროფესორი

**მალხაზ ბაძაღუა**

**სააკაშვილის ანტიჰუმანური რეჟიმის მიერ კასტრირებული სასამართლო ხელისუფლების რეანიმაცია, ქართველი ხალხის უპირველესი ამოცანაა**

საქართველოს კონსტიტუციის მიღებიდან გასული საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე თვალსა და ხელს შუა უკვალოდ გაქრა კონსტიტუციიდან ხელისუფლების სამი შტოდან ერთ-ერთი – სასამართლო ხელისუფლება. საქმე ისაა, რომ დემოკრატიის ციტადელად მონათლულ საქართველოში უნდა არსებობდეს და მოქმედებდეს კონსტიტუციაში ასახული და მისი ძალით განმტკიცებული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, მაშინ როდესაც რეალურად სასამართლო ხელისუფლება ვიდაცეების მიერ ფაქტობრივად მთლიანად არის კასტრირებული, თუმცა კონსტიტუციაში შენარჩუნებულია ცალკე თავი სასამართლო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ ამ თავის შინაარსის ანალიზით დგინდება, რომ საქართველოში დღეს რეალურად სასამართლო, როგორც დამოუკიდებელი ხელისუფლება, ნამდვილად არ არსებობს, და არც შეიძლება არსებობდეს, ხოლო ამ თავის სათაური ფაქტობრივად არის ფიქცია და მის შინაარსს ოდნავადაც არ მიესადაგება.

სწორედ აქ არის დამარხული იმ ძაღლის თავი: საქართველოში დღეს გამეფებული მრავალი, პირველ რიგში, მართლმსაჯულების სფეროში უსამართლობა, კონსტიტუციის ამ ვარიანტის შემდგენელთა საქმისადმი დანაშაულებრივ დამოკიდებულებაში ჰპოვებს თავის რეალურ საწყისს.

ამიტომ არის, რომ თუ საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის ეს თავი და ზოგიერთი სხვა თავებიც დაუყოვნებლივ არ იქნება მოყვანილი სრულ შესაბამისობაში საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებთან, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ საქართველო, დღეს არის, არა დემოკრატიული, არამედ ავტოკრატიული ქვეყანა, აქედან გამომდინარე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგებით.

ამგვარად, საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში არის თავები, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის, მთავრობისა და სასამართლოსათვის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მინიჭებულ სახელმწიფო ხელისუფლებას. ისინი წესით, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების შემადგენელი ნაწილები, სახელმწიფოს დემოკრატიული ფუნქციონირების იდეიდან გამომდინარე, არა მარტო ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლები, არამედ რეალური და არა ვირტუალური ხელისუფლების მატარებლები უნდა იყვნენ. ამასთან ერთად, არა მარტო უნდა ავსებდნენ ერთმანეთს, არამედ გააჩნდეთ იმის რეალური ძალა, რომ თავიანთი მოღვაწეობით განახორციელონ ეფექტური ურთიერთკონტროლი და საბოლოო ჯამში უზრუნველყონ ქვეყნის ეფექტური მართვა, რომელიც, პირველ რიგში, სამართლიანობისა და დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების სრულად რეალიზაციას უნდა უზრუნველყოფდეს.

ამ ოთხი თავის, რომელთა სათაურებია: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა, სასამართლო ხელისუფლება, შინაარსის ზერეფე გაცნობაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ნებისმიერმა გონიერმა მოქალაქემ, რომელიც შორსაა სახელისუფლებო სტრუქტურებისაგან, თვალნათლივ დაინახოს: ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოებისგან განსხვავებით, სასამართლო ხელისუფლება, როგორც სახელისუფლებო სუბიექტი, არ არსებობს და იგი ორი სხვა ხელისუფლების უბრალო დანამატია, რომელთაც არა მარტო უსიტყვოდ

ემორჩილება, არამედ ხშირად მისი ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მესვეურის უსამართლო, უკანონო და, გნებავთ, დანაშაულებრივ დავალებებსაც უსიტყვოდ შეასრულებს.

მოკლედ, დღევანდელ სასამართლოებს, მათ შორის, საკონსტიტუციოსა და ზოგჯერ უზენაესსაც წილად ხვდა „ბედნიერება“ ევრეთწოდებული ნაციონალების თითქმის ათწლიანი ბატონობისას ყოფილიყო არა მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, არამედ საქართველოს პროკურატურის ნების ბრმა შემსრულებელი, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის დიდი უბედურება, რაც „ნაცშპანის“ ბატონობის შედეგად, საქართველოს და მის მოსახლეობას გადახდა თავს.

ნიშანდობლივია, რომ ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ, დიდი ხანია კარგად არის ცნობილი საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, ვისაც მართლმსაჯულებასთან ჰქონდა რაიმე შეხება უახლოეს წლებში. მაგრამ რატომღაც მიიჩნევენ, რომ ეს ხელისუფლების არაკეთილსინდისიერი თანამდებობის პირების ნამუსხუა და ვერ გაუცნობიერებიათ, რომ ამ საქმის სათავეში საქართველოს პარლამენტი დგას: დეპუტატების უდიდეს ნაწილს ისიც არ ესმის, რომ კონსტიტუცია, რომელიც მათ მიერ არის მიღებული, კარს უღებს იმ უმსგავსოებას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს დღევანდელ ყოველდღიულ ცხოვრებაში. უკეთეს შემთხვევაში, ისინი მთელს ბრალსა და პასუხისმგებლობას საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს აკისრებენ, მაშინ როდესაც შესაძლოა თუნდაც მასთან თანაბრად არა მარტო საქართველოს პარლამენტი, არამედ საერთოდ დღევანდელი მმართველი ელიტა იყოს დამნაშავე. მე მეტსაც ვიტყვი, რომ ამაში გარკვეული თვალსაზრისით საქართველოს მოსახლეობის აქტიურ ნაწილსაც ნებისთ თუ უნებლიედ წლების მანძილზე შეჰქონდა გარკვეული წვლილი, რადგან ბევრი მათგანი თუ ჩვენგანი უკვე მრავალი წელია სრულ პოლიტიკურ სიბეცეს იჩენდა და ერთი ტომარა ფქვილისა და შაქრის სანაცვლოდ პარლამენტში ირჩევდა ისეთ წევრებს, რომლებიც მათ კეთილდღეობაზე ყველაზე ნაკლებად ფიქრობდნენ და მით უმეტეს, ზრუნავდნენ, თანაც დიდი ინტელექტითა და საქმის ცოდნით არ გამოირჩეოდნენ.

კონსტიტუციაში განმტკიცებული დიდი დისბალანსი ნამდვილი ხელისუფლებისა თუ მისი სუროგატის რეალური ქმედუნარიანობის შესახებ, ამ თავების წმინდა მექანიკური ურთიერთშედარების გზითაც შეიძლება დადგინდეს.

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის თავი მე-3, რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილებას განსაზღვრავს, 25 მუხლისგან შედგება, რომელთა მეტი წილი მრავალ პუნქტად არის დაყოფილი და ზოგს გვერდის ორი მესამედი, ზოგს მთელი გვერდი, ზოგსაც თითქმის ორი გვერდი უჭირავს. კონსტიტუციის ტექსტში, მაგალითად, 50-ე მუხლს.

შემდეგ, საქართველოს კონსტიტუციის თავი მე-4, რომელიც პრეზიდენტის სახელმწიფო ხელისუფლების განსაზღვრას ეძღვნება, მართალია სულ 13 მუხლისგან შედგება, მაგრამ მოცულობითა და მნიშვნელობით წინა თავს არა მარტო არ ჩამოუვარდება, არამედ გარკვეული თვალსაზრისით ჭარბობს კიდევ. მაგალითად, მუხლ 73-ეს კონსტიტუციის ტექსტში თითქმის სამი გვერდი უჭირავს. საკმაოდ მოზრდილია ზოგი სხვა მუხლებიც. მაგრამ ეს არ არის მთავარი, რადგან მისი შინაარსიდან გამომდინარე პრეზიდენტი მეტად ფართო უფლებამოსილებით არის აღჭურვილი, რომელთაგან ზოგიერთი მავან და მავან დღევანდელ დიქტატორებსაც კი შეშურდებოდათ. მაგალითად, იგი უფლებამოსილია



თავისი ინიციატივით გადააყენოს მთავრობა, საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები, რომლებიც ქვეყნის თავდაცვით თუ რეპრესიულ ძალას წარმოადგენენ.

შემდეგი თავი მე-41 აგრეთვე საკმაოდ მოზრდილი და მოცულობითაც სრულია. იგი 14 მუხლისაგან შედგება, რომლებიც თავის მხრივ ნაწილებად იყოფა და სხვა. ამგვარად, საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტი და მთავრობა ვერ გამოთქვამენ უკმაყოფილებას სახელმწიფო ხელისუფლების დეფიციტის გამო. ამასთან ერთად, ჩემთვის გაუგებრად რჩება, თუ რატომ არის კონსტიტუციაში ორი მეოთხე და მეოთხე თავები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის უფლებამოსილებას განსაზღვრავს, ჩემი ვარაუდით, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით პრეზიდენტი პირველ რიგში არის სახელმწიფოს მეთაური, მაგრამ ამავედროულად იგი მთავრობასაც ხელმძღვანელობს და ამიტომ ორივე ეს თავი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ფართო უფლებამოსილებას აკანონებს. ამგვარად, ალბათ დიდი ცოდვა იქნება, თუ საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტს, პრეზიდენტსა და მთავრობას არასაკმარისი სახელისუფლებო უფლებამოსილების გამო ვინმე თანაგრძნობას გამოუცხადებს, რადგან ამ მხრივ საკანონმდებლო ორგანოს ე.წ. „სახელისუფლებო ხელმომჭირნეობა“ არ გამოუჩენია.

მართალია, წერილის ამ ნაწილში არსებითად არ განმიხილავს ჩამოთვლილი მუხლები და მხოლოდ ვცადე მკითხველისთვის დამენახვებია, რომ ხელისუფლების ორი შტო – საკანონმდებლო და აღმასრულებელი, საკმაოდ უფლებამოსილებად გვევლინება. მაგრამ, ამასთან ერთად, ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ, რომ 73-ე მუხლში პრეზიდენტის დიდი უფლებამოსილების შესახებ მრავალ სხვა უფლებებთან ერთად პუნქტ გ)-ში ნათქვამია: პრეზიდენტი „წვევს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს“, მაგრამ ვერსად ვერ ვნახე, რომ იგი კონსტიტუციით უფლებამოსილი იყოს საქართველოს რომელიმე მოქალაქეს ჩამოართვას მოქალაქეობა, მით უმეტეს, საქართველოში დაბადებულ და გაზრდილ ეროვნებით ქართველ პიროვნებას. პრეზიდენტი შეცდა და „ცხელ გულზე“ გადაამეტა კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, როცა ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა გაუუქმა. ეს მით უფრო სავარაუდო ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე კონსტიტუციის მე-2 თავში „საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, კერძოდ, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში კატეგორიული ფორმით არის განცხადებული, რომ „მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია“.

აქ, ვგონებ, აუცილებელია ისიც გაირკვეს, თუ საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით რამდენად სწორად არის განაწილებული სახელმწიფო ხელისუფლება ცნობილ სტრუქტურებს შორის და რა ერგო რეალურად საქართველოს სასამართლოს, რომელიც, მოგეხსენებათ, კონსტიტუციაში დეკლარირებულია როგორც სახელმწიფო ხელისუფლების სრულფასოვანი სუბიექტი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებთან ერთად თანაბარ საწყისებზე.

მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მონაკვეთის ტექსტის გაცნობითა და ანალიზით დგინდება, მას, ანუ სასამართლოს სახელმწიფო ხელისუფლების განაწილებისას ხსენებულ სუბიექტებს შორის არაფერი არ ერგო გარდა იმისა, რომ სათანადო თავი სასამართლო ხელისუფლებად იწოდება. ეს თავი 10 მუხლისაგან შედგება, რომელთაგანაც 7 საკუთრივ საერთო

სასამართლოების კომპეტენციასა და უფლებამოსილებას განსაზღვრავს (82-დან 87-ე მუხლამდე), ორი 88-ე 89-ე მუხლები – საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო ერთი – 90-ე მუხლი საქართველოს უზენაეს სასამართლოს უფლებამოსილების განსაზღვრას ეძღვნება.

პირველი შეუსაბამობა, რომელიც თვალშისაცემია ამ ტექსტის გაცნობისას, ის არის, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან განსხვავებით, რომლებიც, როგორც ცნობილია, არჩევითობის პრინციპით იქმნება, სასამართლო – როგორც საერთო, ისე საკონსტიტუციო და უმაღლესი, მთლიანად მათი წევრების დანიშვნის პრინციპით კომპლექტდებოდა და სწორედ ამიტომ არ იყო იგი მთლიანობაში სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელი ორგანო, რომელსაც როგორც ცნობილია, მრავალ სხვა ფუნქციასთან ერთად ის უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, რომ საჭიროებისა თუ აუცილებლობის შემთხვევაში დაიცვას საზოგადოება, საქართველოს მოქალაქეები და ა.შ. აღმასრულებელი და, გნებავთ, საკანონმდებლო ორგანოების თვითნებობისაგან, რაც ანუ თვითნებობა უკვე კარგახანია და უმეტესწილად დღესაც ჩვენს ქვეყანასა თუ უცხოეთში საქართველოს მოქალაქეების დიდ აღშფოთებასა და პროტესტს იწვევს.

საქმე ისაა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელი ორგანოს პირველი ნიშანი ის უნდა იყოს, რომ იგი არ უნდა იყოს დანიშნითი, არამედ ორი სხვა სახელისუფლებო შტოს მსგავსად, მათი შემადგენლობის დაკომპლექტება საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების გზით უნდა ხდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საბოლოოდ მოხდება ისე, როგორც ეს ნაცშპანისა თუ ნაცელიტის ბატონობის დროს ხდებოდა და განუკითხაობას ბოლო არც არასდროს არ მოეღება, სანამ ხალხი, როგორც ხელისუფლების წყარო, არჩევნების გზით თავის მტკიცე სიტყვას არ იტყვის და ნებას არ განახორციელებს.

იმ უარყოფითი ემოციებისაგან ცოტაოდენი განტვირთვის მიზნით, რომლებიც ნორმალურ ადამიანს უნდა ეუფლებოდეს მსგავსი მძიმე პრობლემის განხილვისას, გაგუადნიერდები და ისეთი იურიდიული მითის თუ ლეგენდის მოთხრობით გავამხიარულებ მკითხველს, რომელიც ერთადერთ გზად შეიძლება გამოდგეს მოსამართლეთა კორპუსის დანიშვნის წესით დაკომპლექტებისას მათი პროფესიული კეთილსინდისიერების შენარჩუნებისათვის. კერძოდ, ერთ უძველეს მითიურ სახელმწიფოში, დღევანდელი საქართველოს ანალოგიურად, მოსამართლეთა დანიშვნის პრინციპი მოქმედებდა, მხოლოდ იქ ამ უფლებით იყო აღჭურვილი არა პრეზიდენტი, არამედ მეფე თუ იმპერატორი, რომელმაც როდესაც შეიტყო, რომ მის მიერ დანიშნული მოსამართლე ქრთამს იღებდა, გასცა ბრძანება იგი ცოცხლად გაეტყავებიათ, ტყავი მოსამართლის სავარძლისათვის გადაეკრათ და მასში მისი უფროსი ვაჟი ჩაესვათ. ვგონებ ყველასთვის ნათელია, თუ რა ეფექტური გზა აირჩია მეფემ მოსამართლეთა შორის მექრთამეობის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ვშიშობ, რომ ამ მეთოდის საყოველთაოდ დანერგვა ქართულ სინამდვილეში მეტად გაჭირდება, ამიტომ მოსამართლეთა კორპუსის ყველა შემადგენელი ნაწილის – საერთო სასამართლოების, საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს წევრთა დანიშნადობიდან არჩევითობის პრინციპზე დაუყოვნებელი გადასვლა უდაოდ დიდად ეფექტიანი და ამასთან ერთად მშვიდი და უსისხლო იქნება და დღეს საქართველოში გამეფებული უსამართლო სამართლის ევოლუციური და არა რევოლუციური გზით გარდაქმნას უზრუნველყოფს, რასაც ხმელი ხის ნედლად ქცევის

ჭეშმარიტად მაცოცხლებელი ეფექტი ექნება..

მოსამართლეთა არჩევითობის პრინციპზე გადასვლა საკმარისი არ იქნება მათი ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის სხვა სახელისუფლებო შტოებისაგან, ამიტომ უნდა იყოს უზრუნველყოფილი მათი საქმიანობის დაფინანსების მაქსიმალური დამოუკიდებლობა რაც, სავარაუდოდ, უნდა განხორციელდეს იმ მატერიალური სახსრების მობილიზაციით, რომელთაც მოქალაქეები იხდიან მათი საქმის სასამართლოში წარმართვის საფასურის, ჯარიმებისა და სხვა სახით, აგრეთვე კონსტიტუციის მიერ განსაზღვრული დოტაციით, რომელიც სავალდებულო წესით უნდა გამოიყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამგვარად, რადგან პრობლემის სწორად მოგვარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხილვა სათანადო სისრულით ერთ თუნდაც შედარებით დიდი მოცულობის წერილში პრაქტიკულად შეუძლებელია, მსურს საჯაროდ განვაცხადო ის, რაც ისედაც დღესავით ნათელია, რომ საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-5 თავი სათაურით - „სასამართლო ხელისუფლება“ ოდნავადაც ვერ უპასუხებს ამ სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზისათვის დღეს წაყენებულ მოთხოვნებს და აუცილებელია დაუყოვნებლივ გატარდეს საქართველოში სასამართლო სისტემის ყველა რგოლის კარდინალური გარდაქმნა, რომლის პროექტის შემუშავებაში პირველ რიგში მონაწილეობა უნდა მიიღონ მაღალკვალიფიციურმა ქართველმა იურისტებმა და არ უნდა დარჩეს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი სახელმწიფო მოხელეების კომპეტენციის ფარგლებში, მით უმეტეს, რომ გადასაწყვეტია ისტორიული მნიშვნელობის პრობლემები საქართველოში სამართლიანობის პრინციპისა და მართალი სამართლის სამუდამო დამკვიდრებისათვის.

სხვათა შორის, საქართველოს კონსტიტუციაში არის კიდევ ერთი დებულება, რომელიც ნათლად ადასტურებს, რომ სასამართლო ხელისუფლების პროფანაციას მიზანმიმართული ხასიათი აქვს. კერძოდ, კონსტიტუციის პირველ თავში „ზოგადი დებულებები“ არის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, სადაც მორცხვად და, თუ გნებავთ, შეფარვით დეკლარირებულია, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“. ერთი შეხედვით ეს დებულება ვითომ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან მისი შინაარსი ალბათ, სრულიად მისაღებია, მაგრამ ამასთან ერთად არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ კერძოდ რაგვარია სახელმწიფო ხელისუფლების სამი შემადგენელი, რომელთაგან თუ რომელიმე ერთი შინაარსგამოცლილი იქნება, როგორც ეს სინამდვილეში დღეს ჩვენთვის დაუდგენელი ძალების მიერ უკვე გაკეთდა და ამის დასტური საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის იმ მუხლების შინაარსია, რომელთა განხილვას არ დავუბრუნდები. რადგან, როგორც სამფეხა სკამი (იგივე ჯორკო) დასაჯდომად უვარგისია, თუ ერთ ფეხს გამოვაცლით, ისე სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც სამ სრულყოფილ და ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სახელისუფლებო ძალას უნდა წარმოადგენდეს, ერთის ანუ სასამართლო ხელისუფლების კასტრირების გამო მთელს სახელმწიფო ხელისუფლებას ქვეყნის ეფექტური და სამართლიანი მართვისათვის უვარგისად გავხდით, არაფერიც რომ არა ვთქვათ იმის შესახებ, რომ იგი ამგვარ ხელისუფლებას აშკარად ანტიდემოკრატიულად და, თუ გნებავთ, დიქტატორულად აქცევს, რისი მოწმენიც ჩვენ ყველანი დღეს უკვე ვართ.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებები არის მისაღები სასამართლო სისტემის დაუყოვნებლივი რეფორმირების მიზნით, მოკლედ შევეხები სხვა პრობლემებსაც, რომლებიც ამ პროცესში

უნდა მოგვარდეს.

რაც შეეხება „ნაცშპანისა“ თუ „ნაცბანდის“ სამარცხვინო გარიგებას „ამერიკული ოცნების“ ქართული ფილიალის წარმომადგენლებთან, რომლებიც თავიანთ თავს რატომღაც „ქართველ მეოცნებეებად“ წარმოგიდგენენ, იგი ვერავითარ იურიდიულ და, გნებავთ, პოლიტიკურ ჩარჩოებში ვერ ჯდება. აბა სად გაგიგონიათ მოსამართლეები თავიანთ თავს თვითონ ირჩევდნენ და არა მარტო სახალხო, არამედ არავითარ კონტროლს არ ექვემდებარებოდნენ და ამას მისი ავტორები ქართული დემოკრატიის ბრწყინვალე ნიმუშად ასაღებდნენ...

მაგალითად, უნდა გაუქმდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რადგან მოსამართლეთა მთელი კორპუსის ყველა რგოლის პირდაპირი გზით საქართველოს მოქალაქეების მიერ არჩევა გახდება ერთადერთი გზა ამ კორპუსის უმაღლესი კვალიფიკაციისა და ზნეობრიობის მატარებელი უმაღლესი განათლების მქონე იურისტებით დასაკომპლექტებლად.

ამასთან ერთად, საერთო სასამართლოები უნდა აირჩეს მკაცრად ტერიტორიული პრინციპის მიხედვით საყოველთაო პირდაპირი არჩევნების გზით და ამ ტერიტორიის მოსახლეობამ უნდა განახორციელოს რეალური კონტროლი იმისა, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის მოსამართლედ არჩეული პიროვნება თავის თანამდებობას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდება თბილისის პირველი ინსტანციის საქალაქო სასამართლო რაიონულ სასამართლოებად დაყოფა, რაც მას მნიშვნელოვნად დემოკრატიულს გახდის, დაახლოებს მოსახლეობასთან და მის საქმიანობას ჭეშმარიტად სახალხო ხასიათს მისცემს.

აუცილებელია აგრეთვე საერთო სასამართლოს წევრების უფლებამოსილების ვადა არ აღემატებოდეს 5 წელს, რათა ამ დროის მანძილზე შესაძლებელი გახდეს მათი საქმიანობის ობიექტური შეფასება და თუ კანდიდატურა შესაფერისი აღმოჩნდება, მისი არჩევა კვლავ 5 წლის ვადით გახდება შესაძლებელი იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას საქმის ინტერესები მოითხოვს. რასაკვირველია, სრულად უნდა გამოირიცხოს საერთო სასამართლოს მოსამართლეთა არჩევა უვადოდ ან სამუდამოდ, რაც ღმერთმა არა ქნას და თუ ოდესმე განხორციელდა, ენით აუწერელი უბედურების წყაროდ იქცევა.

სხვათა შორის ეს საკითხი საკმაოდ სერიოზულია, რადგან ვილაცამ, ჩემთვის უცნობმა პერსონამ ან ხელისუფლების წარმომადგენელთა ჯგუფმა ეს საკითხი თავისი ჭკუითა თუ უჭკუობით უკვე გადაწყვიტა 2011 წლის 5 აპრილამდე, რადგან დღეს მოქმედ კონსტიტუციაში უკვე შეიტანა და უზენაეს კანონად აქცია საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 და კიდევ ერთხელ მე-2 პუნქტი შემდეგი საკმაოდ ბუნდოვანი შინაარსისა: „მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით“. ამ პუნქტს ასრულებს ფრჩხილებში ჩასმული შემდეგი დებულება: (15.10.2010 №3710, ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)“.

პირველი, რაც იქცევა ყურადღებას ამ ტექსტის ანალიზისას, ეს მისი შინაარსობრივი ბუნდოვანებაა. კერძოდ, თუ მოსამართლეები უვადოდ ანუ

სამუდამოდ უნდა იქნას არჩეულები, მაშინ რას ნიშნავს ის დებულება, რომ იგი გარკვეული ვადით – 3 წლით შეიძლება განწესდეს მოსამართლედ და სხვა. მიუღებელია აგრეთვე ის დებულება, რომ მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და განთავისუფლების წესი მთლიანად კონსტიტუციით კი არა (რაც სრულიად სამართლიანი იქნებოდა), არამედ თურმე ამ საქმეში ორგანული კანონის მოშველიებით უნდა მოხდეს, რაც ყველაფერთან ერთად იმის გამოც არის მიუღებელი, რომ ერთგვარად აკნინებს სასამართლო სისტემის, როგორც სრულფასოვანი სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელი ორგანოების როლსა და მნიშვნელობას.

სრულიად გაუგებარი და მიუღებელია აგრეთვე ის დებულება, რომელიც კანონის ამ ნაწილის დასასრულს ფრჩხილებში ჩასმული სახით არის მოცემული იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 2011-დან 2013 წლამდე ანუ 2012 წელს, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ჩატარდა საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები, რომელსაც გუშინდელი საკანონმდებლო ორგანო თავს ახვევს ისეთ გადაწყვეტილებას, რომლის მიღება მის კომპეტენციაში არ შედის, რადგან რა სახეს მიიღებს კონსტიტუციის ეს მუხლები 2012 წლის შემდეგ და მით უმეტეს 2013 წელს, ეს ძველი პარლამენტის წევრების გადასაწყვეტი არ არის და, ჩემი ღრმა რწმენით, არის მცდელობა უკვე ძალადაკარგული პარლამენტის მიერ ახლად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების უზურპაციისა, რაც სამარცხვინოა არა მარტო ახალი, არამედ ძველი პარლამენტისათვისაც.

სხვათა შორის, ამგვარი გზით ისეთი საკითხების, თანაც მეტად მნიშვნელოვანის, დროზე ადრე გადაწყვეტისა და მათი ავტომატურად ამოქმედებისა ისე, რომ ეს ვითომ არც უნდა ეხებოდეს ახალი პარლამენტის შემადგენლობას, ნამდვილად მიუღებელია და ყველა ასეთი მცდელობა, მე ვიტყვდი, ძველი პარლამენტის მიერ ახლის უფლებამოსილების უზურპაციისა, უნდა სათანადოდ იქნას შეფასებული უმჯობესია ახალი პარლამენტის მიერ და ყველა ეს მუხლი თუ დებულება უნდა იქნას მოქმედი კონსტიტუციის ტექსტიდან ამოღებული.

რაც შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების დღევანდელ წესს, იგი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ძირეულად უნდა შეიცვალოს და გახდეს არჩევითი, თანაც არჩევნები უნდა ჩატარდეს საერთო სასამართლოებთან ერთად პირდაპირი და ფარული კენჭისყრის წესით. რაც შეეხება ვადას, იგი შეიძლება ამ შემთხვევაში 10 წლით განისაზღვროს, მაგრამ მოსამართლეთა ასაკი უნდა გაიზარდოს მინიმუმ 40 წლამდე. ამავე 10 წლის ვადით უნდა ხდებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ თავმჯდომარის არჩევა.

დასასრულს, კონსტიტუციის ამ თავის ბოლო, 90-ე მუხლი ერთადერთია, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების წესსა და პირადი უსაფრთხოების გარანტიებს, რასაც კონსტიტუცია უზენაესი სასამართლოს მთელს შემადგენლობას აძლევს. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებას, ორგანიზაციასა და საქმიანობას, აგრეთვე, მისი წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის წესს, ყოველივე ამას განსაზღვრავს ორგანული კანონი, მითითებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტში, რაც, აგრეთვე, კატეგორიულად მოუღებელია და აკნინებს უზენაეს სასამართლოს, ამ მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოს საზოგადოებრივ და, გნებავთ, პოლიტიკურ მნიშვნელობას, რადგან ვინ, თუ არა ამ უზენაესმა ორგანომ უნდა განსაზღვროს საქართველოში სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მიმართულებები და

პარამეტრები. რაც შეეხება მის დაკომპლექტების წესს, იგი უდავოდ უნდა შეიცვალოს არჩევითობით, რადგან ამ მართლაც მართლმსაჯულების სფეროში უზენაესმა ორგანომ, პოეტის ენით თუ ვიტყვით, მთელს ამ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს სფეროს, უნდა დაახუროს ზნეობრიობისა და სამართლიანობის ქუდი, რასაც ხანგრძლივი 8 საუკუნის წინათ მოგვიწოდებდა დიდი შოთა რუსთაველი, რომ „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლაღ“.

მეტად მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ამ უპატივცემულეს ორგანოში ადამიანის არჩევისას ასაკის საკითხის ოპტიმალური განსაზღვრა. ჩემი მოსაზრებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრები შეიძლება გახდნენ გამოჩენილი იურისტები, რომელთაც შეუსრულდათ 55 წელი, ხოლო თავმჯდომარე უნდა იყოს არანაკლებ 60 წლისა, თანაც, ამ ჭეშმარიტად უმნიშვნელოვანესი ორგანოს თავმჯდომარე და წევრები უნდა აირჩოდნენ სამუდამოდ, რაც კიდევ მეტად გაზრდიდა მათი დამოუკიდებლობის ხარისხსა და საზოგადოებრივ აღიარებას.

ამ წერილის ადრესატები და მთლიანობაში საქმის არსში ასე თუ ისე ჩახედული მკითხველი საზოგადოება მიხვდება, რომ პუბლიკაციის მოცულობის შეზღუდულობის გამო ჭეშმარიტი სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური გზით დამყარების პრობლემა იმდენად ფართო და მნიშვნელოვანია, რომ მათი სათანადო სისრულით განხილვას უდავოდ ერთი მოზრდილი ტომი დასჭირდებოდა.

ამიტომ ჩემი თხოვნაა, არ ჩავთვალოთ ამომწურავად ის, რაც საქართველოს აწმყოსა და მომავლისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემის სათანადო დონეზე მოგვარების შესახებ უკვე ითქვა, ასე თუ ისე უდავოდ, და განვეწყოთ იმისათვის, რათა აქ წამოჭრილი და რიგი სხვა საკითხებისა რაც შეიძლება მოკლე დროში ჭეშმარიტად ობიექტური მსჯელობის საგნად ვაქციოთ.

როგორც ამ წერილის ადრესატებს, ისე საქართველოს მოსახლეობას, რომელიც სინამდვილეში ჩემს მიერ გამოთქმული, ხშირად პირუთვნელი კრიტიკისა თუ მოსაზრებების ყველაზე მთავარი ადრესატია, კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ამ წერილის ფორმატში ნამდვილად უცხო იქნებოდა მსჯელობა არსებული ხელისუფლების მიერ უკვე თითქმის 10 და შესაძლოა, 15 წლის მანძილზე დაშვებული შეცდომებისა თუ აშკარა უმსგავსოებათა შესახებ, ამიტომ ზედმეტი ფიცისა და მტკიცების გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რომ არა მარტო საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, არამედ თვით მიხეილ სააკაშვილი და მისი ე.წ. „ნაციონალური მოძრაობა“, ვაღიარებ ვაღიარებ შეხვდეს ახალი, არსებითად უფრო ეროვნული ხასიათის განზრახვების მატარებელი პოლიტიკური და სოციალური ძალის მიერ უახლესი მომავლის ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღების მზაობას და იმ გააფთრებული და ხშირად ამორალობითა და მზაკვრობით გამორჩეული წინააღმდეგობის გაწვევის მაგივრად შეგნებულად დათანხმდეს საარჩევნო პროცესის წარმართვას ზნეობრივად მისაღები მეთოდების გამოყენებით.

#### **ანზორ გაბიანი**

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,  
სამართლისა და სოციოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

*ანზორ გაბიანი*

**სააკაშივილის ანტიჰუმანური რეჟიმის მიერ კასტრირებული სასამართლო  
ხელისუფლების რეანიმაცია ქართველი ხალხის უპირველესი ამოცანაა  
რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ხარვეზები, განსაკუთრებით მის მესამე თავთან „სასამართლო ხელისუფლება“ დაკავშირებით; ავტორის მოსაზრებით ქვეყანაში არსებული კონსტიტუციის საფუძველზე რეალურად დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება ვერ ფუნქციონირებს.

ნაშრომში მოცემულია ზემოაღნიშნული პრობლემის მიზეზები და საკითხის გადაწყვეტის გზები.

*Анзор Габияни*

**Реанимация судебной власти, кастрированной антигуманным режимом  
Саакашвили, как основная задача грузинского народа  
РЕЗЮМЕ**

В работе рассмотрены существующие в конституции Грузии изъяны, связанные, в основном, с ее пятой главой – «Судебная власть». По мнению автора, на основании действующей в стране конституции реально независимая судебная власть не функционирует.

В работе приведены причины вышеуказанной проблемы и пути ее решения.

*Anzor Gabiani*

**Reviving judicial power castrated by Saakashvili’s abusive regime is the primary task of  
Georgian People  
Summary**

The work discusses all gaps existing in the Georgian Constitution especially those regarding the fifth chapter “Judicial Government”. By the author’s opinion practically there can’t be independent court on the basis of country’s effective constitution.

The work describes the reasons of the above mentioned challenges and the ways to solve these issues.

გაყინული კონფლიქტები და ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები  
(ე.წ. ერგნეთის ბაზრობის მაგალითზე)

თავისთავად კონფლიქტისა და კომერციის მიმართება, ერთი შეხედვით, საკვებით შეუთავსებელ წყვილად ასოცირდება. მაგრამ, როგორც განვითარებული ქვეყნების ისტორია მოწმობს, მათ შორის, მართლაც არის ურთიერთგანმაპირობებელი ლოგიკური კავშირი. დასავლეთ ევროპაში, ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან იკვლევდნენ ხალხთა ურთიერთობებში კომერციის პოზიტიურ ფუნქციას. „კომერციის ბუნება“ და საქმიანი ვაჭრობის გონივრულობა მიიჩნეოდა ქვეყნებსა და ხალხთა შორის მშვიდობიანობის ფაქტორად. თვით საქონლის გაცვლის პრაქტიკა ხელს უწყობდა ცალკეული ინდივიდების, ერების, ქვეყნების დაახლოებასა და კონფლიქტების შემცირებას. ამ კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ კომერცია არა მარტო მშვიდობიანობის, არამედ ცივილიზატორულ ფუნქციასაც ასრულებს. ჟან ბოდენი მიიჩნევდა, რომ გაცვლის თავისუფლება და ხალხთა მეგობრობა ურთიერთგანუყოფელი ფენომენია. და, მართლაც, თუ ერთ ხალხს სურს იყიდოს, ხოლო მეორე ხალხს სურს გაყიდოს, მაშინ კომერციის რეალური შედეგი ხალხთა მეგობრობა და მშვიდობა არის.

ამ თეორიული პასაჟის მიზანია მივუახლოვდეთ ჩვენ განვიღო ქმედებათა ზოგად ანალიზს. პირდაპირ შეიძლება ვთქვათ, რომ *გაყინული კონფლიქტების დროს ერგნეთის ბაზარი, გარკვეულწილად, წარმოადგენდა მშვიდობიანობის ანკლავს*. პრაგმატული, რეალ-პოლიტიკაც უთუოდ მოითხოვდა ამ ანკლავის გაფართოებისათვის ხელშეწყობას, ყოველ შემთხვევაში მისი თვითდინების შეუფერხებლობას. შესაძლოა გადაჭარბებაში ჩამეთვალოს, მაგრამ მგონია, რომ *ცხინვალსა და საქართველოს შორის არსებული პრობლემის გადაჭრის სხვა მშვიდობიან საშუალებათაგან „ერგნეთი“ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო*, ისე, როგორც გალსა და ზუგდიდს შორის შექმნილი კომერციული ურთიერთობა.

ამასთან პრობლემა მოითხოვდა პოლიტიკურ ანალიზთან ერთად სერიოზულ, კომპლექსურ, სამართლებრივ ანალიზს. მათ შორის, კრიმინოლოგიური თვალსაზრისითაც. სანამ ამ მეთოდით პრობლემის ანალიზს შევუდგებოდეთ, საინტერესო იქნება ე.წ. ერგნეთის ბაზრობის პრეისტორიასაც შევეხეთ.

2001 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე გვემსჯელა ერგნეთის ბაზრობის თაობაზე და მასთან პირდაპირ დაკავშირებულ სამრეწველო კონტრაბანდის (და არა მარტო სამრეწველო კონტრაბანდის) პრობლემებზე. კერძოდ: რა პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ მოვლენასთან გვქონდა საქმე, შესაძლებელი იყო თუ არა გარკვეულ კონტროლს დაქვემდებარებოდა იქ განვითარებული, ერთი მხრივ, მეტად საშიში მოვლენები და, მეორე მხრივ, ქართველებისა და ოსების ერთობლივი, კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული კავშირების, სრულიად ახალი ფორმით წარმოჩენილი „ბიზნეს-ურთიერთობები“.

თუ პრობლემის სისხლის სამართლებრივ მხარეს შევხებით, ერგნეთის ბაზრობაზე საქონლის ყიდვა-გაყიდვა არ შეიძლება ჩაითვალოს კონტრაბანდად. ეს იმიტომ, რომ საქონლის ყიდვა-გაყიდვა საქართველოს ტერიტორიის შუაგულში ხდებოდა და რა ვითარებაში შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო დადგენა, კერძოდ: კანონიერად თუ უკანონოდ, როდის, ვის მიერ, რაც მთავარია გადახდილი იყო



თუ არა საბაჟო გადასახადები და დაცული საბაჟო პროცედურები და ა.შ. ასეთ ვითარებაში როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის, ისე მისი ჩამდენი პირების დადგენის შესაძლებლობა არ არსებობს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის თანახმად, საბაჟო წესების დარღვევად (სისხლის სამართლის კოდექსის ძველი რედაქციით კონტრაბანდად) ითვლება საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთების გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით. ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოს სსკ 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების დადგენა ე.წ. ერგნეთის ბაზართან დაკავშირებით შექმნილი რეალური გარემოებების გათვალისწინებით შეუძლებელი იყო და აქედან გამომდინარე, აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს არავითარი სასამართლო პერსპექტივა არ ექნებოდა. რაც შეეხება პრობლემის პოლიტიკურ მხარეს, მდგომარეობა ფაქტიურად სამართალდამცავი ორგანოებისაგან ვერ ან არ ექვემდებარებოდა კონტროლს და ამას როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური (ხშირ შემთხვევაში ანგარებითი) მიზეზები ახლდა. მოვლენას კრიმინოლოგიური კუთხით თუ გავაანალიზებთ, აშკარად იყო საშიშროება ჩამოყალიბებულიყო მაფიოზური კლანები და დაწყებულიყო სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საქონლით ვაჭრობა (იარაღი, ნარკოტიკი) და ამის პირველი ნიშნები უკვე მაშინვე გამოჩნდა.

ერთი სიტყვით შექმნილი ვითარება აშკარად და პირდაპირ ემუქრებოდა საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, მით უმეტეს ქვეყანაში იმ დროს შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ვცხოვრობდით სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის და საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკის პარალიზის პირობებში.

მაშინ ხელისუფლების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ იქნებ სჯობდეს ერგნეთის ბაზრობაზე დავაწესოთ მაქსიმალური კონტროლი, რათა იგი კრიმინალებს არ ჩაეგდოთ ხელში. თუ არადა, გარდა წმინდა ფინანსური მოგებისა, კრიმინალებს შესაძლებლობა მიეცემოდა პირადი ინტერესების მიხედვით ემართათ ქართველებისა და ოსების ურთიერთობები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერგნეთის ბაზრობა, მისი ნეგატიური მხარეების მიუხედავად, ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობების დათბობის ბუნებრივ ზონადაც ჩამოყალიბდა. აშკარად შეიმჩნეოდა, რომ არაფორმალურ სავაჭრო-ეკონომიკურ ზონას სოციალურ-ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ფუნქციის დატვირთვაც ჰქონდა. ჩვენი შეხედულებით, ერგნეთის ბაზრობაზე არსებული ქაოსი საქართველოს ხელისუფლების ინტერესებს დაქვემდებარებულ მართვად პროცესად უნდა გადაქცეულიყო. სამართლიანობა მოითხოვს და უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი, პრინციპში, ეწინააღმდეგებოდა ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას. უფრო სწორად სახეზე გვქონდა პოლიტიკისა და კანონის ურთიერთშეჯახება. დამდგარი შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლებამ, მაშინ უპირატესობა მაინც მოქმედ კანონმდებლობას მიანიჭა.

იგივე არაფორმალური ურთიერთობები ყალიბდებოდა ზედა სახელისუფლებო ეშელონებს შორისაც. 1998–2001 წლებში საქართველოს პრეზიდენტი, რამდენჯერმე შეხვდა სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტს ჩიბიროვს, მათ შორის ლიკანსა და ჯავაშიც. პარალელურად საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები დაუბრკოლებლად ხვდებოდნენ ოსეთის

ე.წ. მთავრობის წევრებს (ეს ხდებოდა ზოგჯერ ფარულად, ზოგჯერ ნახევრად ფარულად და ზოგჯერ ღიად მედიის თანდასწრებით). კარგად მუშაობდა წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული პირადი კონტაქტებიც. ასეთი კონტაქტები მქონდა ოსეთის მთავრობის თავმჯდომარესთან მ. ჩიგოვეთან, რომელიც კონფლიქტამდე მუშაობდა ოსეთის ა/ო მილიციის სამმართველოში საგამოძიებო სამსახურის უფროსად, მე კი ამ სამსახურის უფროსად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და ამ სუბორდინაციით რამდენიმე წელიწადი მოგვიწია ერთად მუშაობა (ის მეტად ზრდილობიანი, ზომიერებით გამორჩეული კაცი იყო, შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას, დედაც ქართველი ჰყავდა).

ამ ურთიერთობებმა ის შედეგი გამოიღო, რომ შესაძლებელი შეიქმნა ოსეთის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრაციის რეალური გზების ძიება; განსაკუთრებით, ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით. გადაწყდა შემუშავებულიყო ერთობლივი ეკონომიკური პროგრამები, რომელიც მოიცავდა, როგორც ქართულ, ისე ოსურ სოფლებს, ასევე შიდა ქართლის იმ ტერიტორიებს, რომელიც ადმინისტრაციულად ოსეთს ესაზღვრებოდა. საუბარი იყო წყალ-კანალიზაციის, სარწყავი და ენერგეტიკული სისტემის მოწესრიგების პრობლემებზე; ერთობლივი საშიშ კრიმინალურ დაჯგუფებებთან ბრძოლის ღონისძიებების შემუშავებაზე, საქმიანი ვიზიტების ინტენსივობის გაზრდაზე, განათლების სისტემისათვის ხელის შეწყობაზე, კულტურული კავშირების აღდგენასა და, რა თქმა უნდა, ლტოლვილების დაბრუნებაზე და ოსეთის სამომავლო სტატუსზე.<sup>1</sup>

თითქოს ყველა პირობა შეიქმნა ოსეთის კონფლიქტის თანდათანობით და ეტაპობრივად მოგვარებისათვის. არსებობდა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნებაც. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ასეთივე ნება ოსებსაც ჰქონდათ. საგულისხმოა, რომ არაფორმალურ და მჭიდრო ურთიერთობებს მიესაღმებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებიც. მართალია, კონფლიქტი ფორმალურად მაინც კონფლიქტად რჩებოდა, მაგრამ უკვე სახეშეცვლილი, არა აგრესიული.

ის, რომ ვერ მოხერხდა აღნიშნული ფაქტორის გამოყენებით სამხრეთ ოსეთის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრირება, მრავალი საშინაო მიზეზით აიხსნება. მათ შორის ყველაზე მეტად ხელი შეგვიშალა კონტრაბანდამ, რომელმაც 1999–2001 წლებში წალეკა საქართველოს ეკონომიკა. კორუფცია, ბიუჯეტის დეფიციტი, ქვეყნის შიგნით პოლიტიკური დაძაბულობის ხარისხი სულ უფრო ზღუდავდა ჩვენს შესაძლებლობას. ერთობლივ ეკონომიკურ პროგრამებს კი მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა არ ჰყოფნიდა. ჩვენმა ბიუჯეტმა ამის გადაწყვეტა ვერ შეძლო. თანდათან დაიკარგა პოლიტიკური ერთობაშია, სათანადოდ არ იაქტიურა საერთაშორისო თანამეგობრობამაც. პოლიტიკური შეხლა-შემოხლის მიზეზი ხდებოდა ოსეთის სტატუსის საკითხი და სხვა მსგავსი შიდა პრობლემები. თუმცა რეალპოლიტიკის თვალსაზრისით ოსეთის მოწყობის შესახებ სტატუსის წამოწევა შექმნილი სიტუაციის თვალსაზრისით მთლად გამართლებული არ იყო.

მაგრამ ძირითადი წინააღმდეგობა მაინც ჩრდილოეთიდან მოდიოდა. რუსეთის პრეზიდენტი ელცინი, პოლიტიკური ისტებლიშმენტის სხვა

<sup>1</sup> განდგომილი რეგიონის დედა სახელმწიფოში დაბრუნების მნიშვნელობაზე მიუთითებს დენ-სიოპანის განცხადება იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ერთ სახელმწიფოში ორი სისტემის არსებობა. რა თქმა უნდა, ის ამაში გულისხმობდა ტაივანის ჩინეთის სახელმწიფოში დაბრუნებას. ჯ. გახოკიძე

წარმომადგენლები სიტყვით მიესალმებოდნენ ამ დაახლოების პროცესს, მაგრამ საქმით ყველანაირად ეწინააღმდეგებოდნენ. ეს თვალნათლივ გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველო ომის დროს. საქმე ის არის, რომ დაახლოებით 10 წელიწადია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი და მთავარი სამხედრო დაზვერვის სამსახური უმტკიცებდა რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ ხელისუფლებას, რომ სამხედრო სტრატეგიული დანიშნულების თვალსაზრისით, ოსეთი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე აფხაზეთი.

ხელისუფლებისათვის ამის დამტკიცება მათ შეძლეს კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. უმოკლეს დროში, უმოკლესი გზით გორის დაკავებამ. საქართველოს აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილის გახლეჩა, ყველა შემაერთებელი არტერიის მწყობრიდან გამოყვანა გამოიწვია. ზუსტად და სკრუპულოზურად იყო გათვლილი ისიც, რომ გორიდან ერთი საათი იყო საჭირო თბილისამდის.

აფხაზეთიდან კი ასეთივე ოპერაციის განხორციელებას ართულებდა ის, რომ დიდი მოცულობის სამხედრო ტექნიკის თბილისამდე გადაადგილებისათვის საჭირო დრო ჩაშლიდა ყველა მათ გეგმას (ამ შემთხვევაში ვგულისხმობ საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან შეტაკების გარდუვალობას და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან დროულ პოლიტიკურ რეაგირებას).

რა თქმა უნდა, ოსეთთან კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში, ერგენტის ბაზრობა დასახური და გასაუქმებელი იყო. იგი, მართლაც, კრიმინალურ ბურჟუაზიაში იყო გახვეული და კორუფციის ბუდედ ყალიბდებოდა. ზემოთაც აღვნიშნე, რომ იქ არსებული ქაოსი ჩვენს მხრიდან მაქსიმალურად გამოსაყენებელი და მართვადი უნდა ყოფილიყო, წმინდა პროფესიული თვალსაზრისითაც. რა მაქვს მხედველობაში: ბაზრობაზე ყიდვა-გაყიდვის, სხვადასხვა გარიგების მონაწილეების ნაწილი ოსეთის კონფლიქტის უშუალო მონაწილეები იყვნენ ორივე მხრიდან. ვის არ ნახავდით იქ, ქართველს, ოსს, სომეხს, აზერბაიჯანელს, ჩეჩენს, ლეკს, ინგუშს, ქალაქელს, სოფელელს, კრიმინალს, ბიზნესმენს, წვრილმოვაჭრეს, პედაგოგს, ექიმს, მოხუცს, ახალგაზრდას, ბავშვებიც კი იყვნენ ამ საქმით დაკავებული. ეს ვითარება რომ არ ყოფილიყო, უნდა ენატრა ქართველ სპეცსამსახურებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებს. ასეთი ხელსაყრელი ბუნებრივი გარემოს შექმნას სპეცსამსახურები „მონაპოვარს“ უწოდებენ. გაჩნდა რეალური, ბუნებრივი საშუალება გვემუშავა ისეთ გავლენიან ადამიანებთან (კარგი გაგებით), რომლებიც, თავის მხრივ, ოს ხალხს და არა მარტო მათ, დაანახებდა ქართველებისა და ოსების ერთად ცხოვრების, ელემენტარული ფიზიკური არსებობისათვის საჭირო აუცილებლობას. დაარწმუნებდა მათ შერიგების, ურთიერთპატიების, საქმის ერთად კეთების, გადახვეწილი ადამიანების თავიანთ სახლებში დაბრუნების, დანგრეული და გაპარტახებული სოფლებისა და ქალაქების ერთად აშენების აუცილებლობაში და ასეთი ადამიანები მრავლად „მოიპოვებოდა“ ერგენტის ბაზრობაზე. ასეთი მიზნების განსახორციელებლად ცოცხალ ადამიანს ვერაფერი ვერ შეცვლის, ნამდვილად ვერ გასწევს მათ მაგივრობას თანამედროვე, უნიკალური, მილიონებად ღირებული სპეციალური ტექნიკა. მხოლოდ ადამიანებს, მათ ურთიერთობებს შეუძლიათ გაუწიონ ფასდაუდებელი სამსახური კონფლიქტების მოგვარების საქმეს. როგორ, რა ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით, რა ვითარებაში, როდის და სად? ეს უკვე პროფესიონალების მოსაფიქრებელი და გასაკეთებელი საქმე იყო, რომელსაც უდიდესი ძალისხმევა, შრომა,

გამოცდილება, თავდადება, რისკი და პატრიოტიზმი სჭირდებოდა. სამწუხაროდ, ეს შანსი მაშინ ხელიდან გავუშვიო.

**ჯემალ გახოკიძე**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სრული პროფესორი, სამართლისა და  
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

*ჯემალ გახოკიძე*

**გაყინული კონფლიქტები და ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები  
(ე.წ. ერგნეთის ბაზრობის მაგალითზე)  
რეზიუმე**

თავისთავად კონფლიქტი და კომერცია თითქოს ერთმანეთს გამორიცხავენ, მაგრამ როგორც მსოფლიო ისტორია და ცალკეული პრეცედენტები მოწმობენ, ისინი არამც თუ გამორიცხავენ ერთმანეთს, არამედ პირიქით მათ ერთმანეთთან უამრავი ურთიერთგანპირობებულობა აკავშირებთ. ამის კარგი მაგალითი მოგვცა ე.წ. ერგნეთის ბაზრობამ, რომელიც ცხინვალსა და საქართველოს შორის არსებული პრობლემის გადაჭრის სხვა მშვიდობიან საშუალებებს შორის ყველაზე რეალური და მნიშვნელოვანი იყო.

კომერციული ურთიერთობები, რომლებიც შემდგომში თავისებურ ბიზნეს ურთიერთობებში გადაიზარდა, ჩვენის მხრიდან სწორი სტრატეგიის და რუსეთის მხრიდან მინიმალური მხარდაჭერის შემთხვევაში საუკეთესო პირობებს შექმნიდა კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით.

წარმოქმნილი განსაკუთრებული ხასიათის ურთიერთობები საქართველოს კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მისი პოლიტიკური აუცილებლობა სახეზე იყო. შეჯახება პოლიტიკასა და კანონს შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა, რამაც განაპირობა მისი მოგვარების ყველაზე რეალური შანსის ხელიდან გაშვება.

*Джемал Гахокидзе*

**Замороженные конфликты и проблемы экономической безопасности (на примере  
т.н. рынка Эргнети)  
Резюме**

Конфликт и коммерция как бы исключают друг друга, но как показывает мировая история и свидетельствуют разделенные прецеденты, они не разделяют друг друга, а наоборот их объединяет множество условий.

Хороший пример т.н. „рынок Эргнети“, который решал существующие проблемы между Цхинвалом и Грузией вместе с другими мирными средствами.

Коммерческие отношения переросли в бизнес отношения и с нашей стороны правильная стратегия, а со стороны России минимальная помощь создали бы лучшие условия для решения конфликтных ситуаций.

Созданные с особенным характером отношения противоречили законам Грузии, но их политическая необходимость была на лицо. Столкновение между политикой и законом закончилось победой закона и самый реальный шанс регулирование конфликта с начала конфликта до сегодняшнего дня был упущен.

**Legal and Political Aspects of frozen conflicts (based on so called Ergneti market)**

**Summary**

The conflict and commerce seems to exclude each other, but as the world history precedents testify, they are inter-connected, have much mutual conditionality.

Ergneti market gave a good example, which was the most important and real way to solve the problem between Georgia and Tkhinvali peacefully.

The commercial Relations, which then will have further business development, would create the best condition of conflict resolution In case of correct strategy and Russian support.

Special relations have opposed legislation of Georgia, but political inevitability was fact. Struggle between policy and law had finalized victory of law, and it was real reason that the conflict is unresolved.

### ტურიზმის უსაფრთხოების კრიმინოლოგიური ასპექტები

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, საქართველო ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას სწრაფი ტემპებით განაგრძობს. საქართველოს ხელისუფლებისა და ექსპერტების მხრიდან პროგნოზები საკმაოდ ოპტიმისტურია, როგორც ვიზიტორების, ისე ტურიზმის ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობის, ასევე ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებთან დაკავშირებით.

კონკრეტულად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში 2012 წელს საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 56%-ით გაიზარდა და 4 389 256 მიაღწია<sup>1</sup> ასევე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით საგრძნობლად გაზრდილია შიდა მოგზაურთა რაოდენობა, რომლის უდიდესი ნაწილი ივლისს – აგვისტოს, დეკემბერს - იანვრის თვეებში სტუმრობს საქართველოს - განსაკუთრებით თბილისს, ბათუმს, მთლიანად აჭარას, გუდაურის და ბაკურიანის ზამთრის კურორტებს. ამ მიმართულებით შემოსულმა თანხამ 2012 წელს მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა.<sup>2</sup>

ზოგადად ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით განსახორციელებელი პროექტების კრიმინოლოგიური კვლევა. რადგან ტურიზმის დაგეგმარებაში სეზონური დანაშაულობის კრიმინოლოგიური კვლევა და პროგნოზირება, ვიქტიმოლოგიური დონის განსაზღვრა ისეთივე მნიშვნელოვანია როგორც ამინდის პროგნოზირება.

ტურისტულ ზონებში სეზონურობის გათვალისწინებით კრიმინოგენული ვითარების შესწავლა აუცილებელია, რადგან დროის მოკლე პერიოდში, ამ ზონებში ვიზიტორების დიდი რაოდენობა გროვდება, იზრდება მოსალოდნელი დანაშაულობის საფრთხეები რაც შესაბამისად მოითხოვს სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან ადეკვატურ, კოორდინირებულ რეაგირებას.

საქართველოს ხელისუფლების ტურიზმის განვითარების პოლიტიკამ, მთელ რიგ ქვეყნებთან უვიზო და გამარტივებულმა სავიზო რეჟიმმა გარკვეულად ხელი შეუწყო და გზა გაუხსნა „დანაშაულებრივი თავგადასავლების მაძიებელი ტურისტების“ და დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფების მოძრაობასა და მოქმედებას, რომლებიც სხვადასხვა ღია თუ ფარული ფორმით დაკავშირებული არიან ნარკოდანაშაულთან, ტრეფიკინგთან, პროსტიტუციასთან, ბავშვთა სექსტურიზმთან და სხვა დანაშაულობებთან.<sup>3</sup>

სათანადოდ შესასწავლია უსაფრთხოების კუთხით ალპინიზმთან დაკავშირებული ტურისტული მარშრუტები. 2012-2013 წლებში ამ მარშრუტებზე ტურისტულ სეზონებზე ათობით უბედური შემთხვევა დაფიქსირდა, კერძოდ: გარდაცვალება, ჯანმრთელობის დაზიანება, გზის აბნევა-დაკარგვა და სხვა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის და შესაბამისი ადგილობრივი სტრუქტურების ერთობლივი ღონისძიებების შედეგად მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსებით შესაძლებელი იქნა არაერთი სამაშველო-ოპერატიული ოპერაციების განხორციელება. გადარჩენილია ათობით ტურისტი: რუსეთიდან, პოლონეთიდან, ჩეხეთიდან, უნგრეთიდან, ისრაელიდან და სხვა.<sup>1</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მომზადებული სტატისტიკური ანგარიში „უცხოელი ვიზიტორები და დანაშაული საქართველოში 2011 წელს“ გვაჩვენებს, რომ ტურიზმის განვითარებასთან ერთად დინამიურად გაიზარდა დანაშაული ჩადენილი უცხოელი მოქალაქეების მიმართ და უცხოელი მოქალაქეების მიერ სეზონური ფაქტორების გათვალისწინებით. 2009 წელს მათ მიმართ ჩადენილია 279, ხოლო მათ მიერ 319 დანაშაული; 2010 წელს 358-333; 2011 წელს 529-353. ორივე შემთხვევაში ფაქტთა უმრავლესობა დაფიქსირებულია თბილისსა და აჭარაში.<sup>1</sup> ამ სტატისტიკას ადასტურებს 2010-11 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით და ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარებული „დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა საქართველოში“.<sup>4</sup>

რაც შეეხება ოკუპირებულ აფხაზეთს, აფხაზეთის ე.წ. შსს ინფორმაციით<sup>5</sup> 2008 წლიდან მოყოლებული დანაშაულის მაჩვენებელი იზრდება, დანაშაულობის ზრდა ტურისტულ სეზონს ემთხვევა. თუ 2012 წლის აპრილის თვეში დარეგისტრირებული იყო 75 დანაშაული, მაისში 89-მდე გაიზარდა და მაქსიმუმს აგვისტოს თვეში მიაღწია, როდესაც 161 დანაშაული დარეგისტრირდა, რაც ძირითადად მოდის ქალაქ სოხუმისა და გაგრის რაიონზე. აღნიშნული განპირობებულია მოსახლეობისა და ჩასული ტურისტების რაოდენობით.

სეზონური დანაშაულობის პრობლემებთან დაკავშირებით საუკუნეების მანძილზე მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნების მეცნიერების მიერ არაერთი ღირებული კვლევა გახორციელებული, კერძოდ: დანაშაულობის სეზონური ცვალებადობის კანონზომიერებებს ერთ-ერთმა პირველმა მიაკვლია გელი დე შამპნემ (1788-1852), რომელიც 1821 წლიდან 1830 წლამდე - მეფე ჩარლზ მეათის გადადგომამდე - მუშაობდა საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროში სისხლის სამართლის საქმეთა და შეწყალების დირექტორად. იგი ცდილობდა საფრანგეთის 86 სხვადასხვა დეპარტამენტის (რეგიონის) მონაცემებზე დაყრდნობით ეჩვენებინა გეოგრაფიულ მდებარეობის მიხედვით დანაშაულში ბრალდებულ პირთა რაოდენობის თავისებურებები, რა დროსაც შემთხვევით შეამჩნია დანაშაულის სეზონური ცვალებადობა, კერძოდ ერთ-ერთი დასკვნა რომელიც მან გამოიტანა იყო, რომ: „მაშინ როდესაც ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული რაოდენობით დაწინაურებულია ზაფხულში, ზამთარში რაოდენობით ჭარბობს ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“.<sup>6</sup>

აღნიშნული საკითხის კვლევაში მნიშვნელოვანი გარღვევა განახორციელა ჩეხარე ლომბროზომ, რომელმაც 1899 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „დანაშაული, მისი მიზეზები და პირობები“.<sup>7</sup> სადაც მან, შეაჯერა გელი დე შამპნეს მიერ საფრანგეთსა და ინგლისზე გაკეთებული სტატისტიკური კვლევები, ასევე კურციოს იტალიის იდენტური მაჩვენებლები, გააკეთა ამ სამ ქვეყანაში სხვადასხვა დანაშაულის საერთო სტატისტიკური ანალიზი პროცენტული მაჩვენებლებით და გამოავლინა, რომ: მკვლევლობები პიკს აღწევს წლის ცხელ თვეებში, ასევე, მსოფლიო მასშტაბით 1791-1880 წლებში მომხდარ 836 აჯანყებიდან უმრავლესობა განხორციელდა ზაფხულის თვეებში, განსაკუთრებით ივლისის გამოირჩეოდა აჯანყებების სიმრავლით ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში ხოლო სამხრეთ ამერიკაში აჯანყებები ძირითადად ხდებოდა იანვარში, რაც წარმოადგენდა შესაბამისი კონტინენტისათვის ყველაზე ცხელ თვეს. ამავე ნაშრომში იგი აკეთებს დე შამპნეს ციტირებას და მოჰყავს სტატისტიკური მაჩვენებლები, რომ ინგლისში

პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ყოველი 100 დანაშაულიდან 26.2 ჩადენილი იყო გაზაფხულზე და 31.7 ზაფხულში, ხოლო საფრანგეთისთვის იგივე მაჩვენებელი გაზაფხულს იყო 26, ზაფხულში კი 37.31.<sup>8</sup>

1891 წელს, ინგლისში საპატიმრო დაწესებულებების თანამშრომელმა, ვილიამ დუგლას მორისონმა გამოაქვეყნა ნაშრომი „დანაშაული და მისი მიზეზები“, სადაც მან ბრიტანული ციხეების ყოველწლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით აჩვენა, რომ მუდმივად ოქტომბრიდან თებერვლამდე ხდება პატიმართა რიცხვის შემცირება.<sup>9</sup>

მორისონი ამავე ნაშრომში ცდილობს სხვადასხვა თეორიის ფარგლებში პასუხი გასცეს კითხვას თუ რატომ აქვს ადგილი ზემოთხსენებულ მოვლენას და ასკვნის, რომ ამინდია მიზეზი დანაშაულობის დინამიკის და შესაბამისად პატიმართა რაოდენობის სეზონური ცვალებადობის: „ამინდის გაუმჯობესება გავლენას ახდენს ადამიანთა შორის ურთიერთობის რაოდენობის ზრდაზე, ხოლო ურთიერთობის რაოდენობის ზრდა გავლენას ახდენს დანაშაულის შემთხვევების ზრდაზე, ამგვარად შეიძლება დავასკვნათ რომ, ირიბად მაინც, საზოგადოების მოქმედებაზე გავლენას ახდენს ამინდის და შესაბამისად ატმოსფერული ტემპერატურის სეზონური ცვალებადობა“.<sup>10</sup> ამ დებულების დასამტკიცებლად მას მოაქვს ციხის პატიმართა შორის განაწესის დარღვევის სეზონური მაჩვენებლების ანალიზი, რომლის მიხედვითაც ზაფხული გამოირჩევა მაჩვენებლების ზრდით, რათაც იგი ამბობს რომ ზაფხულში დანაშაულობის ზრდა შეიძლება ავსხნათ ფსიქოლოგიური ფაქტორებით, რადგან მთელი წლის განმავლობაში პატიმრები იმყოფებიან იდენტურ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში.

შემდეგი მკვლევარი რომელმაც ყურადღება დაუთმო ამ პრობლემას გახლდათ ალექსანდ ფონ ოტინგენი. მან გაანალიზა დე შამპნეს მიერ შემუშავებული სტატისტიკური მასალა და გააკეთა დასკვნები რომ: დღის სინათლის ზრდა/კლებას აქვს პირდაპირი კავშირი დანაშაულის მაჩვენებელზე, მაგალითად, ამბობს იგი, დათბობასთან ერთად იზრდება ადამიანის სექსუალური ლტოლვა და შესაბამისად გაუპატიურებების რაოდენობა. სტატისტიკა ასევე აჩვენებს რომ ცხელი კლიმატის ქვეყნებში სექსუალური ლტოლვა კიდევ უფრო მაღალია და შესაბამისად რისკებიც - ამბობს იგი, აქვე, ცდილობს ახსნას ინგლისსა და საფრანგეთს შორის შემოდგომის სეზონზე არსებული დანაშაულის კოეფიციენტების სხვაობა და ამ მოვლენას ხსნის ინგლისში შემოდგომის უფრო თბილი კლიმატით, რაც ზრდის დანაშაულის რაოდენობას საფრანგეთთან შედარებით.<sup>11</sup> ოტინგენი ასევე დაეთანხმა დე შამპნეს დასკვნებს, რომ ადამიანის და ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ავლენენ საპირისპირო ტენდენციებს. ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ზრდადობით გამოირჩევა გაზაფხულს და მაქსიმუმს აღწევს ზაფხულის თვეებში, მაშინ როცა ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მაქსიმუმზეა ზამთარში, ისინი შედარებით ერთნაირ დონეზეა შემოდგომით.<sup>11</sup>

ჰუგო ჰერცმა 1908 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი, რომლითაც შეისწავლა ავსტრიის მხარე ბრუნში 1898 -1902 წლებში მომხდარი დანაშაულის სტატისტიკა და მივიდა იდენტურ დასკვნამდე. ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობის სეზონურ ზრდას, ჰერცის თქმით, იწვევს ზამთრის პერიოდში ადამიანის მეტაბოლიზმის თავისებურებები - მას ესაჭიროებოდა მეტი საკვები ორგანიზმის ტემპერატურის შესანარჩუნებლად, ასევე ზამთარში სეზონური უმუშევრობის მაჩვენებლებიც მაღალია და შესაბამისად განაპირობებს დანაშაულის ზრდას. აქვე მან გაანალიზა



სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სეზონურობა სადაც მან ვერ დაინახა ამ მოვლენის სისტემური ხასიათი, მხოლოდ შენიშნა რომ მათი რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდებოდა ოქტომბერში, მისი აზრით ეს უკავშირდებოდა ავსტრიაში უმუშევრობის პიკს, როდესაც უმუშევრად დარჩენილი ადამიანები უბრუნდებოდნენ თავიანთ სოფლებს დასაქმების ფუჭი მოლოდინით.<sup>12</sup>

დანაშაულის სეზონურობის თეორიის შესამოწმებლად ამერიკელმა მეცნიერმა გერჰარდ ჯ. ფალკმა 1952 წელს ჩაატარა მასშტაბური კვლევა, რომლის ფარგლებში შეისწავლა ამერიკის შეერთებული შტატების 8 მსხვილი ქალაქის პოლიციის 10 ყოველწლიური ანგარიში.<sup>13</sup> რომლის საფუძველზეც გააკეთა დასკვნები:

1. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული თავის წლიურ მაქსიმუმს აღწევს ზაფხულში, ასეთი დანაშაული არ იზრდება/იკლებს შესაბამის თვეში ტემპერატურის ცვლილებასთან ერთად. ამას ადასტურებს მკვლევლობების მაჩვენებელი, იგი, კვლევის მიხედვით, პიკზე იყო ივლისში, რაც მანამდე არსებულ თეორიას შეესაბამებოდა, მაგრამ მომდევნო უმაღლესი მაჩვენებლების მქონე თვეები გახლდათ ოქტომბერი და დეკემბერი, რაც ზოგიერთი მეცნიერის აზრით ამ პერიოდში არსებულ დღესასწაულებს ბრალდებოდა, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლის თვეები იყო მარტი და აპრილი - რომლებიც რათქმაუნდა არ წარმოადგენდნენ წლის ყველაზე ცივ თვეებს.

2. ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მინიმალურია ზამთრის განმავლობაში;

3. ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ყოველთვის არ აღწევს მაქსიმალურ დონეს ზამთარში და მინიმალურს ზაფხულში, რაც მტკიცდება დანაშაულის სხვადასხვა ფორმების ანალიზის საფუძველზე. ამ კვლევით ქონების წინააღმდეგ დანაშაული დაყოფილი იყო ძარცვად, ქურდობად, ქურდობად ბინაში შეღწევით და ავტომობილის ქურდობად. ძარცვის პიკი დაფიქსირდა დეკემბერში, ქურდობისთვის ბინაში შეღწევით - აპრილი და დეკემბერი თანაბრად, ავტომობილის ქურდობისთვის - იანვარი და ქურდობისთვის ოქტომბერი, რაც ნაწილობრივ წინააღმდეგობაში იყო მანამდე არსებულ წარმოდგენებთან.

4. ადამიანის და ქონების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს აქვს საერთო ერთი მაჩვენებელი - მათი უმრავლესობა ხდება ღამის 10 საათიდან შუაღამემდე.

5. უქმეებზე დანაშაულის რაოდენობა სჭარბობს სამუშაო დღეებს და მაქსიმუმს აღწევს შაბათ დღეს ხოლო მინიმუმს სამშაბათს და ოთხშაბათს.

ასევე მნიშვნელოვანია 1984 წლის ამერიკის ილინოისის შტატის იუსტიციის დეპარტამენტის სისხლის სამართლის საინფორმაციო განყოფილების კვლევა სათაურით: “არის დანაშაული სეზონური? “ რომელიც განახორციელა კაროლინ რებეკა ბლოკმა.<sup>14</sup> აქ მნიშვნელოვანია ხაზი გაუუსვიათ იმ გარემოებას, რომ ავტორი ცდილობს პრობლემა დაინახოს სიღრმისეულად და სეზონურობის პრობლემას შეხედოს სხვა კუთხით - იგი სვამს კითხვას შეიძლება თუ არა რომ დანაშაულის აღრიცხვაში სეზონური ცვლილებები გამოწვეული იყოს არა დანაშაულის რაოდენობის სეზონური ცვლილებებით არამედ მისი ლატენცურობის სეზონური ცვლილებებით, მაგალითისთვის ადამიანის წინააღმდეგ დანაშაულის შემთხვევაში ზაფხულის პერიოდში აღრიცხული რაოდენობის ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს

ასეთი დანაშაულის საზოგადოებისთვის უფრო თვალსაჩინოებით, რადგან მეტი ხალხი მოძრაობს ქუჩებში, ფანჯრები ღიაა და შესაძლებელია გამკლავი შეესწროს დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მაშინ როცა ზამთრის ცივ დღეებში ქუჩები შედარებით ცარიელია შენობები გამოკეტილი და შესაბამისად ლატენტურობა გაზრდილი. ამ დებულების დასამტკიცებლად ავტორმა მოახდინა ამერიკაში აღრიცხული თავდასხმების სეზონური სტატისტიკის შეფარდება იმავე პერიოდში ასეთი თავდასხმების მსხვერპლთა რაოდენობრივ მონაცემებს და გამოავლინა რომ თავდასხმების რაოდენობა უფრო მეტად გამოირჩეოდა სეზონური რყევებით ვიდრე მსხვერპლთა რაოდენობა - რაც ამყარებდა თეორიას ლატენტურობის სეზონური ცვალებადობის შესახებ, ასეთივე მონაცემები იქნა მიღებული ძარცვების სტატისტიკის შესწავლის შედეგად - მსხვერპლთა რაოდენობა თვეების მიხედვით რჩებოდა შედარებით სტაბილური, ხოლო პოლიციაში მათი აღრიცხვა გამოირჩეოდა სეზონური რყევებით.

ამავე ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ სეზონური ცვალებადობა მეტად დამახასიათებელია ურბანული დასახლებისთვის ვიდრე სოფლისთვის და ასევე ჩიკაგოს მაგალითზე გაკეთებულია დასკვნა რომ თავდასხმის იარაღიც განაპირობებს დანაშაულის აღრიცხული რაოდენობის სეზონურ ცვალებადობას, ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი თავდასხმა ნაკლებად განიცდის რაოდენობრივ სეზონურ რყევებს, რადგან მიყენებული ზიანი, მსხვერპლის და საზოგადოების მიერ განცდილი საფრთხე რამდენადმე მაღალია, შესაბამისად აღრიცხვიანობაც მიახლოებული რეალობასთან განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში. საბოლოოდ გაკეთებულია დასკვნა რომ დანაშაულის ცალკეული სახეობები გამოირჩევიან სეზონური თავისებურებებით, რომლებიც შეიძლება საინტერესო იყოს პროგნოზირებისათვის, მაგრამ ეს ცვალებადობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ აღძრავს საჭიროებას სამართალდამცავების მხრიდან რაიმე განსაკუთრებული პრევენციული ზომების გატარების.

მნიშვნელოვანი თანამედროვე კვლევა ჩატარდა კარნეგი მელონის უნივერსიტეტში 2003 წელს, რომელიც აკრიტიკებდა აქამდე ჩატარებულ კვლევებს რადგან აქამდე ძირითადად კვლევას აწარმოებდნენ ფართო მასშტაბით - მთელი ქალაქის, რაიონის თუ ქვეყნის ფარგლებში, მაშინ როდესაც დანაშაულობის სეზონური ხასიათი და მნიშვნელობა ვლინდება უფრო პატარა გარემოში - როგორცაა უბანი, საცხოვრებელი კვარტალი, მიკრორაიონი, სამეზობლო. მაგალითად, წლის დროის გავლენით შეიძლება შეცვლილიყო კონკრეტული უბნის მდგომარეობა - მომატებულიყო რეკრეაციული, სავაჭრო, გასართობი თუ სხვა დანიშნულების მქონე უბნის დატვირთვა და შესაბამისად გაუარესებულიყო იქ კრიმინოგენული გარემო, მაგრამ სხვა უბანი საზოგადოებრივი აქტიურობის და შესაბამისად კრიმინოგენული გარემოს შერბილების გამო, ქალაქის საერთო სტატისტიკისთვის სურათი უცვლელი-შეუმჩნეველი დარჩენილიყო.<sup>15</sup> კვლევის ფარგლებში შეისწავლეს ქალაქ პიცბურგის 1990-1998 წლებში მომხდარი დანაშაულების სტატისტიკური მონაცემები, იმ პირობით, რომ ქალაქი დაყვეს 103 სამოქმედო კვადრატად და თითოეულში შეიყვანეს იქ მომხდარი დანაშაულის მაჩვენებლები, ასევე იქ არსებული დაწესებულებების, მოსახლეობის, ინფრასტრუქტურის და სხვა ყველა მნიშვნელოვანი გარემო პირობა რომელიც გავლენას ახდენს კრიმინოგენულ მდგომარეობაზე. კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ დანაშაულის ცალკეულ სახეებს გააჩნიათ საკუთარი ყოველწლიური, სტაბილური სეზონური მახასიათებელი კონკრეტული უბნის ფარგლებში. ზოგიერთმა დანაშაულმა აჩვენა წლების

მანძილზე ყოველთვიური 15 დან 50 პროცენტამდე რყევა თვიდან-თვემდე რის ცოდნაც მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოებისთვის, რათა მოხდეს დევიაციაზე სწრაფი და შესაბამისი რეაგირება და ასევე მათ შეძლონ სწორედ შეაფასონ გატარებული ღონისძიებების შედეგად მოხდა თუ არა მდგომარეობის გამოსწორება - ანუ დაუბრუნდა დანაშაულობის მაჩვენებელი საშუალო სტატისტიკურს კონკრეტული თვისათვის თუ არა.

ამგვარად შეიძლება დავასკვნათ, რომ დანაშაულის სეზონურობას ადგილი აქვს რომელიც თავს იჩენს ტურისტულ ზონებში, მცირე გეოგრაფიული გარემოში დანაშაულის კონკრეტული მაჩვენებლების შესწავლისას და მეორდება სისტემატიურად წლიდან წლამდე. რაც განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ტურიზმის განვითარების პირობებში.

დანაშაულობის სეზონური თავისებურებების სისტემური შესწავლა კონკრეტულ მოკლევადიან პროგნოზს ექვემდებარება და კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდებიდან, საექსპერტო შეფასებასა და მოდელირებასთან შედარებით, უფრო ხშირად, ექსტრაპოლაციის მეთოდი გამოიყენება. რაც დანაშაულობის არსებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით სამომავლო ცვლილებების განსაზღვრაში მდგომარეობს და მისი პროგნოზის სიზუსტე დამოკიდებულია ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაციის სტაბილურობაზე.

ტურიზმის უსაფრთხოებისათვის კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელება საშუალებას მისცემს საზოგადოებას და სახელმწიფო სტრუქტურებს ვიქტიმოლოგიური დონის განსაზღვრით, დანაშაულობის კრიმინოლოგიური პროგნოზირებისა და დაგეგმარების გზით მაქსიმალურად ეფექტურად შეასრულონ ძირითადი ფუნქცია - დანაშაულობის თავიდან აცილება.

#### **მალხაზ ბაძაღვა**

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამართლის დოქტორი

#### **მიხეილ ბაძაღვა**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სამართალმცოდნეობის დოქტორი

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. [www.police.ge](http://www.police.ge)
2. <http://gnta.ge/?lang=ge>
3. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კირიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012 წელი ავტორთა კოლექტივი. გვ-413-417.
4. <http://www.justice.gov.ge/>
5. <http://mvdra.org/>
6. M. C. ELMER, *Century Old Ecological Studies in France*. American Journal of Sociology 34:65, July, 1933.
7. CESARE LOMBROSO. *Crime Its Causes and remedies*, Boston, Little, Brown, 1912, p. 4.
8. Op. Cit. p. 7.
9. WILLIAM D. MORRISON. *Crime and Its Causes*, London, Sonnenschein, 1891, p. 61.
10. MORRISON, *op. cit.* p. 66.

11. ALEXANDER VON OETTINGEN. *Die Moralstatistik Und Ihre Bedeutung Fur Eie Socioethik.* Erlangen, Deichert, 1882.
12. HUGO HERZ, *Verbrechen und Verbrechertum in Osterreich,* Tubingen, Laupp, 1908.
13. GERHARD J. FALK, *The Influence of the Seasons on the Crime Rate.* The Journal of Criminal Law, Criminology, and Police Science, Vol. 43, No. 2. (Jul. - Aug.1952), pp. 199-213.
14. <http://bjs.ojp.usdoj.gov/content/pub/pdf/ics.pdf>
15. JACQUELINE COHEN, WILPEN GORR, CHRISTOPHER DURSO. *Estimation of Crime Seasonality: A Cross-Sectional Extension to Time Series Classical Decomposition.* The H. John Heinz III School of Public Policy and Management Carnegie Mellon University August 2003  
<http://www.heinz.cmu.edu/research/132full.pdf>

*მაღნაზ ბაძაგუა  
მიხეილ ბაძაგუა*

### ტურიზმის უსაფრთხოების კრიმინოლოგიური ასპექტები რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში ტურიზმის განვითარების მდგომარეობა და პერსპექტივები მისი უსაფრთხოებისათვის აუცილებელი კრიმინოლოგიური მიდგომები, ამ მიმართულებით განხილულია ისტორიული, საერთაშორისო გამოცდილება და ცნობილ მეცნიერთა კვლევები. ნაშრომში ასევე დაკავშირებულია სეზონური დანაშაულობა ტურიზმის უსაფრთხოებასთან. დასაბუთებულია ტურიზმთან დაკავშირებული დანაშაულობის პროგნოზირება-დაგეგმარებისათვის და თავიდან აცილებისათვის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან კრიმინოლოგიური კვლევების მნიშვნელობა და აუცილებლობა.

*Малхаз Бадзагуа  
Михаил Бадзагуа*

### Криминологические аспекты безопасности туризма РЕЗЮМЕ

В работе проанализированы существующее в Грузии положение в сфере туризма и перспективы его развития, необходимые для безопасности криминологические подходы. С этой целью рассмотрен исторический, международный опыт и исследования ученых. В работе также проведены параллели между сезонной преступностью и безопасностью туризма.

Доказаны значение и необходимость проведения государством и обществом в целом криминологических исследований в целях прогнозирования, планирования и предупреждения связанных с туризмом преступлений.

*Malkhaz Badzagua  
Mikheil Badzagua*

### Tourism Safety Criminological Aspects Summary

The work examines tourism developments in Georgia, its future prospects and urgent criminological approaches for tourism safety. There are discussed historical, international experience and studies of famous scientists in this direction. Also, seasonal crimes concerning tourism safety are reviewed in this work.

Importance and necessity of criminological investigations by the society and the state is proved for avoiding tourism related offenses and for their study and prediction.

**ანტიტერორისტულ და ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის  
საკითხები ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით**

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს და ეროვნულ ინტერესებს, ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს ქვეყნის წინაშე მდგარ საფრთხეებს და გამოწვევებს და ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. სწორედ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის საფუძველზე იქმნება სხვადასხვა დარგობრივი სტრატეგია და გეგმა. საქართველოს სხვა ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს შორის მნიშვნელოვანია აგრეთვე კანონის უზენაესობა და ქვეყნის უსაფრთხოება.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში დასახელებულია საქართველოს წინაშე არსებული სხვადასხვა საფრთხეები, რისკები და გამოწვევები, მათ შორის საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებანი. აქედან გამომდინარე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებად კონცეფციამ განსაზღვრა ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ.

საერთაშორისო ტერორიზმი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი საფრთხეა, განსაკუთრებით - მეზობელ რეგიონებში განლაგებული ტერორისტული კერების გათვალისწინებით.

საქართველო, როგორც საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის აქტიური მონაწილე, შესაძლოა იქცეს საერთაშორისო ტერორისტული აქტების სამიზნედ. ტერორისტული აქტები შეიძლება განხორციელდეს ეროვნული უსაფრთხოებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურაზე ან/და ობიექტებზე, განსაკუთრებით საერთაშორისო ნავთობ და გაზსადენებზე და საქართველოში მდებარე სხვა სახელმწიფოების კუთვნილ ობიექტებზე.

მოგეხსენებათ, რომ დღეს განსაკუთრებით გაზრდილია საერთაშორისო ტერორიზმის და მისი ახალი ფორმების მზარდი საფრთხეები, ამიტომ ქვეყანამ უნდა გააცნობიეროს ტერორიზმის ნებისმიერი სახის გამოვლინება და ამ სახის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის და საერთოდ სახელმწიფოს კონტრტერორისტული პოლიტიკის მიზანი უნდა გახდეს უზრუნველყოს ქვეყნის მოქალაქეების, სახელმწიფოსა და სხვა ინსტიტუტების უსაფრთხოება.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქცია და პოტენციალი, არსებობს საფრთხე, რომ მისი ხელსაყრელი მდებარეობა გამოყენებულ იქნას ისეთი სახის არალეგალური საქმიანობისთვის, როგორცაა ნარკოტიკების, მცირე და მსუბუქი შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტების, უკანონო გადაზიდვა და ვაჭრობა, ადამიანთა ტრეფიკინგი და სხვ. ქვეყნის ტერიტორიაზე ოკუპირებული რეგიონების არსებობა, იქ გამეფებული უკანონობა, ისევე როგორც მეზობელ ქვეყნებში არსებული კონფლიქტები ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

ორგანიზებული დანაშაულობა კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საშიში სახეობაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ

სფეროებზე. იგი ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხეს წამოადგენს თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისათვის, რასაც ხელს უწყობს სატრანსპორტო და საინფორმაციო კომუნიკაციების განვითარება, კაპიტალის გამარტივებული მოძრაობა, სახელმწიფო საზღვრების გამჭვირვალობა, შრომითი მიგრაციის ზრდა და გლობალიზაციასთან დაკავშირებული სხვა პროცესები.

თანამედროვე სამყაროში ორგანიზებული დანაშაულობა სულ უფრო და უფრო ტრანსნაციონალურ ხასიათს იღებს, კერძოდ, სხვადასხვა კრიმინალური გაერთიანების საქმიანობის სფეროები სცილდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს ფარგლებს. გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გლობალურმა ეკონომიკამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ორგანიზებული დანაშაულობის შემდგომი განვითარებისათვის. საერთაშორისო ვაჭრობის, ფინანსირების, კომუნიკაციების და გადაადგილების უპრეცედენტო გამარტივებამ, ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის ზრდასთან ერთად, კრიმინალურ უამრავი შესაძლებლობა მისცა უკანონო ბიზნესის საწარმოებლად. მარტივად რომ ითქვას, უკანონო საქონელი შეიძლება დამზადდეს ერთ კონტინენტზე და მეორის გავლით გავრცელდეს მესამეზე.

მაფიური ტიპის დაჯგუფებები დღესდღეობით სწორედ ტრანსნაციონალურ საფრთხეს წარმოადგენენ, რომლებიც დარტყმას აყენებენ სახელმწიფო უსაფრთხოებას, ხელს უშლიან სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, განსაკუთრებით - განვითარებად და შიდა კონფლიქტებით მოცულ ქვეყნებში.

მეზობელ ქვეყნებში მოუგვარებელი კონფლიქტების არსებობა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გავრცელებული უკანონობა და სახელმწიფო საზღვრების სუსტი კონტროლი ხელსაყრელ პირობებს ქმნის კონტრაბანდისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებებისათვის, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს ეროვნულ უსაფრთხოებას და ქვეყნის ეკონომიკას. ეს საფრთხეები ძირს უთხრის საქართველოსა და რეგიონის სტაბილურობას, ხელს უშლის სახელმწიფოში წესრიგისა და კანონიერების დამყარებას. საქართველოსათვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს მისი ბუნებრივი სატრანზიტო მდებარეობის აღნიშნული ტრანსნაციონალური დანაშაულებების ჩადენის მიზნით გამოყენების შესაძლებლობა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველო საერთაშორისო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სამიზნედ შეიძლება ჩაითვალოს.

ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, ამჟამად ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაა, ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში აქტიურადაა ჩართული გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

ბევრ ანტიტერორისტულ და ორგანიზებულ დანაშაულთან აღსაკვეთად ჩატარებულ ოპერაციებში მონაწილეობით საქართველო იძენს მდიდარ გამოცდილებას, მაგრამ აუცილებელია რეფორმის გაგრძელება და საკანონმდებლო ბაზის შემდგომი მისადაგება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნებთან, რადგან გასულ წლებში საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, უსაფრთხოების სექტორში განხორციელებულმა რეფორმებმა და მიღწეულმა შედეგებმა ხელი შეუწყო შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტიანობის ზრდას ზემოაღნიშნულ გამოწვევებთან

ბრძოლაში.

როგორც საქართველოში არსებულმა პრაქტიკამ გვიჩვენა, გადამწყვეტი როლი ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში ეკუთვნის სახელმწიფო სტრუქტურებს, იმდენად რამდენადაც, მხოლოდ ისინი ფლობენ იძულების ხერხებსა და ინსტიტუტებს. სახელმწიფო საზღვრავს დანაშაულობასთან ბრძოლის მიმართულებებს. ორგანიზებულ დანაშაულობასთან. ქმედების მთავარ ელემენტს წარმოადგენს უმაღლესი ხელისუფლების პოლიტიკური ნება და მკაცრი თანმიმდევრული პოლიტიკა მიმართული მსგავსი სახის დანაშაულობის კორუფციული, ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური შემადგენლების განეიტრალებისაკენ.

სახელმწიფო თავისი ორგანოების მეშვეობით განსაზღვრავს მსგავს დანაშაულობასთან ბრძოლის ძირითად მიმართულებებს, მთავარ პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს, აყალიბებს შესაბამის ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას, უზრუნველყოფს შესაბამისი პოლიტიკის რეალიზაციისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვას, კონტროლსა და კოორდინაციას ზოგადსახელმწიფოებრივი მასშტაბებით.

ჩატარებული პოლიტიკური, სტრუქტურული და სამართლებრივი რეფორმების და ახალი საკანონმდებლო ბაზის (საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“, ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში და სხვა), საფუძველზე შესაძლებელი გახდა დანაშაულის, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაულის მკვეთრი შემცირება.

რა თქმა უნდა, ამ მიზნების მისაღწევად, საქართველოს ხელისუფლება მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ავითარებს ტერორიზმთან და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულთან ბრძოლის საშუალებებს, მაგრამ საჭიროა აქტიური მიზანმიმართული საქმიანობა, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის კოორდინაცია და ბრძოლის გააქტიურება ამგვარი დანაშაულის წინააღმდეგ.

**გივი აბაშიძე**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი

**გივი აბაშიძე**

**ანტიტერორისტულ და ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით რეზიუმე**

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენების თეზისებში გადმოცემულია საქართველოს წინაშე არსებული სხვადასხვა საფრთხეები, კერძოდ საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებანი. განხილულია საკითხები საერთაშორისო ტერორიზმის და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის კოორდინაციის და ბრძოლის გააქტიურების შესახებ.

**Вопросы борьбы против терроризма и организованной преступностью  
согласно концепции национальной безопасности**

**Резюме**

В тезисах доклада, представленного на конференций, переданы разные опасности, угрожающие безопасности Грузии. В частности, международный терроризм и транснациональные организованные преступления, рассмотрены вопросы координации и активизации борьбы правоохранительных органов с международным терроризмом и транснациональной организованной преступностью.

**The questions on the organised struggle against criminality and terrorism according to  
the national concept**

**Summary**

In the report theses, presented at conference, are the dangers existing in front of Georgia, namely the international terrorism and transnational organised crime. It considers the questions on activation of struggle and co-ordinate works of legal bodies against the international terrorism and a transnational organised crime.



**თანამედროვე კრიმინოლოგიური აზროვნების პრობლემები საქართველოში**

თანამედროვე საზოგადოებაში კრიმინოლოგიურმა აზროვნებამ დაიმკვიდრა მეტად მნიშვნელოვანი ადგილი, არ არსებობს საზოგადოებრივი მოღვაწეობის არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი სფერო რომელსაც შეხება არ ჰქონდეს კრიმინოლოგიასთან. კრიმინოლოგიური აზროვნების, მეთოდების, ხედვების გამოყენება, გათვითცნობიერებულად თუ გაუთვითცნობიერებლად, ხდება ყველა იმ სფეროში რომელსაც შეხება აქვს დანაშაულობასთან, ეს კი ის მოვლენაა რომელიც როგორც ცნობილია მუდამ იარსებებს მანამ სანამ არსებობს ადამიანთა საზოგადოება.

არ ვიქნები ახალი და დავეთანხმები უკვე გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ საქართველოში კრიმინოლოგიის განვითარების კუთხით პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე თეორიების და პრაქტიკული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის სიმცირე, პრაქტიკოს კრიმინოლოგთა და მეცნიერთა დაქსაქსულობა, ერთიანი სასწავლო-სამეცნიერო ფუნდამენტის არ არსებობა, საზოგადოებაში კრიმინოლოგიის შესახებ ინფორმაციის არ ქონდა – იდენტიფიკაციის პრობლემები.

ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან მეტად აქტუალური პრობლემაა კრიმინოლოგთა საზოგადოების დაქსაქსულობა, რაც თავის მხრივ სხვა მრავალი სირთულეების გამომწვევაცაა. საქართველოში აღმოჩნდა რომ არსებობს არაერთი კრიმინოლოგიური მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია, მათ შორის აღსანიშნავია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტთან არსებული კვლევითი ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია “დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი,” ჟურნალი “კრიმინოლოგი” და სხვა. ისინი წლების მანძილზე ეწევიან კრიმინოლოგიური პრობლემატიკის დამოუკიდებლად შესწავლას, რაც მისასაღებელია. მაგრამ არსებობს მათ შორის კოორდინაციის პრობლემა, რაც იწვევს გარკვეულ მიმართულებით კვლევების დუბლირებას, მაშინ როდესაც გარკვეული მიმართულებები უყურადღებოდ რჩება. ეს ბუნებრივია რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოში არ არსებობს კრიმინოლოგთა გაერთიანება, რომლის ფარგლებშიც მოხდებოდა ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და კოორდინაცია, ასევე აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში როდესაც საქართველოში საგრძნობლად შემცირებულია გრანტების მიღების შესაძლებლობა კვლევითი ორგანიზაციები გარკვეულწილად წარმოჩინდნენ როგორც, ასე ვთქვათ, კონკურენტი დაწესებულებები, რომლებიც იბრძვიან ამ მწირი რესურსის ხელში ჩასაგდებად, ხოლო მათი კვლევები შეიძლება გაიგივდეს “კომერციულ პროდუქტთან” რომელზეც ინფორმაციის ნაადრევმა გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს პროექტის “კონკურენტების” მხრიდან “წაგლეჯვა” და შესაბამისად შემოსავლის დაკარგვა, ანუ, ჩემი აზრით ეს გათიშულობა დღევანდელობის ბუნებრივი მოცემულობაა.

ზემოთ განხილული ვითარება ასევე იწვევს სხვა არანაკლებ აქტუალური პრობლემის არსებობას – კრიმინოლოგთა შორის მყარი კავშირების და ინფორმაციის-ცოდნის შეჯერების მექანიზმების არ არსებობას, ეს კი იწვევს სხვა და სხვა მეცნიერებს შორის და შესაბამისად, სხვადასხვა სახელმძღვანელოებებში ერთ და იგივე მოვლენებზე არაიდენტური და ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებებს. აღნიშნული მწვავედ იჩენს თავს სწავლების პროცესში. დღეისათვის არ არსებობს ერთიანი შეჯერებული კრიმინოლოგიის სახელმძღვანელო. სხვადასხვა დონის

სასწავლო დაწესებულებებისათვის სწავლება ხორციელდება მრავალი წიგნის მეშვეობით, რომელთა ნაწილში იგრძნობა ამერიკული აზროვნების გავლენა – აქცენტია გაკეთებული კრიმინოლოგიის როგორც სოციოლოგიური მეცნიერების ნაწილზე, სხვაგან კი საბჭოთა და გერმანული გავლენა მეტად საგრძნობია – კრიმინოლოგია განხილულია სისხლის სამართლის მეცნიერების ნაწილად. რაც პრობლემას ქმნის სწავლების პროცესში, იგრძნობა სტუდენტების დაბნეულობა თუ რომელი ცნება და მიდგომაა მართებული ამა თუ იმ მოვლენის დახასიათების დროს, ხდება სხვადასხვა დებულებების აღრევა და შესაბამისად გვაქვს არასახარბიელო საბოლოო რეზულტატი – არაპროფესიონალ სამართალდამცავ-კრიმინოლოგთა სახით.

უკვე განხილული პრობლემების კვალობაზე არ იქნება სიახლე თუ ვიტყვით, რომ საზოგადოებაში ვერ ხდება კრიმინოლოგიის როგორც დანაშაულობის შემსწავლელი მეცნიერების იდენტიფიცირება. ხშირია კრიმინოლოგიის და კრიმინალისტიკის გაიგივება არა მარტო ზოგადად საზოგადოებაში არამედ იურისტებშიც კი, რასაც ჩატარებული კვლევები ადასტურებს და მეტად საყურადღებოა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამავე მდგომარეობიდან გამომდინარეობს მასმედიის საშუალებებში კრიმინოლოგიურ პრობლემების განხილვისას სხვადასხვა დარგის ექსპერტების ინტერვიუების პრაქტიკა, რადგან ჟურნალისტებსაც არ გააჩნიათ ცოდნა კრიმინოლოგიის როგორც დანაშაულობის შემსწავლელი მეცნიერების და შესაბამისად ექსპერტ კრიმინოლოგების არსებობის შესახებ, რომელთაც შეიძლება მივმართოდ საჭირო დასკვნების, კომენტარების გაკეთების მიზნით.

ყველა ზემოთქმული პრობლემების გადაჭრის ეფექტურ საშუალებად მიმაჩნია, დღევანდელ შეხვედრაზე რამოდენიმე გამომსვლელის მიერ უკვე შემოთავაზებული, კრიმინოლოგთა ეროვნული ასოციაციის შექმნა, რომელიც მოაწესრიგებდა კრიმინოლოგთა შორის კომუნიკაციის, ინფორმაციის შეგროვების, გავრცელების, პოპულარიზაციის პრობლემას. ეს კავშირი უნდა ჩამოყალიბდეს იმ პლატფორმად სადაც ადგილი ექნება არა მკვლევართა შორის კონკურენციას – ქიშპს, არამედ მოხდება მათი სიმბიოზი – ცოდნის, გამოცდილების შეჯერება, საკვლევი ახალი მიზნების დასახვა და ურთიერთდახმარება. ამ მიზნით, აქვე შეიქმნება სხვადასხვა მიმართულების ექსპერტ-კრიმინოლოგთა ჯგუფები. ასევე ამ მექანიზმით უფრო გამარტივდება კრიმინოლოგიის საზოგადოებაში პოპულარიზაცია – მასმედიის წარმომადგენლებს ეცოდინებათ თუ ვის უნდა მიმართონ კონკრეტული მიმართულების უმაღლესი კატეგორიის ექსპერტებთან დასაკავშირებლად და საჭირო ინფორმაციის მისაღებად. აქვე მოხდება სპეციალური ინფორმაციის, ლიტერატურის, სტატისტიკური თუ სხვაგვარი მონაცემების ბაზების შემუშავება, დანერგვა და ანალიზი.

ჩემი აზრით, ასეთი სტრუქტურის დანერგვა მოწონებული იქნება კრიმინოლოგთა შორის, რადგან იგი გამოიწვევს საზოგადოებაში მათი ცნობადობის და ავტორიტეტის ზრდას ეს კი თავის მხრივ, რაც არ უნდა ბანალურად ჟღერდეს, ასახვას ჰპოვებს კონკრეტული პირების შემოსავლებზე, რაც მნიშვნელოვანი მამოტივირებელი ფაქტორია.

### **მიხეილ ბაძაღუა**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის  
დირექტორი, სამართალმცოდნეობის დოქტორი

**თანამედროვე კრიმინოლოგიური აზროვნების პრობლემები საქართველოში  
რეზიუმე**

ავტორი ხაზს უსვამს საქართველოში კრიმინოლოგთა საზოგადოების დაქსაქსულობას, რაც მისი აზრით გამოწვეულია ფინანსური რესურსების სიმწირით და მეცნიერთა შორის კონკურენციით. აღნიშნული თავს იჩენს გამოქვეყნებულ შრომებში და სახელმძღვანელოებში, სადაც ხშირია ერთ და იგივე მოვლენის განმსაზღვრელ ტერმინთა შორის შეუთანხმებლობა და ასევე ხშირია აქტუალური კვლევების დუბლირება, მაშინ როცა მრავალი მნიშვნელოვანი მაგრამ ნაკლებ პოპულარული თემა მკვლევართა ყურადღების მიღმა არის დარჩენილი. არსებული მდგომარეობიდან გამოსავლად დასახულია კრიმინოლოგიის პოლულარიზაცია საზოგადოებაში, რისთვისაც აუცილებელია მედიის საშუალებებით ექსპერტ-კრიმინოლოგთა შეფასებების წამოწევა, რაც გაზრდის მათ საზოგადოებაში ცნობადობას და შესაბამისად მათზე მოთხოვნას. აღნიშნულის განსახორციელებლად კი მოწონებულია კრიმინოლოგთა ეროვნული ასოციაციის შექმნის ინიციატივა.

*Михаил Бадзагуа*

**Проблемы современного криминологического мышления в Грузии  
РЕЗЮМЕ**

Автор подчеркивает разрозненность криминологического общества в Грузии, что, по его мнению, вызвано дефицитом финансовых ресурсов и конкуренцией между учеными. Это выражается в опубликованных работах и пособиях, где часто наблюдается несоответствие терминов, обозначающих одно и то же явление, а также часты факты дублирования актуальных исследований, тогда как большинство значимых, но наименее популярных тем остается за гранью внимания исследователей. Выходом из создавшегося положения намечены популяризация криминологии в обществе, для чего необходимо освещение медиа-средствами заключений экспертов-криминологов с целью повышения в обществе их узнаваемости и, соответственно, их востребованности. В целях осуществления указанного одобрена инициатива по созданию Национальной Ассоциации криминологов.

*Mikheil Badzagua*

**Problems of Modern Criminological Thought in Georgia  
Summary**

Article stresses the drawbacks of criminological society in modern Georgia, where individual criminologists operate separately, whereas in the state operate number of criminological research institutions, but they also leak interactions among each other on different economical and various rivalry reasons. All mentioned above, creates situation where criminological researches sometimes overlap and are done with little sense, because are not known to wider public. Problem is also in nonexistence of common teaching methodology and appropriate textbooks.

Author agrees with the idea of the establishment of Georgian Society of Criminology that would bring together those individuals and organizations and make them act in harmony. Here, for future promotion of criminology, would be good a creation of boards of expert-criminologists and substantial database around the matter, that would be used by social media and other interested parties for practical reasons, thus promoting this field of study, different individual expert-criminologists and lead to the overall improvement of social awareness around the matter.

ტალიანის კომისიის დასკვნის ზოგიერთი ასპექტი

2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებიდან სამი წელი გავიდა. რუსეთის სამხედრო ინტერვენციას ფართო გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიოში. ევროკავშირმა პირველად გადაწყვიტა ჩართულიყო შეიარაღებული კონფლიქტის მოგვარებაში. ამას ადასტურებს შვეიცარიელი დიპლომატის ჰაიდი ტალიანის ხელმძღვანელობით შექმნილი ევროკავშირის საგამოძიებო კომისიის შექმნაც, რომელმაც აღნიშნული კონფლიქტი შეისწავლა. წარმოადგინეს დოკუმენტი, რომლის ზუსტი დასახელება ასეთია: „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში“. ფართო საზოგადოებისათვის აღნიშნული დოკუმენტი ცნობილია, როგორც „ტალიანის კომისიის დასკვნა“. უნდა აღინიშნოს, რომ კომისიამ, ჩვენი აზრით, პასუხისმგებლობა აიცილა და დასკვნის მაგივრად წარმოადგინა ანგარიში მომხდარი საომარი კონფლიქტის შესახებ. ვფიქრობთ დასკვნას და ანგარიშს, პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით, სხვადასხვა იურიდიული ძალა გააჩნია, მათ შორის, საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიღებისთვისაც. ამ და სხვა გარემოებებმა განაპირობა ინტერესი ანგარიშში წარმოდგენილი ფაქტების ტალიანისეული ინტერპრეტაციის მიმართ, კერძოდ:

განხორციელდა თუ არა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის გენოციდი;

ჰქონდა თუ არა რუსეთს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის სამართლებრივი საფუძვლები;

განხორციელდა თუ არა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის გენოციდი?

აღსანიშნავია, რომ რუსეთის და სამხრეთ ოსეთის მხარემ პირიქით საქართველო დაადანაშაულა გენოციდში. ამასთან დაკავშირებით, ტალიანის კომისიის ანგარიშის პირველი თავის 27-ე მუხლში მითითებულია შემდეგი: „რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერ საქართველოს დადანაშაულება გენოციდში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზულ ბრალდებას წარმოადგენდა. ...მისია ადგენს, რომ მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვერ იქნა მოძიებული ქართული მხარის მიერ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის კონტექსტში და მის შემდგომ წარმოებული გენოციდის შესახებ განცხადებების დამადასტურებელი არც ფაქტობრივი მტკიცებულება და არც კანონით გათვალისწინებული რაიმე პირობა. აღნიშნული ანგარიში ემყარება იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, გენოციდის შედეგის მისაღებად საჭიროა მტკიცებულებების არსებობა, რომელიც ადასტურებს გენოციდის დანაშაულებრივი ქმედების მიზანმიმართულ განზრახვის არსებობას“.<sup>1</sup>

ამავე მუხლში ვკითხულობთ: „რაც შეეხება განცხადებებს სამხრეთ ოსეთის ძალების ან არაფორმალური შეიარაღებული ჯგუფების მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შესახებ, მისიამ გამოავლინა იმ ეთნიკურ ქართველთა იძულებითი გადაადგილების შემთხვევები, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემდეგაც საკუთარ სახლებში იმყოფებოდნენ. გარდა ამისა, არსებობს სამხრეთ ოსეთის მიერ ეთნიკური ქართული სოფლების სისტემატური ძარცვისა და ნგრევის დამადასტურებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, რამდენიმე გარემოება იძლევა დასკვნის

საფუძველს, რომ ეთნიკური წმენდა ნამდვილად განხორციელდა ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთში, როგორც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის განმავლობაში, ისე მის შემდგომ. ახლაც კი, წინამდებარე ანგარიშზე მუშაობის დროს”.<sup>1</sup>

ამრიგად, ტალიავინის კომისიის ანგარიშში კარგად იკითხება, რომ რუსეთ-ოსეთის მხრიდან არ ჰქონია გენოციდის ადგილი, არამედ დადასტურებულად არის მიჩნეული ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ეთნიკური წმენდა” პოლიტიკური ლექსიკონის კუთვნილებაა და არა სისხლის სამართლის კოდექსის. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთა შორის მითითებულია გენოციდი და არა ეთნიკური წმენდა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლში ვკითხულობთ: „გენოციდი, ესე იგი ქმედება, ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან და რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობის განხრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში”.<sup>2</sup>

ტალიავინის კომისიას მიაჩნია, რომ აღნიშნულ მუხლში აღწერილ ფაქტიურ გარემოებას არ ჰქონია ადგილი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, თუმცა კომისიას ვერ მოაქვს რაიმე გამამართლებელი და მყარი არგუმენტები ამ თვალსაზრისით. პირიქით ანგარიშის 28-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ „განხორციელდა ეთნიკური ქართული სოფლების ფართომასშტაბიანი ძარცვა და განადგურება სამხრეთ ოსების მიერ, ისევე როგორც ცუდად მოპყრობა, გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულებები, როგორცაა გაუპატიურება, თავდასხმა, გატაცება და არაკანონიერი დაპატიმრებები.”<sup>1</sup>

ფაქტიურად, ტალიავინის კომისია თვითონვე აღიარებს გენოციდის დამახასიათებელ გარემოებებს ოსების მხრიდან ქართველების მიმართ, თუმცა გენოციდის კვალიფიკაციისგან თავს იკავებს, რითაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში, ჩვენ მხრიდან, ქართული მოსახლეობის გენოციდის დადასტურებას არაპერსპექტიულს ხდის.

ჰქონდა თუ არა რუსეთს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის სამართლებრივი საფუძველები?

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის უფლებას ანგარიშის I თავის მე-11 მუხლი ეთმობა: „ორივე, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი თვითგამორკვევის უფლებას განიხილავს, როგორც სამართლებრივ საფუძველს შესაბამისი ტერიტორიების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაში. თუმცა, საერთაშორისო სამართალი არ აღიარებს ახალი სახელმწიფოს ცალმხრივი გადაწყვეტილებით შექმნის უფლებას ერთა თვითგამორკვევის პრინციპებზე დაყრდნობით, თუ საქმე არ ეხება კოლონიურ და აპართეიდულ შემთხვევებს.”<sup>1</sup>

ამ აზრის უკეთესად განვითარებისთვის მოვიშველიებთ საერთაშორისო სამართლის ცნობილი სპეციალისტის პიტერ მაღანჩუკის მოსაზრებას. იგი წერს „გაეროს წესდების შესაბამისად გაბატონებული სახელმწიფოთა პრაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ თვითგამორკვევის უფლება

შემოიფარგლება კოლონიური კონტექსტით”.<sup>3</sup>

მე-11 მუხლში ასევე ვკითხულობთ „განსაკუთრებული თანხმობა სახელმწიფოდან გამოყოფაზე მისაღებია ისეთი უკიდურესი პირობების შემთხვევაში, როგორც არის გენოციდი, რასაც ჯერჯერობით საყოველთაო აღიარება არ მოჰყოლია. როგორც შემდგომმა პერიოდმა გვიჩვენა, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტისა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შემდგომი აღიარების შემთხვევაში მისიამ დაადგინა, რომ გენოციდს ადგილი არ ჰქონია.”<sup>1</sup> ამ შემთხვევაშიც სეპარატისტულ რეგიონებს ხელიდან გამოეცალათ სერიოზული არგუმენტი.

აღიარებული ფაქტია, რომ სეპარატიზმი უკვე მსოფლიოს თავის ტიპილად იქცა. მართალია, „ხალხებს” უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი ენა, კულტურა, ტრადიცია, განაგონ საკუთარი ბედი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი მოხდეს დედასახელმწიფოსგან გამოყოფის და ტერიტორიული მთლიანობის რღვევის ხარჯზე.

კვლავ დავიმოწმებთ პიტერ მალანჩუკს: „თვითგამორკვევის უფლება, ყოველ შემთხვევაში, გამოყოფის თვალსაზრისით, არ არის არსებული სახელმწიფოში მცხოვრები უმცირესობების, აგრეთვე კომპაქტურად თავმოყრილი ეთნიკური უმცირესობების უფლება. ეს დადასტურებულია დოკუმენტებში, როგორცაა მეგობრული ურთიერთობების დეკლარაცია, გაეროს 1992 წლის დეკლარაცია უმცირესობების შესახებ”.<sup>4</sup> ამასთან, გვერდს ვერ აუგვლით 1990 წლის პარიზის ქარტიის ძირითად მოთხოვნას იმის შესახებ, რომ „გამორიცხულია იმ წარმონაქმნების ცნობა, რომლებიც აგრესიის შედეგია”.

აქედან გამომდინარე, სამართლიანია, რომ აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც უნდა სარგებლობდნენ „საშინაო” თვითგამორკვევის უფლებით და არა მესამე სახელმწიფოს ჩარევით, მათი აღიარებით და საქართველოს სუვერენიტეტის შელახვით. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ „მესამე სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენცია აჯანყებულთა მხარდაჭერის მიზნით აკრძალულია”.<sup>5</sup>

ამდენად ზემოთ მოყვანილი კომისიის ანგარიშის ზოგიერთი დებულება როგორც სამართლებრივად, ისე პოლიტიკურად შეუსაბამო და დაუსაბუთებელია ან, პირიქით მიუხედავად მისი სრული სიცხადისა, კონკრეტულისგან გვერდავლილი, ზოგადი, რაც მათ სამართლებრივი და პოლიტიკური დასკვნებისთვის, მით უმეტეს საერთაშორისო სასამართლოში მტკიცებად გამოყენებისათვის, უვარგისს ხდის.

დასანანია, რომ ძირითადად ეს ეხება იმ ფაქტებს, რომელშიც კონფლიქტის მეორე მხარის – რუსეთ-სამხრეთ ოსეთის დადანაშაულება შეიძლება.

ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი სახის სამართლებრივი ხასიათის დასკვნები:

– ფაქტიურად ტალიაინის კომისია თვითონვე აღიარებს გენოციდის დამახასიათებელ გარემოებებს ოსების მხრიდან ქართველების მიმართ, თუმცა გენოციდის კვალიფიკაციისგან თავს იკავებს, რითაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში ჩვენს მხრიდან ქართული მოსახლეობის გენოციდის დადასტურებას თითქმის არაპერსპექტიულს ხდის.

– აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის

უფლებასთან მიმართებაში კომისიის არგუმენტები მნიშვნელოვანია, მაგრამ არათანამიმდევრული, რადგან აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ქმედებებს თუ კომისია მკვეთრად უარყოფითად აფასებს, რუსეთის მიმართ ასეთი მკვეთრი შეფასებისგან თავს იკავებს.

**სოფო მიდელაშვილი**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში.
2. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 407.
3. პიტერ მაღანჩუკი. აკეპარტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. 2005, გვ. 369.
4. იგივე, გვ. 369.
5. იგივე, გვ. 96.

**სოფო მიდელაშვილი**

**ტალიავინის კომისიის დასკვნის ზოგიერთი ასპექტი  
რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ტალიავინის კომისიის დამოკიდებულება შემდეგ საკითხებზე:

განხორციელდა თუ არა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის გენოციდი;

ჰქონდა თუ არა რუსეთს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

ანალიზის შედეგად მივედით შემდეგ დასკვნამდე:

- ფაქტიურად ტალიავინის კომისია თვითონვე აღიარებს გენოციდის დამახასიათებელ გარემოებებს ოსების მხრიდან ქართველების მიმართ, თუმცა გენოციდის კვალიფიკაციისგან თავს იკავებს, რითაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში ჩვენს მხრიდან ქართული მოსახლეობის გენოციდის დადასტურებას თითქმის არაპერსპექტიულს ხდის.
- აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის უფლებასთან მიმართებაში კომისიის არგუმენტები მნიშვნელოვანია, მაგრამ არათანამიმდევრული, რადგან აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ქმედებებს თუ კომისია მკვეთრად უარყოფითად აფასებს, თვითონ რუსეთის მიმართ ასეთი მკვეთრი შეფასებისგან თავს იკავებს.

**Некоторые аспекты заключения комиссии Тальявина  
Резюме**

В статье рассматривается отношение „Талиавинской Комиссии” на следующие темы:

Осуществился или нет на т.н. территории Южной Осетии геноцид грузин;

Справедливо ли было со стороны России признание независимости Абхазии и т.н. Южной Осетии;

После анализа мы получили следующие решения:

- Фактически Талиавинская Комиссия сама же признала геноцид по характерным признакам со стороны осетин по отношению к грузинским жителям, хотя геноцид сдерживает себя от квалификации, чем Международный Уголовный Правовой Суд, доказательство о геноциде грузинских жителей делает неперспективным.
- Аргументы комиссии на права самоопределяемости Абхазии и т.н. Южной Осетии важны, но они непоследовательные, так как если комиссия негативно оценивает действия Абхазии и т.н. Южной Осетии, но по отношению к России она сдержанная.

**Some of the aspects of Tagliavini Commission Conclusion  
Resume**

Article considers the attitude of The Tagliavini’s committee about following issues:

Were the facts of Georgian people’s genocide on the territory of South Ossetia?

Had Russia legal basis for the recognition of independence of South Ossetia and Abkhazia?

- Practically, Tagliavini’s committee recognizes the facts of genocide towards Georgian from South Ossetia, but doesn’t give qualification of genocide and it’s not perspective to confirm Georgian people’s genocide in International Criminal Court.
- The arguments of the committee self-determination rights of South Ossetia and Abkhazia is very important, but unconservative, because the committee estimates actions of Ossetia and Abkhazia as negative, but abstains from sharp estimation towards Russia.



**უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ  
ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები საქართველოში**

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გარეშე. პასუხისმგებლობის დაწესება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის ეს არის სისხლის სამართლის დაცვითი ამოცანის გამოვლინება, რომელიც მოწმობს, რომ ფულის გათეთრება წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებისთვის.

ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია საქართველოში 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში 194 მუხლის შეტანით განხორციელდა. მუხლის რედაქცია არაერთხელ შეიცვალა, ამასთან 2008 წელს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა კიდევ ერთი – 1491 მუხლი - „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობა, ნივთის შექმნა, ფლობა ან გასაღება.“

სსკ 194 მუხლის წინა რედაქციებში საუბარი იყო არა უკანონო, არამედ დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციაზე. ამ მიმართულებით ცვლილების განხორციელება ორი გარემოებით იყო განპირობებული, პირველი - (ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ) გაეროს პალერმოს კონვენციის მე-6 მუხლში მითითებულია, რომ ყველა მონაწილე-სახელმწიფომ ფულის გათეთრებისათვის პასუხისმგებლობა უნდა დააწესოს ძირითად (პრედიკატულ) სამართალდარღვევათა მაქსიმალურად ფართო წრისთვის. მეორეც, ექსპერტთა აზრით იმ შემთხვევაში თუ პასუხისმგებლობა დაწესებული იქნება მხოლოდ დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციისთვის – ასეთი ფორმულირების თანახმად საჭირო იქნება იმ დანაშაულის ყველა ნიშნისა და გარემოებების ზუსტი დადგენა, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა დანაშაულებრივი შემოსავლები, ასევე შესაბამისი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის არსებობა, რაც ბუნებრივია გაართულებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას. ამჟამინდელი რედაქცია - „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია,“ ითვალისწინებს, რომ დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სამოქალაქო სამართლებრივი – დელიქტის შედეგად მიღებული შემოსავალიც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკანონობის ასეთი ფართო გაგება საჭიროებს გარკვეულ შემოსაზღვრას, წინააღმდეგ შემთხვევაში მუხლის გამოყენება იქნება არამართლზომიერი, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის გამო.

სსკ 194 მუხლის რედაქციაში ცვლილებები შეეხო ასევე სასჯელის ზომასაც, ამასთან გამონაკლისის სახით მითითებული საგადასახადო სფეროში ჩადენილი დანაშაულები დღევანდელი რედაქციით უკვე განიხილება როგორც პრედიკატული სამართალდარღვევა, ანუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის პასუხისმგებლობა დაწესებულია ნებისმიერი სამართალდარღვევის შედეგად მიღებული შემოსავლის გათეთრების შემთხვევაში. ამ საკითხთან დაკავშირებით მართალია არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საფინანსო სფეროში ჩადენილი დანაშაულების შედეგად მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინალიზაცია, მეტად ეფექტური (და ცალკეულ შემთხვევებში ერთადერთი) მეთოდია ეკონომიკური დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად, ამიტომაც კანონმდებლის მიერ ამ მეთოდის გამოყენებაზე უარის თქმა მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

მოცემული დანაშაულის ამსრულებელთან მიმართებაში ორი პოზიცია არსებობს. პირველის თანახმად – ამ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მათ შორის ისიც, ვინც პრედიკატული დანაშაული ჩაიდინა, მეორე მოსაზრების თანახმად – დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც არ ჩაუდენია პირველადი დანაშაული. 1990 წლის სტრასბურგის კონვენციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულია მხარეთა უფლება (შესაძლებლობა) და არა ვალდებულება, ნაციონალურ კანონმდებლობაში მიეთითოს, რომ პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის არ ვრცელდება ძირითადი სამართალდარღვევის (დანაშაულის) ჩამდენ პირზე. ანუ აღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ნაციონალური კანონმდებლობის პრეროგატივაა, შესაბამისად ვინაიდან სსკ 194 მუხლში არ არის მითითება სპეციალურ სუბიექტზე, ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი - როგორც ძირითადი სამართალდარღვევის ჩამდენი, ასევე ის პირის ვისაც პრედიკატული კანონდარღვევა არ ჩაუდენია.

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ფულის გათეთრების ხელყოფის ობიექტთან მიმართებაში. სსკ 194-ე მუხლი მოთავსებულია მე-8 კაში – ეკონომიკურ, კონკრეტულად კი სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს შორის. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია უდავოდ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ხდება. თუმცა მითითებული სფეროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების, როგორც ფულის გათეთრების ხელყოფის ძირითადი ობიექტის გამოყოფა გარკვეულ ეჭვს სამართლიანად იწვევს. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სისხლისსამართლებრივი არსი არ შემოიფარგლება ეკონომიკური ურთიერთობების სფეროზე ზემოქმედებით. ეს დანაშაული ასევე ხელყოფს მართლმსაჯულების ინტერესებს, ხელს უწყობს დანაშაულებრივი საქმიანობის ფაქტების დაფარვას, ამას გარდა კონკრეტულ გარემოებაში საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ მორალს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. სსკ 194 მუხლის რედაქციაში დანაშაულის ჩადენის მიზნად ანუ მოტივად ქონების უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვაა მითითებული. ბუნებრივია უკანონო შემოსავლის ლეგალიზებით დამნაშავე თავს არიდებს პასუხისმგებლობას პრედიკატული ქმედებისათვის და აგრძელებს უკანონო გზით მიღებული ფასეულობის ფლობას. ასეთ შემთხვევაში რა თქმა უნდა უპირველესყოფლისა არ არის მიღწეული მართლმსაჯულების მიზნები. თუკი კანონმდებლის მიერ ეკონომიკური ურთიერთობები მიიჩნევა ხელყოფის ობიექტად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დანაშაულის ჩადენის მოტივად ასევე მითითებულ იქნას ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვა შემოდგომი მოგების მიღების მიზნით და არა მხოლოდ ქონების უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვა (ასეთ შემთხვევაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია დანაშაულის დაფარვის ერთ-ერთ ხერხად/საშუალებად გამოდის მხოლოდ, რაც ამ მოვლენის არსს სრულად არ ასახავს).

რაც შეეხება იურიდიული პირის პასუხისმგებლობას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, იგი ქართულ კანონმდებლობაში 2006 წელს განხორციელებული ცვლილებებით შეიტანეს. აღნიშნული დებულების კანონმდებლობაში გათვალისწინება მოითხოვება „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მეათე მუხლით. მართალია, იურიდიული პირის ხელმძღვანელები ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან, რომელთაც პასუხი უნდა აგონ სამართალდარღვევისათვის, ამასთან ახალი იურიდიული პირის

რეგისტრაცია მარტივი პროცედურებითაა შესაძლებელი საქართველოში, მაგრამ ეს ზომა მაინც მნიშვნელოვან პრევენციულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან მაგალითად თუ დამნაშავეს მფლობელობაში აქვს ბანკი, რომლის მეშვეობითაც ათეთრებს ფულს, სავაჭრო ნიშნის ღირებულება ამ შემთხვევაში გარკვეულ ფასეულობას წარმოადგენს და მისმა დაკარგვამ მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს.

1990 წლის სტრასბურგის კონვენციის მიხედვით მხარეებმა უკანონო შემოსავლად უნდა აღიარონ სამართალდარღვევის შედეგად მიღებული ნებისმიერ ეკონომიკური სარგებელი (any economic advantage). ეს სარგებელი შეიძლება მოიცავდეს „ნებისმიერი სახის ნებისმიერ ქონებას, მატერიალურს და არამატერიალურს, მოძრავს ან უძრავს, ასევე იურიდიულ აქტებს ან დოკუმენტებს, რომელიც იძლევა ქონებაზე უფლებას ან წილს ამ ქონებაში.“ უნდა ითქვას, რომ სსკ 194-ე მუხლის შენიშვნაში მოცემული უკანონო/დაუსაბუთებელი ქონების დეფინიციები სრულად არის მოყვანილი შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტის ამ კონკრეტულ ფორმულირებასთან.

რაც შეეხება სსკ 194 მუხლს, იგი ძალზედ პროგრესულია და საჭირო პრევენციულ ინსტრუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით საქართველოში არ მომხდარა ამ მუხლზე დაყრდნობით განაჩენის გამოტანა.

ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დანაშაულის დეფინიცია არსებითად იქნა მოყვანილი შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან და გარდა იმისა, რომ ამით საქართველომ ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) დადებითი შეფასება დაიმსახურა, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სსკ 194-ე მუხლი წინა წლებთან შედარებით გაცილებით ეფექტურად გამოიყენება.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი, ორგანიზაციული და სპეციალური ხასიათის ეფექტური და მუდმივად სრულყოფადი კომპლექსური ზომების გატარებით. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ამოცანაა საზოგადოების გაჯანსაღება და ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინსტრუმენტების კომპლექსური გამოყენება ნეგატიური მოვლენებისა და პროცესების აღკვეთის და ნეიტრალიზაციისთვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურება „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 2003 წელს. კანონის მიზანს ფულის გათეთრების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა წარმოადგენს.

კანონში მოცემულია არაერთი დეფინიცია: საექვო და უჩვეულო გარიგებები, ფიქტიური ბანკი, ბენეფიციარი მესაკუთრე, პოლიტიკურად აქტიური პირი და სხვ. კანონს ასევე აქვს უკანონო შემოსავლისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საკუთარი კრიმინოლოგიური განმარტება. მთლიანობაში კანონში მოცემული დეფინიციები შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

კანონით განსაზღვრულია მონიტორინგის განმახორციელებელ პირთა კონკრეტული ჩამონათვალი, მათი მოვალეობები, მონიტორინგს

დასაქვემდებარებელი გარიგებების კონკრეტული ჩამონათვალი, ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები ფულის გათეთრების პრევენციის თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზედამხედველი ორგანოები პერიოდულად ამოწმებენ მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს ამ კანონისა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით და თუ აღმოჩენილ იქნა დარღვევები, მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს ეკისრებათ საკმაოდ სოლიდური საჯარიმო სანქციები – მაგალითად თუ ბანკის შესაბამის სტრუქტურას სავალდებულო წესით უნდა მიეწოდებინა კონკრეტული სახის ოპერაციაზე შევსებული ანგარიშგების ფორმა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის და ეს ინფორმაცია დადგენილ ვადებში არ იქნა მიწოდებული, ბანკს თითო ასეთი ოპერაციისთვის ეკისრება საჯარიმო სანქცია 5000 ლარის ოდენობით. ასეთი მკაცრი ფულადი სანქცია დადებითად მოქმედებს პრევენციის თვალსაზრისით, რათა ფინანსურმა ინსტიტუტებმა არ დააფარონ ხელი თავის კლიენტებს სახსრების შესაძლო ლეგალიზაციის შემთხვევებში.

მართალია მთლიანობაში „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს საკმაოდ მოქნილ ინსტრუმენტს ფულის გათეთრების აღსაკვეთად, მაგრამ მაინც არის ცალკეული ნაკლოვანებები, რაც პოტენციურად გამოეთრებლების მიერ შეიძლება იქნას გამოყენებული, მაგალითად: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კანონში მითითებულია, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირების, მათ ოჯახის წევრების და მათთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების მიმართ სავალდებულოა ამოქმედებულ იქნას იდენტიფიკაციის გაძლიერებული მექანიზმები, ასევე სავალდებულოა ბანკების მიერ კლიენტების სახსრების წარმომავლობის და ბენეფიციარების დადგენა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან კანონმდებლობაში არ არის გაწერილი კონკრეტული ღონისძიებები და კანონმდებელი მხოლოდ ზოგადი მითითებით შემოიფარგლება, მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ ამ დებულებების დაცვა ხორციელდება მხოლოდ ფორმალურად. ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ სავალდებულო რეჟიმში გადასაცემ ოპერაციათა კატეგორიას არ განეკუთვნება დეპოზიტის განთავსება საბანკო დაწესებულებაში, მაშინ როცა დიდი ოდენობით ნაღდი ფულის ბანკში წარმოდგენა თავისთავად ეჭვს უნდა იწვევდეს მისი წარმომავლობის შესახებ და მიზანშეწონილია ინფორმაცია მიეწოდოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებულია მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები, რომელთა საფუძველზეც რეგულირდება მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ ინფორმაციის მიღების, აღრიცხვის, დამუშავების, საქართველოს ფინანსური მონიტორინგისათვის გადაცემის წესი და სხვა სპეციალური ზომები ფულის გათეთრების პრევენციის თვალსაზრისით.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ფულის გათეთრების საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციის მიზნით საქართველოს კანონმდებლობაში ფულის გათეთრების აღკვეთის კუთხით შევიდა მრავალი პროგრესული და აუცილებელი ცვლილება, ყველაფერი ეს კი მიუთითებს საქართველოს სახელმწიფოს მონდომებაზე მოახდინოს ამ დანაშაულზე

სათანადო რეაგირება.

*სოფიო ასანიძე*  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტის სამართლის სკოლის  
დოქტორანტი

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. „ფულის გათეთრების, დანაშალებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ“ ევროპის საბჭოს სტრასბურგის კონვენცია (8 ნოემბერი, 1990 წელი);
2. გაეროს კონვენცია „ტრანსნაციონალური დანაშაულობის წინააღმდეგ“ (პალერმოს კონვენცია, 15 ნოემბერი, 2000 წელი);
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
4. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
5. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის №95 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ დებულება“ (28/07/04);
6. ფულის გათეთრების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შემფასებელი ევროპის საბჭოს ექსპერტთა კომიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი – [www.coe.int/t/dght/monitoring/moneyval](http://www.coe.int/t/dght/monitoring/moneyval) (23.08.2010)

*სოფიო ასანიძე*

**უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ  
ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები საქართველოში  
რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია ფულის გათეთრების აღმკვეთი საკანონმდებლო ბაზა საქართველოში. გაანალიზებულია სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის რედაქციაში განხორციელებული ცვლილებები დაკავშირებული დანაშაულის ამსრულებელთან, სასჯელი ზომებთან, საუბარია ასევე დანაშაულის ხელყოფის ობიექტზე, მოცემულია ცალკეული რეკომენდაციები. სტატიაში ასევე განხილულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი. ხაზგასმულია ის ხარვეზები და ნაკლოვანებები რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ფულის გათეთრების მიზნებისათვის. დასკვნის სახით შეფასებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის კუთხით გატარებული სახელმწიფო პოლიტიკა.

**Правовые аспекты борьбы с легализацией незаконных доходов (отмывания денег)  
в Грузии  
РЕЗЮМЕ**

В работе рассмотрена законодательная база Грузии по пресечению отмывания денег. Проанализированы осуществленные в редакции статьи 194 УК Грузии изменения, связанные с лицом, совершившим преступление, мерами наказания, речь идет также об объектах посягательства при совершении преступления, даны отдельные рекомендации. В статье также рассмотрен закон Грузии «Об оказании помощи в пресечении легализации незаконных доходов». Отмечены изъяны и недостатки, которые могут быть использованы в целях отмывания денег. В виде заключения оценена государственная политика, проводящаяся в плане пресечения легализации незаконных доходов.

**Legal Aspects for fighting against Legalization (money laundering) of illegal income in  
Georgia  
Summary**

The work reviews money laundering preventive legislation base in Georgia. Furthermore, the changes introduced in edition of the Criminal Code of Georgia Article 149 regarding the crime executor, measure of punishment, even the object of crime encroachment is analyzed and separate recommendations are issued. The article also discusses Law of Georgia “About contribution to money laundering legalization”. The gaps and defects which can be used for money laundering purposes are also emphasized in the article. There is an assesment of the public policy carried out for prevention of money laundering legalization.

### კორუფცია პოლიტიკურ სფეროებში

არისტოტელე "პოლიტიკაში" წერდა: "ვინც უზნეო და მხდალია, ვერაფერს მიზანშეწონილს ვერ გააკეთებს".

რა უფრო კარგია? ჩვენი უზნეობით „გაგაფუჭოთ“ რაიმე და ამით შევიქმნათ ჩვენ კომფორტი, თუ ხელი შევუწყოთ ქვეყანაში არსებული გარდაქმნების ფონზე იმას რომ ცუდის ნაცვლად კარგად ორგანიზებული სახელმწიფოებრივი ცხოვრება ჩამოვაყალიბოთ და ამით მოვიპოვოთ კომფორტი?!

დღეს, საქართველოში, თითქმის ისევეა, როგორც XIX საუკუნის საფრანგეთში იყო. თუმცა, არის პრინციპული მნიშვნელობის მქონე განსხვავებაც: ფრანგებს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სახელმწიფო ჰქონდათ, ქართველები - ახლა ვცდილობთ, შევიქმნათ იგი.

საქართველოში 90-იანი წლების რთულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სიტუაციამ ბევრი სახელმწიფო მოხელე წააქეზა წესად ექცია არაკანონიერი გზით სახსრების მოპოვება. აგრეთვე კორუმპირებული სამართალდამცავი სისტემა კი „თანამშრომლობდა“ მაღალი თანამდებობის მქონე პირებთან და თვალს ხუჭავდა მათ არაკანონიერ ქმედებებზე. სპეციალურად იქმნებოდა ისეთი ბარიერები მოქალაქეებისათვის სახელმწიფოს მხრიდან, რომ მათაც ითრევდა კორუფციის მორევში და უფრო და უფრო აფართოვებდა კორუფციის მარწუხებს ქვეყანაში.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში მრავალი რეფორმა განხორციელდა. სახელმწიფომ ბრძოლა გამოუცხადა კორუმპირებულ სახელმწიფო მოხელეებს. ამის შედეგად არაერთი მაღალი თანამდებობის პირი იქნა მხილებული. ქვეყანამ დაიწყო განვითარება, იწყო გამოსვლა საბჭოთა კავშირიდან და გზა დაედო ქვეყნის გავერობელებას. მაგრამ საკითხავია, იქნა კია მთლიანად აღმოფხვრილი კორუფცია? თუ მან მიიღო შედარებით სუსტი და ვიწრო მაგრამ მაღალგანვითარებული ელიტური სახე? ანუ შეფარული გზით კორუფციული ქმედებების განხორციელება, რომელის საშუალებასაც ხშირ შემთხვევაში კანონი გვაძლევს.

ასეთ პირობებში ჩვენს ძირითად საზრუნავს წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ და კიდევ გაძლიერება რათა მოწესრიგდეს ის ძირითადი საკითხები ჩვენს ქვეყანაში როგორცაა:

1. თანამდებობის პირთა თვითნებობის შეზღუდვა;
2. აშენება და გაძლიერება მმართველობის ძირითადი ინსტიტუტების;
3. იმ სექტორების რეფორმირების გაადვილება, სადაც დღეს კორუფცია არსებობს;
4. ხელშეუწყობა იმ სფეროებისა, რომლის საშუალებითაც კარგი მმართველობის მქონე პოლიტიკა კეთდება.

იმისათვის, რომ დავინახოთ კიდევ უფრო კარგად ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე თუ რა მდგომარეობაა კორუფციის მხრივ სახელმწიფო თუ პოლიტიკურ სფეროებში, ამისათვის მინდა წარმოვიდგინოთ სტატისტიკური მონაცემები რაც ჩვენს ქვეყანაში 2005 წლიდან დღემდე დაფიქსირდა.

წარმოვიდგინოთ კორუფციასთან მეზობელი ერთადერთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ (Transparency International) კვლევის შედეგებს, რომელიც CPI ანუ კორუფციის

აღქმის ინდექსის საშუალებით ხდება.

„კორუფციის აღქმის ინდექსი“ ქვეყნებს აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად მწვავე პრობლემად ასახელებენ პოლიტიკურ კორუფციას ამ ქვეყნებში გამოკითხული ადგილობრივი და უცხოელი ბიზნესმენები და ანალიტიკოსები. CPI შემუშავებული და გამოქვეყნებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სათავო ოფისის მიერ ბერლინში. CPI-ს ინდექსში 10 ქულა კორუფციის არარსებობას, 0 კი საყოველთაო კორუფციას ნიშნავს.

ჩატარებული კვლევის შედეგად 2005 წელს საქართველოს 2.3 ქულა აქვს შესაძლო 10 ქულიდან. წინა წლის შედეგებთან შედარებით საქართველომ 0.3 ქულით გაიუმჯობესა შედეგი.

2006 წელს საქართველოს უკვე 2.8 ქულა აქვს შესაძლო 10 ქულიდან.

2007 წლის კვლევის შედეგების მიხედვით საქართველომ მაქსიმალური 10 ქულიდან 3.4 ქულა მიიღო.

2008 წლის შედეგებით საქართველომ მაქსიმალური 10 ქულიდან 3.9 ქულა მიიღო.

2009 წელს საქართველომ 4.1 ქულა მიიღო.

თუმცადა 2010 წელს „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (ჩ I) მიხედვით საქართველო მაქსიმალური 10 ქულიდან 3.8 ქულა იღებს. ამ მხრივ საქართველომ უარესი შედეგი აჩვენა და უკან დაიხია. საქართველოსათვის მინიჭებული ქულა ცხადყოფს, რომ კორუფცია ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი და კვლავ რჩება პრობლემად, რომელიც მოგვარებას საჭიროებს.

2011 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) ბოლო რანგირების მიხედვით, საქართველომ 10–ბალიან სკალაზე (10 ქულა ძალიან სუფთას აღნიშნავს, ხოლო 0 ქულა – ძალიან კორუმპირებულს) 4.1 ქულა მიიღო.

2011 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსმა“ აჩვენა რომ კორუფციის აღქმის დონე საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე ევროკავშირის წევრ რამდენიმე ქვეყანაში, როგორცაა სლოვაკეთი, იტალია, საბერძნეთი, რუმინეთი და ბულგარეთი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ გასულ წელს კიდევ ერთი კვლევა – კორუფციის გლობალური ბარომეტრი ჩაატარა (GCB), რომელიც მოქალაქეთა გამოკითხვას ითვალისწინებდა. თბილისში გამოკითხულ რესპონდენტთა 77% მიიჩნევდა, რომ საქართველოს მთავრობა კორუფციას ეფექტიანად ებრძვის. 78% ბოლო სამი წლის განმავლობაში კორუფციის დონის შემცირებაზე საუბრობდა. მხოლოდ 9% მიიჩნევდა, რომ კორუფცია გაიზარდა. კითხვაზე გადაუხდიათ თუ არა ქრთამი ბოლო 12 თვის განმავლობაში, დადებითად მხოლოდ 3%-მა უპასუხა – 2010 წელს გამოკითხულ ქვეყნებს შორის ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ჩატარებული კვლევები არანაირად არ გვაძლევს დამაშვიდების საშუალებას. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური ჩატარებულ კვლევებთან დაკავშირებით განმარტავს: „საქართველომ მართლაც მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ბიუროკრატიის ქვედა დონეებზე კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, მაგრამ ე.წ. „ელიტური კორუფციის“ აღქმა კვლავაც მაღალია“.<sup>2</sup> მისივე თქმით „ელიტური კორუფციის“ აღქმას პოლიტიკურ სფეროებში აძლიერებს ბიზნესგარემოსა და საბიუჯეტო ორგანოების ხარჯების გაუმჭვირვალობა. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობების თანახმად კი, ინვესტიციების ძალიან



დიდი რაოდენობა შემოდის ე.წ. ოფშორული ზონებიდან, რაც ძალიან ბევრ ექვს წარმოშობს. ამ ყველაფერს კი საქართველოში ასაზრდოებს საკითხის ცალმხრივი გაშუქება და რეალური პრობლემის დამალვა ტელევიზიების მხრიდან.

2010 წლის ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში მომზადებულ ანგარიშში, შენიშვნებში მოყვანილია ის ფაქტი რომ კვლავ რჩება ევროკავშირის შემფოთების საგნად კორუფცია პოლიტიკურ დონეზე. რომლის ერთ-ერთ მიზეზადაც სახელდება პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე სუსტი კონტროლი. ასევე სახელდება შესყიდვებისა და პრივატიზაციის პროცესში ნაკლები გამჭვირვალობა, სუსტი ანგარიშვალდებულება მაღალი რანგის ოფიციალური პირების მიერ სარეზერვო ფონდების განკარგვაში, ქონებრივი უფლებებების არასათანადო დაცვის, მედიის დაფინანსებისა და მფლობელობის გამჭვირვალობის ნაკლებობაში.

ვხედავთ რომ საზოგადოება განიცდის ჯანსაღი ინფორმაციის დეფიციტს. საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია თუ რა ვალდებულება აიღო სახელმწიფომ, რა პირობებით გაყიდა ესა თუ ის ობიექტი და სისტემა. საზოგადოებას არავითარი ინფორმაცია არა აქვს, თუ როგორ სრულდება დადებული ხელშეკრულების პირობები. ასრულებს თუ არა კომპანია დაკისრებულ მოვალეობას და იღებს თუ არა ამისთვის სანქციას. საზოგადოება ჩემი აზრით მხოლოდ კარგად შეფუთული და რეკლამირებული ინფორმაციის მსხვერპლად გვევლინება. ასეთ პირობებში აუცილებელია განსაკუთრებული ქმედებების განხორციელება საქართველოს მთლიანი ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის გასაუმჯობესებლად და მმართველობის სისტემის დასაბალანსებლად. საქართველოს ანტიკორუფციული საკონსულტაციო ცენტრში (ALAC) შესული მოქალაქეთა საჩივრების უმრავლესობა სასამართლო სექტორში კორუფციასა და საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებს ააშკარავებს. ვხედავთ რომ აუცილებლად უნდა გაგრძელდეს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაც, რათა სასამართლო უფრო დამოუკიდებელი გახდეს. საპროცესო გარიგების სისტემა კი უნდა იყოს უფრო გამჭვირვალე. ელექტრონული მმართველობა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დეკლარირებული ინფორმაციის გადამოწმების მექანიზმებიც. განსაკუთრებით უნდა გაიზარდოს, როგორც საერთაშორისო ასევე, ეროვნული ანტიკორუფციული ვალდებულებები.

დასასრულისათვის, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი იტყოდა: „ორი რამ ავსებს ჩემს სულს საკვირველებით: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში“.<sup>3</sup> ის მორალური კანონი, რაც ბევრ სხვა დანარჩენთან ერთად შეამცირებს ჩვენს კორუმპირებულობის მაჩვენებელსაც.

### სოფიო გორგიშელი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტი, სამართლის სკოლის  
მაგისტრატურის სტუდენტი

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში. ავტორთა კოლექტივი. (2008). თბილისი.
2. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. თბილისი.

### გამოყენებული ვებ-გვერდები:

1. კორუფცია და ზნეობა. (2010 წლის 15 მაისი). <http://www.polity.ge/oppinion/expert/1668-korufcia-da-zneoba.html>
2. პოლიტიკა. (2011 წლის 16 ივნისი). „ტაბულა“: <http://www.tabula.ge/?p=4569>
3. პოლიტიკა. (2010 წლის 9 დეკემბერი). „ტაბულა“: <http://www.tabula.ge/article-2523.html>
4. რუბრიკები / მეათე სტუდია. (2011 წლის 25 მარტი). <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/3537285.html>
5. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. (2011 წლის 24 ოქტომბერი). <http://transparency.ge/post/press-release/%E2%80%9Csaertashoriso-gamchvirvaloba-sakartvelo%E2%80%9D-akveqnebs-akhal-kvlevas-%E2%80%9Csakartvelos-er>
6. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. <http://transparency.ge/project/erovnuli-antikoruptionsiuli-sistemis-analizi-nis>
7. ქვეანიშვილი, ე. (2011 წლის 24 ოქტომბერი). საზოგადოება / საქართველო. <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24369580.html>

*სოფიო გორგიშელი*

### კორუფცია პოლიტიკურ სფეროებში რეზიუმე

ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ეხება საქართველოში არსებულ მდგომარეობას კორუფციის მხრივ სახელმწიფო თუ პოლიტიკურ სფეროებში.

ნაშრომში განხილულია კორუფციასთან მეტროპოლი ერთადერთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კვლევის შედეგები (CPI და GCB) და შედეგების ანალიზი სხვა ქვეყნებში არსებულ კორუფციის მაჩვენებელთან.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე კორუფციის გამომწვევი მიზეზები და კორუფციის შემთხვევები. დასკვნა კი, მთლიანად შეეხება პრობლემის გადაჭრის ძიებაზე მსჯელობასა და რეკომენდაციებს.

**Коррупция в политических кругах  
РЕЗЮМЕ**

Представленная мною работа касается существующего в Грузии положения в отношении коррупции в государственных и политических кругах.

В работе рассмотрены результаты исследования единственной в сфере борьбы с коррупцией международной неправительственной организации «Международная прозрачность» (CPI и GCB) и анализ результатов в сравнении с показателями коррупции в других странах.

В работе рассмотрены также случаи и причины возникновения коррупции. Заключение полностью посвящено поиску путей разрешения проблемы, рассуждениям и рекомендациям.

**Corruption in Political Spheres  
Summary**

The works represented refers to the ongoing state of corruption in government and political spheres of Georgia.

The work reviews the results of studies (CPI and GCB) carried out by international non-governmental organization “International Transparency” the only organization fighting against corruption in Georgia. Furthermore, it analyses and compares the results with the corruption indicators for other countries.

The work also discusses the reasons that caused corruption and corruption incidents. Conclusion completely covers judgments and recommendations in search for solutions to the problems.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ორგანიზებულ  
დანაშაულთან დაკავშირებით

თანამედროვე მსოფლიოში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. როდესაც ხელისუფლებისათვის ცნობილი ხდება დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დაუყოვნებლივ იწყება სამართლებრივი აპარატის ამოქმედება. ამ აპარატს ეწოდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა.<sup>1</sup> სამართალდამცავი ორგანოები ყველანაირად ცდილობენ გაატარონ ისეთი პრევენციული ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზებული დანაშაულის ნებისმიერ გამოვლინებასთან ბრძოლას. თუმცა მათთან ერთად სასამართლო სისტემაც დიდ როლს თამაშობს სამართლიანობის აღსრულებაში. საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და მართლმსაჯულების განხორციელება სასამართლო სისტემის პირდაპირ დადგენილი მიზანია. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით, ქვეყნის ერთ-ერთ ეროვნულ ღირებულებად დასახელებულია კანონის უზენაესობა, სასამართლო ხელისუფლების სიძლიერე და დამოუკიდებლობა. სწორედ ამიტომ, უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციებისა და პრაქტიკის განხილვა ორგანიზებული დანაშაულის პრევენციის კუთხით, ბევრი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

უზენაესი სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. მის მიერ გაკეთებული რეკომენდაციები, სხვადასხვა კვლევები, სტატისტიკური მონაცემები ბევრ დამუშავებულ ინფორმაციას მოიცავს. მათი მეშვეობით შეგვიძლია გავარკვიოთ ზოგადად სასამართლო სისტემის დამოკიდებულება ორგანიზებული დანაშაულის მიმართ, მათ მიერ შემუშავებული ბრძოლის გზები, სახელმძღვანელო მითითებები პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებისადმი. სასამართლო სისტემის ყველა რგოლი წარმოადგენს ერთნაირი კომპეტენციის სასამართლოთა ერთობლიობას. მათ აქვთ საერთო ამოცანები და დაკავშირებული არიან ერთმანეთთან მართლმსაჯულების განსახორციელებლად.<sup>2</sup>

თუ გადავხედავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკურ მონაცემებს ვნახავთ, რომ ორგანიზებულ დანაშაულთა რიცხვი ყოველი წლის ბოლოს დიდი მანძილებლით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მხოლოდ 2010-2011 წლის პერიოდში შეინიშნება მნიშვნელოვანი კლება რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობისა.<sup>3</sup> ეს შეიძლება, ერთი მხრივ, მივაწეროთ სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურ მუშაობას, რამაც ორგანიზებულ დანაშაულთა კლება გამოიწვია. მეორე მხრივ, კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ არასათანადო პროფესიონალიზმის გამო ვერ ხერხდება ასეთ დანაშაულთა გამოვლენა და სათანადო ზომების მიღება. მოგეხსენებათ, ორგანიზებული დანაშაული მაღალი ლატენცურობით ხასიათდება. ამიტომ მის შესახებ ამომწურავი, თუნდაც რაიმე მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული და უმრავლეს შემთხვევაში მიუღწეველია.

ორგანიზებულ დანაშაულთა რიგებში მოიხსენიებენ ნარკოტიკულ

<sup>1</sup> ლლონტი გიორგი (რედ.), კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა, აშშ და საქართველო, თბ., 2003, გვ 31.

<sup>2</sup> თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კრიმინოლოგია, თბ., 2008, გვ. 407.

<sup>3</sup> იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები, სადაც მოცემულია 2007 წლიდან დღემდე რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა.

<http://www.police.ge/index.php?m=199>

დანაშაულს, ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგი), ადამიანის მოტაცებას, კორუფციულ დანაშაულებსა და ტერორიზმს. თუ გადავხედავთ ბოლო 5 წლის მაჩვენებლებს ასეთ დანაშაულებთან მიმართებით, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ერთგვაროვანი ნამდვილად არ არის. განვიხილოთ ორგანიზებული დანაშაულის უზენაეს სასამართლოში განხილვის დინამიკა წლების მიხედვით.

2007 წელს განხილული საქმეებიდან, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულთა სახეობებს შეეხებოდა, დაახლოებით პროცენტული მაჩვენებლით 19,5% დასრულდა სასჯელის შეცვლით; 16,38%-ს შეეცვალა კვალიფიკაცია; 10,14% გადაწყვეტილებით გაუქმდა სასამართლოს განაჩენი და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავნა პირველი ინსტანციის სასამართლოს; 9,36% დარჩა უცვლელად; 2,34% კი ცნობილ იქნა დაუშვებლად. მოცემული მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ საქმეთა განხილვის ხელწერა დინამიკურია და იცვლება ყოველ ახალ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებათა მრავალფეროვნება იმაზე მეტველებს, რომ უზენაესი სასამართლო არ ეთანხმება პირველი და მეორე ინსტანციების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს და ცდილობს მათში ცვლილებების შეტანით ჩამოაყალიბოს ერთგვაროვანი პრაქტიკა.

2008 წელსაც დაახლოებით იგივე სიტუაცია გვაქვს გადაწყვეტილებათა მიღების კუთხით. განხილული საქმეებიდან მხოლოდ 8,14% არის დატოვებული უცვლელად, ხოლო 0,74%-ს შეადგენს დაუშვებლად ცნობილ საკასაციო საჩივართა ხვედრითი წილი. 2009 წელს კი უკვე აშკარად შეიმჩნევა ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების შედეგები – მიღებული საკასაციო საჩივრებიდან დაახლოებით 88,4% არის ცნობილი დაუშვებლად. 2010 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ იზრდება და ამჯერად საჩივართა დაახლოებით 89,4% რჩება ცნობილი დაუშვებლად. 2011 წლის ბოლო მონაცემებით დაუშვებლად მიჩნეულ საკასაციო საჩივართა რაოდენობა დაახლოებით 94,7 %-ს აღწევს.

როგორც ვხედავთ, 2007 წლიდან დღემდე თანდათანობით შემცირდა უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სახეობა მრავალფეროვანებიდან ერთფეროვნებისკენ. კერძოდ, 2007 წელს მიღებული გადაწყვეტილებების აღნიშნული მრავალფეროვნება განპირობებული იყო განჩინებების ისეთი სახეობებით, როგორცაა: სასჯელის ან/და კვალიფიკაციის შეცვლა; ქვედა ინსტანციებისათვის საქმის დაბრუნება; უცვლელად დატოვება; დაუშვებლად ცნობა და მისთ. 2009-2011 წლისთვის ზემოაღნიშნული განჩინების სახეები „დავიდა“ ერთ სახეობაზე. ეს არის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა. აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება კანონმდებლის მიერ დადგენილი შეზღუდვები გადაწყვეტილებათა გამოტანის კუთხით. პირიქით, პრაქტიკამ მოიტანა უზენაეს სასამართლოში შესულ საკასაციო საჩივართა უმრავლესობის დაუშვებლად ცნობა. უზენაესი სასამართლოს მიერ ორგანიზებული დანაშაულობების საქმეებზე გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის ასეთი მკვეთრი შეცვლა შესაძლებელია გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

- შესაძლებელია განვიხილოთ სამართალდამცავი ორგანოების ნაყოფიერი მუშაობა. გამოძიების სტადიაზე შეკრებილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა მოსამართლეს შეაძლებინებს გამოიტანოს განაჩენი, რომელიც გასაჩივრების შემთხვევაში შეინარჩუნებს თავისთავადობას;
- გაიზარდა ქართული სამართლებრივი ორგანოების მისწრაფება

საერთაშორისო სტანდარტებისადმი. მან აწია სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების მიერ მაღალტექნოლოგიური კვლევებით მიღებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე დამყარებული განაჩენის გამოტანის ალბათობა;

– სავარაუდოა ამ ფუნქციის შემსრულებელი საჯარო მოხელეების საკვალიფიკაციო დონის ამაღლება და არათუ თითოეულ დარგში, არამედ დარგის შიგნით ერთნაირი ინსტიტუტების განხილვაში დასპეციალიზირება.

– მნიშვნელოვანია გაიდლაინების ფაქტორიც. ამ საყოველთაო რეკომენდაციამ ჩარჩოებში მოაქცია პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა პოტენციური გადაწყვეტილება. კერძოდ, ამ ინსტიტუტის შემოღებამ ერთნაირი პრაქტიკა ჩამოაყალიბა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში. უზენაესი სასამართლო ფაქტიურად ეთანხმება თავისივე გაცემული რეკომენდაციების დაცვით მიღებულ ქვედა ინსტანციების გადაწყვეტილებებს. სწორედ ამიტომ საქმეთა უმრავლესობა რჩება იმავე კვალიფიკაციის ქვეშ, რასაც პირველი-მეორე ინსტანციის სასამართლოები მიიღებენ;

– უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით, საპროცესო შეთანხმებით მიღწეულ საქმეთა ხვედრითი წილი 2010 წელს 78,3%-ს შეადგენდა სულ განხილულ საქმეებთან მიმართებაში, ხოლო 2011 წელს 87,3%-მდე გაიზარდა.<sup>1</sup> ამიტომ ბევრად ნაკლები საქმე ხდება გასაჩივრების ობიექტი მესამე ინსტანციამდე.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ უზენაესი სასამართლო გარკვეულ როლს მაინც თამაშობს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პრაქტიკით; ქვედა ინსტანციებისადმი განკუთვნილი რეკომენდაციებით; დიდი პალატის შეკრებით, რომელიც იხილავს პრაქტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებს.

სასამართლო აღარ ხელმძღვანელობს ინკვიზიციურობის პრინციპით. იგი ვერდნობა მხარეების მიერ მიწოდებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ახდენს მის შეფასებას. მას არ შეუძლია რაიმე ინფორმაციის თავად მოპოვება, ამიტომ მთლიანად დამოკიდებულია სასამართლო სხდომის დარბაზში წარმოდგენილ მასალაზე. ამის გამო, ყურადღება უნდა მიექცეს გამოძიების სტადიას, რათა მოპოვებულ იქნეს უტყუარი და ძლიერი მტკიცებულებები ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ. სწორედ მასზე „დააშენებს“ სასამართლო თავის განაჩენს. სწორედ ასეთი „სიძლიერით“ მოპოვებული განაჩენი არ დაექვემდებარება ზემდგომი ინსტანციების მხრიდან ცვლილებას.

*სალომე ადვიშვილი*

გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტის, სამართლის სკოლის  
მაგისტრატურის სტუდენტი

<sup>1</sup> იხ. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/6-saproc11.pdf>

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
3. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;
4. გიორგი ღლონტი (რედ.), კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა, აშშ და საქართველო, თბ. 2003წ.
5. თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კრიმინოლოგია, თბ. 2008წ.

*სალომე ადეიშვილი*

### **საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით რეზიუმე**

წინამდებარე სტატია ეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამოკიდებულებას ორგანიზებული დანაშაულის მიმართ, სახელმძღვანელო წინადადებებს და რეკომენდაციებს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებისადმი. საქართველოს უზენაეს სასამართლოს წლების განმავლობაში ჩამოუყალიბდა ერთგვაროვანი პრაქტიკა ასეთი ტიპის საქმეების მიმართ. ამ პრაქტიკას იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოებიც და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ერთობლივი ძალით მიმდინარეობს.

ნაშრომში განხილულია სამართლებრივი მდგომარეობა; ერთიანი მიმართულების ჩამოყალიბების გამომწვევი მიზეზები; რეკომენდაციები დანაშაულთა სრულად და სამართლიანად გამოკვლევის მიზნით.

*Salome Adeishvili*

### **Практика Верховного суда Грузии, связанная с организованной преступностью РЕЗЮМЕ**

Данная статья посвящена отношению Верховного суда Грузии к организованной преступности, руководствующим предложениям и рекомендациям в отношении судов первой и второй инстанций. У Верховного суда Грузии на протяжении многих лет сформировалась определенная практика ведения подобных дел. Этой практики придерживаются и суды нижних инстанций, в результате чего борьба против организованной преступности ведется едиными силами.

В работе рассмотрено правовое положение, причины возникновения сформировавшегося единого направления, рекомендации с целью полного и правового исследования преступлений.

*Salome Adeishvili*

### **Practice of Supreme Court of Georgia related to Organized Crime Summary**

The present article refers to the influence of Supreme Court of Georgia on organized crime, even proposed suggestions and recommendations towards the first and second instance courts. Supreme Court of Georgia has formed special practice regarding such cases for many years. The practice is acceptable for the lower instance courts and fight against organized crime is going with the joint strength.

The work also discusses the legal statement; reasons on forming of common direction; recommendations for complete and fair study of crime.

## ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა

არაერთი თანამედროვე სამართლებრივი ინსტიტუტისაგან განსხვავებით, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეფექტურად და დამოუკიდებლად ვითარდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუტები, მსოფლიო თანამეგობრობის მიერ გაცნობიერებული კონკრეტული საშიშროებების საპასუხოდ არც თუ დიდი ხნის წინ შეიქმნა. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო საფუძვლები უმეტეს ქვეყნებში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული და საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული, საკმაოდ მკაფიოდ ფორმულირებული მოთხოვნების, რეკომენდაციებისა და სტანდარტების გავლენით ჩამოყალიბდა. გენევისის ეს სპეციფიკა განაპირობებს ამ სფეროში სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივი ინსტიტუტების სტრუქტურულ მსგავსებას.

სხვადასხვა ქვეყნების ნაციონალურ სისტემებსა და ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს შორის სხვაობა უმეტესწილად განპირობებულია პირველ რიგში ქვეყნებს შორის ეკონომიკური მდგომარეობისა და მასში „ჩრდილოვანი შემადგენლობის“ განსხვავებული მდგომარეობით. ამასთან ბუნებრივია, ყველა ქვეყანას აქვს საკუთარი ინსტიტუციონალური საფუძველი დაკავშირებული არამხოლოდ სამართალთან, არამედ ასევე საქმიანი ბრუნვის ნაციონალურ (ზოგჯერ საუკუნოებრივ) ტრადიციებთანაც. რიგ შემთხვევებში ეს ტრადიციები წინააღმდეგობაში მოდიოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნებთან, ამიტომაც თანდათან ხდებოდა ამ ტრადიციების უგულვებელყოფა. ეს პროცესები მტკივნეული იყო.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. თუმცა ვინაიდან ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ნაციონალური სისტემების შექმნისას ყველა ქვეყანა მისდევდა FAT-ის რეკომენდაციებს, ამ რეკომენდაციების სტრუქტურა შეიძლება გამოვიყენოთ ნაციონალური სისტემების საერთო ნიშნებისა და თავისებურებების ანალიზისათვის.

1. რეკომენდაციების პირველ განყოფილებაში საუბარია ნაციონალურ კანონმდებლობებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინალიზაციაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ფულის გათეთრება სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად იქცა.

ნაციონალური კანონმდებლობები განსხვავდება, როგორც დანაშაულის ამ სახეობისათვის სასჯელის სიმძიმით, ასევე დანაშაულის შემადგენლობით. ქვეყნების უმეტესობა საკმაოდ მკაცრად უდგება ფულის გათეთრებას. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა რიგ შემთხვევებში შეიძლება დამოკიდებული იყოს ამ შემოსავლების წყაროზე. საქმიანობის სახეობის არჩევა, რომელიც შემოსავლების გათეთრების თვალსაზრისით მეტ რისკს შეიცავს დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებასა და შესაძლებლობებზე გააკონტროლოს ასეთი შემოსავლები, ასევე „უკანონო“ და „კრიმინალური (დანაშაულებრივი) საქმიანობის“ გაგებებს შორის სხვაობაზე. არაერთი ქვეყნის კანონები (აშშ, საბერძნეთი, კვიპროსი) შეიცავს იმ კრიმინალური საქმიანობების სპეციალურ



სიას, რომელიც არის ფულის გათეთრების საფუძველი. დანაშაულების ჩამონათვალი, რომლებიც წარმოადგენს საფუძველს ფულის გათეთრებისათვის არ არის საბოლოო. ეს სია ივსება ქვეყნების მიერ საჭიროების შესაბამისად ან მათი მზაობის შემთხვევაში ჩაატარონ გამოძიება ფულის გათეთრების სხვა საფუძველებზე.

2. რეკომენდაციების მეორე ნაწილი ეძღვნება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ზომებს, კერძოდ კლიენტების იდენტიფიკაციის ფუძემდებლურ პრინციპს. დღეისთვის მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში აკრძალულია ანონიმური ანგარიშების გამოყენება. შვეიცარიამაც კი რომლის აყვავების საფუძველს ანონიმური საბანკო შენატანები წარმოადგენდა, საერთაშორისო ნარკობიზნესის განვითარების გამო უარი თქვა ასეთ პრაქტიკაზე.

განვითარებული ქვეყნების უმეტესობის ლეგალიზაციის შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებს აუცილებელ იდენტიფიკაციას იმ პირისას, რომელიც დგას კლიენტის უკან და რეალურად რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება ესა თუ ის ქმედებები. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად როგორც წესი საჭიროა ინფორმაციის წარდგენა ბენეფიციარებზე.

3. საკითხთა შემდეგი ჯგუფი, რომელიც დასმულია თ ის რეკომენდაციებში და წარმოადგენს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას დაკავშირებულია კომპეტენტური ორგანოების სისტემურ ინფორმირებასთან.

ბოლო წლებში ბევრ ქვეყანაში ჩამოყალიბდა გარიგებების შესახებ ინფორმაციის შეგროვების და მიწოდების სისტემები. ანუ შეიქმნა უკუკავშირის ეფექტური სისტემები ფინანსური ბაზრის მონაწილეებსა და მათ მარეგულირებელ ორგანოებს შორის. ექსპერტთა აზრით ინფორმირების სისტემა არის ძირითადი ელემენტი არა მხოლოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, არამედ ასევე ჩრდილოვანი ეკონომიკის და მისი შემადგენელი კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

უმეტეს ქვეყნებში კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური ოპერაციების მინიმალური თანხობრივი ზღვარი, რომელიც სავალდებულო წესით ექვემდებარება კომპეტენტური ორგანოების კონტროლს. აშშ-ში ეს ზღვარი თავდაპირველად იყო 10 ათასი აშშ დოლარი, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის (დღეისათვის უკვე 5 ათასი აშშ დოლარი), EC-ის ქვეყნებში კი 15 000 ევრო.

4. FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად ფინანსური დაზვერვის ორგანოების შექმნა და მათთვის გარკვეული უფლებამოსილებების მინიჭება გახდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი.

საფინანსო დაზვერვის ორგანიზებისა და ფუნქციების ანალიზი აჩვენებს, რომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის მიხედვით საზღვარგარეთის ქვეყნების ფინანსური დაზვერვის სამსახურები, შეიძლება გაავსოთ ორ დიდ ჯგუფად. პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ის ფინანსური დაზვერვის სამსახურები, რომლებიც შექმნილია ეკონომიკური და ფინანსური სახელმწიფო ორგანოების სისტემასთან კავშირში. მათ ფუნქციებში დომინირებს საინფორმაციო ხასიათის საქმიანობა: საექვო გარიგებებზე ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება. მეორე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ფინანსური

დაზვერვის სამსახურები, რომელიც შექმნილია შინაგან საქმეთა თუ სხვა სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში. ამ შემთხვევაში ძირითადი ყურადღება ეთმობა საგამოძიებო მოქმედებებს.

ფინანსური დაზვერვის სამსახურებს კავშირი აქვთ სამართალდამცავ, სასამართლო და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ კავშირების სწორ კოორდინაციაზე არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სისტემის ეფექტურობა. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ფინანსური ორგანიზაციებიდან ფინანსური დაზვერვისათვის ინფორმაციის გადაცემის მექანიზმები. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ყველაზე უფრო ეფექტური არის ინფორმაციის დაუყოვნებლივი გადაცემა.

ასეთი სახით, სხვადასხვა ქვეყნებში გამოყენებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხერხებისა და მეთოდების მოკლე მიმოხილვიდან გამომდინარე შესაძლებელია ცალკეული დასკვნების გამოტანა.

1. ფულის გათეთრების აღკვეთის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში, მთლიანობაში შეესაბამება თ -ისა და საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნებს, ამიტომაც ძირითად ქვეყნებში ისინი პრაქტიკულად ერთმანეთს ემთხვევა.

2. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა მიმართულებით ბოლო წლებში მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები. ფაქტიურად ეს არის მსოფლიო პრაქტიკაში უნიკალური მაგალითი, 80-90-იან წლებში, განსხვავებული ინსტიტუციონალური საფუძვლებისა და ეკონომიკური განვითარების ქვეყნების მიერ, ერთიანი გეგმისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რთული და საკმაოდ ეფექტური სისტემების პარალელურად შექმნის.

3. ფულის გათეთრების აღკვეთის ნაციონალურ სისტემებს საერთო აგების პრინციპებისა და სტრუქტურის მიუხედავად ახასიათებთ ცალკეული განსხვავებები: ფინანსური დაზვერვის მოწყობის მეთოდებში; მათ კავშირში სხვა მაკონტროლებელ და სამართალდამცავ ორგანოებთან; მათ შორის უფლებამოსილების განაწილებაში; ინფორმაციის გადაცემის მექანიზმში და ა.შ.

როგორც მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, ფულის გათეთრების აღკვეთის სისტემის ეფექტურობა განისაზღვრება, პირველ რიგში, ბრძოლის მიღებული ხერხებისა და მეთოდების შესაბამისობით ნაციონალურ ფორმალურ და არაფორმალურ (საქმიანი ტრადიციები და ა.შ.) ინსტიტუტებთან და ასევე ინფორმაციის გაცვლისა და მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთშეთანხმებული ქმედებების ადმინისტრაციული მექანიზმებით. ამიტომაც ფულის გათეთრების აღკვეთის ნაციონალური სისტემების ანალიზისას სწორედ ამ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

#### სოფიო ასანიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლის დოქტორანტი

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ FATF-ის 40-9 რეკომენდაცია;
2. [www.fincen.gov](http://www.fincen.gov);
3. [www.coe.int/t/dghl/monitoring/moneyval/](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/moneyval/);
4. [www.knowyourcountry.com](http://www.knowyourcountry.com);
5. [www.fatf-gafi](http://www.fatf-gafi).

*სოფიო ასანიძე*

### ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა რეზიუმე

სტატიაში განხილულია სხვადასხვა ქვეყნებში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს შორის არსებული საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. გაანალიზებულია, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი კანონმდებლობა, ასევე შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოების სისტემა. მსოფლიო პრაქტიკის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები, ნაციონალურ დონეზე ფულის გათეთრების აღმკვეთი სისტემის მაქსიმალური ეფექტურობისთვის.

*Сопио Асанидзе*

### Международная практика борьбы с отмыванием денег РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены общие и отличительные признаки между существующими методами борьбы с отмыванием денег в различных странах. Проанализировано, как и законодательство, препятствующее легализации незаконных доходов, так и система соответствующих контролируемых органов. На основании мировой практики сделаны заключения для максимальной эффективности системы, препятствующей отмыванию денег.

*Sophio Asanidze*

### International Practice of Fighting Against Money Laundering Summary

The article discusses common and distinctive features in the methods of different countries in fighting against money laundering. It analyses money laundering preventive legislation as well as the system of relevant controlling bodies. Conclusions are conducted based on the world practice for maximal effectiveness of money laundering preventive system.

კრიმინოლოგიური კვლევა არასრულწლოვანთა სასჯელადსრულების  
სისტემაში

**კრიმინოლოგიური გამოკვლევის მეთოდობა** - ეს არის სისტემა კონკრეტული წესების, მეთოდების, საშუალებების. რომლის მიხედვითაც ხდება დანაშაულობის მიზეზებისა და პირობების გამოკვლევა, ასევე შესწავლა დანაშაულის ჩამდენი პიროვნების და შემდგომში ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად ეფექტური ღონისძიებების განხორციელება. იმისთვის რომ ჩატარდეს კრიმინოლოგიური კვლევა, ამისთვის კრიმინოლოგიაში არსებობს კვლევის რამდენიმე მეთოდი, კონკრეტული მეთოდის არჩევა დამოკიდებულია თვით კვლევის შინაარსზე, მის მიზნებსა და იმ ობიექტზე რომლებიც შესწავლას ექვემდებარება.

ჩვენმა ჯგუფმა კვლევის ჩასატარებლად გამოიყენა სტატისტიკური მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხდება დანაშაულის რაოდენობრივ-თვისობრივი მაჩვენებლების დადგენა და ასევე იმ პირებისა, რომლებმაც ჩაიდინეს სამართალდარღვევა. ამ მეთოდით შესაძლებელია დანაშაულის მდგომარეობის ციფრობრივი დახასიათება მთელი ქვეყნის, მისი რეგიონის, ცალკეული დასახლებული პუნქტის მაშტაბით, ასევე იგი იძლევა საშუალებას გამოვლინდეს დანაშაულობის განვითარების კანონზომიერება. ამ მეთოდის გამოყენებით შეიძლება დახასიათდეს დამნაშავეთა შემადგენლობა, სოციალურ-დემოგრაფიული და სხვა ნიშნები, ეს ყველაფერი კი საშუალებას გვაძლევს გატარებულ იქნეს საჭირო ეფექტური ღონისძიებები.

**კვლევის ორგანიზაციულ-ტექნიკური დახასიათება** ჯგუფის წევრები:

**ანა გახარია** - იმყოფებოდა სასჯელადსრულების არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, სადაც შეხვდა დაწესებულების დირექტორს - ტატო ქელბაქიანს, რომლისგანაც მიიღო დეტალური ინფორმაცია დაწესებულებაში იმ პირობების შესახებ, რომელშიც ცხოვრებაც უწევთ არასრულწლოვნებს.

**სალომე ჩიტაღაძე** - მოიძია სტატისტიკური ინფორმაცია მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობისა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რის საფუძველზეც მოვახდინეთ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

**ანა ტაბატაძე** - მოიძია ინფორმაცია იმ განხორციელებული პროექტების შესახებ, რომელთა ძირითადი მიზანია არასრულწლოვანთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

**კვლევის დახასიათება**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი. სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, “სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვანად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი”.

არასრულწლოვანთა დანაშაულში იგულისხმება 14-18 წლის მოზარდების მიერ დანაშაულის ჩადენა. თავისუფლების აღკვეთილ მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა 2004-2007 წლამდე მკვეთრად გაიზარდა, მათ შორის იმატა გოგონათა რაოდენობამ. ყველაზე მეტად

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა) იყო ჩადენილი არასრულწლოვანთა მიერ. ასევე გაიზარდა განზრახ მკვლელობის შემთხვევები, ხოლო 2008-2012 წლამდე სასჯელადსრულების სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვანთა რაოდენობა შემცირდა.

2008- 2012 წლიდან შემცირდა განზრახ მკვლელობის ფაქტები, მაგრამ ქურდობა მაინც პირველ ადგილზეა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებსთა შორის. 2013 წელს კი არასრულწლოვან მსჯავლდებულთა რაოდენობა მხოლოდ 43, რაც განაპირობა პრეზიდენტის მიერ შეწყალებამ და ამნისტიამ, რომელიც გამოყენებულ იქნა არასრულწლოვანთა მიმართ. ამჟამად არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ასაკი მერყეობს 16-17 წლამდე, ისინი სასჯელს იხდიან ქურდობის, ყაჩაღობისა და ძარცვისათვის.

ჯგუფმა ასევე გამოვიკვლიეთ ის პირობები, რომელშიც სასჯელს იხდიან არასრულწლოვნები. ჩვენ ვიმყოფებოდით ორთაჭაღის მე-11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, კვლევამ აჩვენა, რომ არასრულწლოვანთა დაწესებულებებში, სრულწლოვანთა დაწესებულებისაგან განსხვავებით, დაცულია მინიმალური საერთაშორისო სტანდარტები. დაწესებულებაში თითოეული მსჯავლდებულის მიმართ არის ინდივიდუალური მიდგომა. სათითაოდ ხდება ყველასთან მუშაობა, არიან სოციალური მუშაკები. როცა არასრულწლოვანი ხდება სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ხდება იმ ფაქტისა თუ მიზეზების დადგენა, რატომ ჩაიდინა მან დანაშაული, შემდეგ დგება გეგმა და თითოეულ მოზარდს ენიშნება კოორდინატორი. დაწესებულებაში წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის და სამედიცინო დახმარების ცენტრის (GSRT), ეგიდით ფსიქოლოგიური პროგრამა EQUIP-ი დაიწყო, რომელიც მოზარდის სხვადასხვა სოციალური უნარებით აღჭურვას, ბრაზის მართვას და სხვა სოციალური უნარების გამომუშავებას ითვალისწინებს. პირველ ეტაპზე ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელშიც GSRT –ის ფსიქოლოგებთან ერთად დაწესებულების ფსიქოლოგებიც მუშაობენ. ამ ეტაპზე პროგრამაში მონაწილეობს 10 მოზარდი.

დაწესებულება არასრულწლოვანებს აძლევს საშუალებას ისწავლონ საჯარო სკოლაში, რომელიც არის 123-ე საჯარო სკოლის ნაწილი. დაწესებულებაში არის უამრავი წრე, მათ შორის ხატვის, მინანქარზე მუშაობის, თექის, სხვადასხვა სპორტული წრეები – ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი და სხვ, სადაც აქტიურად არიან ჩაბმული არასრულწლოვნები.

2013 წლის 20-23 მაისის ჩათვლით დაწესებულებაში მოქმედ საჯარო სკოლაში, სადაც მე-12 კლასში ირიცხება 3 მოზარდი ჩააბარეს საატესტატო გამოცდები, რომელიც წარმატებით დაძლიეს. ახალგაზრდებისთვის ყოველი გამოცდის წინ ტარდება დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობა, რაც მათ ეხმარება გამოცდის წარმატებით ჩაბარებაში. დაწესებულებაში ასევე აღინიშნა ტრადიციული “ბოლო ზარი”.

2013 წლის მარტიდან დაწესებულებაში ფსიქო-სოციალური ჯგუფის თანამშრომლები ხვდებიან მსჯავრდებულებს, მართავენ დისკუსიებს, არასრულწლოვნები განიხილავენ სხვადასხვა თემებს, მათ შორის: თამბაქოზე დამოკიდებულება, ალკოჰოლიზმი. დაწესებულებას ხშირად სტუმრობენ unicef-ის წარმომადგენლები, რომელთან ერთადაც ხორციელდება სხვადასხვა პროექტები არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის მიზნით. აღსანიშნავია, რომ unicef-ის წარმომადგენლობა აქტიურად არის ჩართული დაწესებულებაში მიმდინარე ფსიქო-სოციალური რეფორმების მონიტორინგში, რომელიც მოზარდების ინდივიდუალური გეგმების შემუშავების და სხვა მნიშვნელოვანი

საკითხების განხილვას ითვალისწინებს. აღნიშნული ვიზიტები რეგულარულად ორ კვირაში ერთხელ იმართება

აღნიშნული ინფორმაცია და სტატისტიკა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი **დასკვნა:**

- ✓ უკანასკნელ წლებში(2008–2012) შეინიშნება არასრულწლოვანთა დანაშაულის კლება.
- ✓ გაუმჯობესებულია სასჯელადსრულების დაწესებულების პირობები, სადაც სასჯელს იხდიან თავისუფლებადკვეთილი არასრულწლოვნები.
- ✓ სასჯელადსრულების დაწესებულებაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები არასრულწლოვანთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისათვის.
- ✓ არასრულწლოვნებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ განათლება და მოემზადონ უმაღლესში ჩასაბარებლად.

**რეკომენდაცია:**

- არასრულწლოვანთა დანაშაულის ეფექტური პრევენცია. (დანაშაულის ადრეული პრევენცია, რისკ ჯგუფებთან მუშაობა, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და დანერგვა)
- საკანონმდებლო ბაზის დახვეწა. (ცალკე საკანონმდებლო აქტის მიღება არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. მეტი ალტერნატიული ღონისძიებები)
- სკოლებში არასრულწლოვანთა მეტი ინფორმირება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.
- განრიგებისა და მედიაციის პროგრამა გამოყენებულ იქნეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
- უნდა ჩამოყალიბდეს არასრულწლოვანთა საქმეზე სპეციალიზებული პროკურორისა და მოსამართლის ინსტიტუტი.

*ანა გახარია  
ანა ტაბატაძე  
სალომე ჩიტალაძე*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სამართლის სკოლის  
ბაკალავრიატის სტუდენტები

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი “კრიმინოლოგი”. 1(2).
2. ზაურ წულაია “კრიმინოლოგია” თემა - კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდები.
3. [www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge) იუსტიციის სამინისტრო - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა.
4. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) სტატისტიკის ეროვნული სამსახური - სტატისტიკა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.
5. [www.cspc.org.ge](http://www.cspc.org.ge) - დანაშაულის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი - ჟურნალი “კრიმინოლოგი” 1(2).

*ანა გახარია  
ანა ტაბატაძე  
სალომე ჩიტალაძე*

**კრიმინოლოგიური კვლევა არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების  
სისტემაში  
რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების  
სისტემაში სტატისტიკური მეთოდით კრიმინოლოგიური კვლევა.

მოცემულია კვლევის ორგანიზაციულ-ტექნიკური დახასიათება,  
მოპოვებული ინფორმაციის და სტატისტიკური კვლევის შედეგებიდან  
გამომდინარე დასკვნები და რეკომენდაციები არასრულწლოვანთა  
დანაშაულის თავიდან აცილებისათვის.

*Анна Гахария  
Анна Табатадзе  
Саломе Читаладзе*

**Криминологическое исследование в системе исполнения наказаний  
среди несовершеннолетних  
РЕЗЮМЕ**

В работе рассмотрено криминологическое исследование статистическим методом в  
системе исполнения наказаний среди несовершеннолетних.

Приведены организационно-техническая характеристика исследования, исходящие из  
исследования информации и статистических исследований заключения рекомендации  
по вопросу предотвращения преступлений среди несовершеннолетних.

*Ana Gakharia  
Ana Tabatadze  
Salome Chitaladze*

**Criminological Studies in Juvenile Penitentiary System  
Summary**

The work reviews criminological study of juvenile penitentiary system, through statistical  
methods. Here are represented organizational-technical characters of the study, given  
collected information and statistical data, along with conclusions and recommendations  
intended to avoid juveniles' crime.

მარიამ ქუმარიტაშვილი  
ნინო ჯაფარაშვილი  
დიმიტრი დეკანოზიშვილი  
ლილი ბურძგლა

**არასრულწლოვანთა დანაშაულობის (მარისხუნის მოხმარება) კვლევა  
ინტერვიუს მეთოდით**

კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდები კრიმინოლოგიური ცოდნის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების ხერხებს წარმოადგენენ, სხვაგვარად, რომ ვთქვათ ისინი დანაშაულზე მისი ფუნქციონირების კანონზომიერებებზე, დამნაშავეების პიროვნულ თვისებებზე და დანაშაულთან ბრძოლის გზებზე ინფორმაციის შეგროვების, მისი დამუშავებისა და ანალიზის საშუალებების ერთობლიობაა.

კვლევების მეთოდოლოგია მიმართულია კონკრეტული წესების, მეთოდების, საშუალებებისა და ხერხების, დანაშაულის ჩამდენი პიროვნების კრიმინოლოგიური პროგნოზირებისა და გამაფრთხილებელი ღონისძიებების ეფექტურობის შესასწავლად.

ინტერვიუ-ფსიქოლოგიურ ვერბალურ-კომუნიკაციურ მეთოდს წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ინტერვიუერსა და რესპოდენტს შორის წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით საუბრის გამართვას. ინტერვიუს მიზანია რესპოდენტისაგან პასუხები მიიღონ იმ შეკითხვაზე, რომლებიც კვლევის ამოცანებიდან გამომდინარეობენ.

ინტერვიუს ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ შესაძლებლობას იძლევა განსაზღვრულ პირობებში მიღებულ იქნას სასწრაფო წესით აუცილებელი ინფორმაცია და ხშირად სრულიც.

მეტწილად ინტერვიურება გამოიყენება დანაშაულის ჩამდენ პირთა დაზარალებულებისა და საზოგადოებრივი აზრის გაღრმავებულად შესწავლის მიზნით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინტერვიუს მეთოდი ანკეტირების მეთოდისაგან ერთი ნიშნით განსხვავდება. სახელდობრ, ინტერვიუს პროცესში მყარდება უშუალო კონტაქტი ინტერვიუერსა და რესპოდენტს შორის. ეს ქმნის დამატებით სირთულეებს იმ თვალსაზრისით, რომ მისი წარმატება ხშირად დამოკიდებულია ინტერვიუს წამყვანი პირის თვისებებზე, მას მოეთხოვება იყოს გულწრფელი და უშუალო ინტერვიუერის მაღალი პროფესიონალიზმი მიღებული მონაცემების საიმედოობისა და უტყუარობის საწინდარია.

თუ ინტერვიუ მიზნად ისახავს დამნაშავის პიროვნების შესწავლას უფრო მიზანშეწონილი იქნება პასუხის ჩაწერა მოხდეს საუბრის შემდეგ რაც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ინტერვიუ დაუძაბავად წარიმართოს დაზუსტდეს გამოსაკითხი პირის აზრი შესასწავალი საკითხისადმი, კითხვა რამოდენიმეჯერ განმეორდეს და ინტერვიუერის საუბრის თემისადმი არ შენეგლდეს.

ინტერვიუს ფორმის შერჩევა დამოკიდებულია გამოკვლევის მიზნებსა და ამოცანებზე, აგრეთვე მისი ჩატარების პირობებზე. შეკითხვის სახეს ინტერვიუს პროცესში განაპირობებს არა მარტო კრიმინოლოგიური კვლევის ხასიათი, არამედ თვით რესპოდენტი. თუ ეს უკანასკნელი თავს არიდებს პირდაპირ დასმულ კითხვას, მაშინ სასურველია შეიცვალოს შეკითხვის ფორმა.

ინტერვიუს და ანკეტირების მეთოდს ფართოდ იყენებენ



კრიმინოლოგიური პრობლემების შესწავლისა და სრულყოფისათვის.

გაეროს ნარკოტიკების კონტროლის ოფისის 2006 წლის ანგარიშში, რომელიც მსოფლიოს 134 ქვეყანაში ჩატარებულ კვლევის შედეგებს ეყრდნობა, რამდენიმე საინტერესო ფაქტია მოყვანილი:

- ყველაზე კონსერვატიული გათვლებით, დედამიწის მოსახლეობის 4% მოიხმარს ე.წ. მარიხუანას, იგივე კანაფს. ამ ადამიანებს ერთ ქვეყანაში რომ მოუყაროთ თავი, ის მოსახლეობის მიხედვით მე-4 ადგილზე იქნება ჩინეთის, ინდოეთისა და აშშ-ს შემდეგ და გაასწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ინდონეზია, ბრაზილია, პაკისტანი, რუსეთი.
- მარტო ყაზახეთში 400,000 ჰექტარ ფართობზე კანაფი იზრდება ველურად. ეს დაახლოებით იმდენივეა, რაც კვიპროსის ან პუერტო რიკოს ტერიტორია და 4-ჯერ მეტია, ვიდრე ლუქსემბურგის.

მოგესხენებათ ბოლო რამდენიმე წელიწადში საქართველოში მოზარდებს შორის ნარკომომხმარებლების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ამის დამადასტურებელი ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, რადგან მსგავსი კვლევები ქვეყანაში თითქმის არ ტარდება. მაგრამ სპეციალისტებისათვის ადვილად შესამჩნევია, რომ ნარკომანია ჩვენს ქვეყანაში საგრძნობლად გაახალგაზრდავდა. თუ ადრე ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელთა ასაკი ძირითადად 18-25 წლიდან იწყებოდა, ახლა ეს მაჩვენებელი 16 წელს წარმოადგენს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მაჩვენებლების ასეთი ზრდა, დიდწილად, მარიხუანის (კანაფი, პლანი) ხარჯზე ხდება, რაც ორი მიზეზითაა განპირობებული. პირველი ისაა, რომ ხსენებული ნარკოტიკული საშუალება მეტისმეტად ხელმისაწვდომია მოსახლეობის ფართო ფენისთვის და, მათ შორის, მოზარდებისთვისაც. მეორე მიზეზი კი გარკვეული წრეების მიერ დეზინფორმაციის გაავრცელებაა. სტაჟიანი მომხმარებლები ადვილად არწმუნებენ “ახალბედებს”, რომ მარიხუანის მოხმარება არ წარმოადგენს საფრთხეს მათი ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სულიერი ჯანმრთელობისათვის და ეს უბრალო გართობის საშუალებაა.

ბოლო პერიოდში საქართველოში აქტუალური თემა გახდა მარიხუანას ლეგალიზაციის თემა და რაღატქმაუნდა როგორც ეს მოსალოდნელი იყო აზრი ორათ გაიყო მარიხუანის ლეგალიზაციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. მარიხუანის ლეგალიზაციის მოწინააღმდეგეები ასახელებენ რამდენიმე არგუმენტს, რომელთა გამოც, მათი აზრით, სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს კანაფის მოყვანა-შენახვა-მოხმარება-რეალიზაციის სისხლის სამართლებრივი დევნა: მარიხუანა ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ადრე; ის მაინცაა ჯანმრთელობისთვის (განსაკუთრებით აზიანებს სასუნთქ სისტემას და გონებრივ ფუნქციებს); აქვეითებს შრომისუნარიანობას; შესაძლოა განვითარდეს ნარკოდამოკიდებულება; კანაფი არის ე.წ. „კარიბჭის“ ნარკოტიკი, საიდანაც მომხმარებლები გადადიან უფრო ძლიერ ნარკოტიკებზე; ლეგალიზაციის შემთხვევაში მომხმარებელთა რაოდენობა კატასტროფულად გაიზრდება; კრიმინალები, რომლებიც დიდი ოდენობით ფინანსებს აგროვებენ ნარკოვაჭრობით, შეძლებენ ამ ფულის „გათეთრებას“ და სხვა.

ცხადია, ლეგალიზაციის მომხრეებს ყველა ამ არგუმენტზე აქვთ, მათი აზრით, დასაბუთებული (მათ შორის, მეცნიერულადაც) კონტრარგუმენტები: შრომისუნარიანობის დაქვეითება შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვა მრავალი ფაქტორითაც; არ ვითარდება ნარკოდამოკიდებულება, რაც დასტურდება

არაერთი სამეცნიერო კვლევით; „კარიბჭის“ სინდრომი სტატისტიკური მისტიფიკაციაა, რადგან კვლევებით ცალსახად დასტურდება, რომ მარიხუანის მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა არ მოიხმარს მიმე ნარკოტიკებს, თუმცა, ჰეროინისა თუ კოკაინის თითქმის ყველა მომხმარებელს გასინჯული აქვს მარიხუანაც, რადგან ის რჩება ყველაზე პოპულარულ ნარკოტიკად მსოფლიოში; ლეგალიზაციის შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს მოკლევადიანი ზრდა მომხმარებელთა რაოდენობაში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში მომხმარებელთა რაოდენობა დაუბრუნდება საწყის მაჩვენებელს; კრიმინალები დაინტერესებული არიან კანაფის ბიზნესით მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო აწესებს აკრძალვას, რითაც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ფასების ზრდას, ხოლო, მეორე მხრივ, მსხვილ კრიმინალურ დაჯგუფებებს აქცევს შავი ბაზრის ფაქტობრივ მონოპოლისტებად. შესაბამისად, ლეგალიზაციის შემთხვევაში, კონკურენტული ბაზარი თავისთავად განდევნის კრიმინალებს, რადგან მოგების მარჯა ადარ იქნება მათთვის საინტერესო. ლეგალიზაციის მომხრეები უფრო შორსაც მიდიან და საუბრობენ ამ საკითხის ეკონომიკურ შემადგენელზეც – კანაფის ლეგალიზაცია გაზრდის დასაქმებას და გააჩენს დამატებით საბიუჯეტო შემოსავლებს გადასახადების სახით.

ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა არასრულწლოვანთა მიერ მარიხუანის მოხმარების შესახებ, ჩვენი კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა თუ რა ასაკში უჩნდება ადამიანს მარიხუანის გასინჯვის სურვილი, რა ინტერესი და მოლოდინი აქვთ მის მიმართ ასევე ის მიზეზი რომელიც უბიძგებს მათ მარიხუანის გასინჯვას და ა.შ.

გადავწყვიტეთ კვლევა ჩაკვეტარებინა ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე რადგან შედარებით ხალხმრავალი ადგილია, ჩვენს ინტერესში შედიოდა ყველა ასაკის ადამიანის აზრი მოგვესმინა მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებით, ამიტომ ჩვენს მიერ გამოკითხული იქნა 12-დან 50 წლამდე ასაკის ადამიანები. გამოკითხვა გახლდათ ანონიმური და თითოეული ადამიანის პასუხი ჩაწერილი იქნა ფურცელზე.

კითხვები მდგომარეობდა შემდეგში:

### **ინტერვიუ:**

მოცემულ თემაზე ნარკოლოგიური ექსპერტიზის ცენტრის ექიმი-ნარკოლოგი, ფსიქოთერაპევტი მიაა ბეგაშვილი გვესაუბრება:

**მარიხუანის მომხმარებელთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ეს უბრალო ბალახია და საფრთხეს არ უქმნის მათ ჯანმრთელობას. რამდენად შეესაბამება ეს მოსაზრება სიმართლეს?**

მარიხუანა, კანაბისი არის ფსიქოაქტიური ნივთიერება, რომლის ინტენსიური მოხმარება საკმაოდ სერიოზული საფრთხეების შემცველია, დაწყებული ფსიქოემოციონალური აშლილობებით, დამთავრებული რეპროდუქციული პროცესების შეფერხებითა და ნაყოფის ათასგვარი სიმახინჯებით. ამიტომ მოსაზრება, რომ მარიხუანა უბრალო ბალახია და არანაირ საფრთხეს უქმნის მომხმარებლის ჯანმრთელობას, არასწორია. კარგი იქნება, რომ ეს საკითხი გაშუქდეს სამეცნიერო ჭრილში და მიეცეს საზოგადოებას რეალობის გაცნობის შესაძლებლობა.

**როგორც ვიცით, მარიხუანა იწვევს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას. ამის შესახებ რას გვეტყვით?**

მხოლოდ შედარებით დიდი დროითაა შესაძლებელი მისი მოხმარება

ფიზიკური დამოკიდებულების გარეშე და თანაც სხვა, უფრო “მიმე” ნარკოტიკული საშუალებებისაგან მისი ფიზიკური დამოკიდებულების სინდრომი განსხვავებულია როგორც სტრუქტურული კომპონენტებით, ასევე სიმძიმით. თუმცა ყველაფერი მაინც დამოკიდებულია მომხმარებლის ფსიქო-ფიზიკურ და სოციალურ მდგომარეობასა და მასში სულიერი საწყისების არსებობა-არარსებობაზე.

**ცნობილია, რომ საქართველოში ნარკომანია გაახალგაზრდავდა. ხდება თუ არა ეს სწორედ მარიხუანის ხარჯზე?**

სამწუხაროდ, წამალდამოკიდებულების გაახალგაზრდავება თვალშისაცემია, თუმცა ამის სტატისტიკური დადასტურების საშუალება მე არ მაქვს და მეეჭვება, რომ დღესდღეობით ეს შესაძლებელი იყოს საქართველოში, რადგან, როგორც ვიცი, მისი აღრიცხვიანობა არ ხდება. თანაც მხოლოდ იმით, თუ ვის გამოუვლინდა ნარკოტიკული თრობა, შეუძლებელია განსაზღვრა, არის თუ არა პირი მარიხუანის მომხმარებელი. ამას სერიოზული შესწავლა სჭირდება დინამიკაში.

**აქტიურად მიდის საუბარი მარიხუანის დეკრიმინალიზაციაზე. როგორ გავლენას მოახდენს ეს ამჟამინდელ თუ პოტენციურ მომხმარებლებზე?**

დეკრიმინალიზაცია, ანუ ნარკოტიკული საშუალების ლეგალიზაცია ზოგადად წინადადებული ნაბიჯია სოციუმისთვის. იგი საგრძნობლად შეამცირებს მომხმარებელთა რიცხვს, მაგრამ საჭიროა საზოგადოების სერიოზული ფსიქოლოგიური მომზადება, სწორი გზის სწორად მინიშნება, რათა არ მივიღოთ უკუეფექტი. ვფიქრობ, ამ ეტაპზე მარიხუანის ლეგალიზაციისათვის არ არის მზად ჩვენი საზოგადოება, ვინაიდან იმყოფება გაურკვევლობის ბურუსში. იგი არ არის შეიარაღებული იმ სპეციფიკური ცოდნით ზოგადად ნარკოტიკული საშუალებების შესახებ, რაც გამორიცხავდა გადაცდენების ალბათობას.

მარიხუანის ლეგალიზაციაზე საუბრისას ხშირად იშველიებენ დასავლური ქვეყნების მაგალითს, სადაც ამ გზამ გაამართლა. მაგრამ ავიწყდებათ ან ივიწყებენ, რომ ამ ქვეყნებში მარიხუანის დეკრიმინალიზაციის პარალელურად საგრძნობლად გაზარდეს ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა სამკურნალო დაწესებულებების რიცხვი და მათი დაფინანსება. ჩვენს ქვეყანაში კი ეს საკითხი არაპრიორიტეტულია. გარდა ამისა, საქართველოში თითქმის არ ტარდება პრევენციული ღონისძიებები ნარკომანიასთან ბრძოლისათვის, სახელმწიფო არ აწარმოებს ანტინარკოტიკულ კამპანიას, რაც განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაშია აუცილებელი. მათთვის სწორი და საჭირო ინფორმაციის მიწოდება პრევენციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მარიხუანის მომხმარებელ ახალგაზრდათა დიდი ნაწილი მას რეალობიდან მოწყვეტისა და გაბრუების მიზნით მიმართავს.

ეს არის ადამიანი, რომელმაც პირველი კითხვის დასმის შემდეგ “თუ რა უბიძგებს ადამიანს მარიხუანის მოხმარებისკენ” თხრობა დაიწყო მარიხუანის გასინჯვიდან და საკმაოდ საინტერესოდ და ამომწურავად გვესაუბრა.

ბექა 20 წლის: “მარიხუანა პირველად 15 წლის ასაკში გავსინჯე. გარშემო იყვნენ ადამიანები, რომლებთან ურთიერთობაშიც “გაუნათლდი”. მაშინ მეგონა, რომ კარგს ვაკეთებდი, იმ წუთში მსიამოვნებდა და ვეწეოდი. მე თვითონაც ვზრდიდი სახლში, მაგრამ უბანშიც იმდენი იყო, რომ გეთქვა,

მინდაო, თავზე დაგეცემოდა. თავიდან ყოველდღე ვეწეოდი, მერე ნელ-ნელა მოუუკელი, მაგრამ თავი მაინც არ დამინებებია. იმისიც მეშინოდა, პოლიცია ბევრს რომ იჭერდა და იმდენს აღარ ვეწეოდი, ქუჩაში, მითუმეტეს მერე უკვე ძალიან ცუდად ვიყავი ხოლმე და მეგობარმა ეკლესიაში მიმიყვანა. მამაოს დახმარებით შეექმელი, რომ საერთოდ უარი მეთქვა სიგარეტზეც და პლანზეც. უკვე ვხვდებოდი, ძალიან ცუდს ვაკეთებდი და მიხარია, რომ დღეს ეს ყველაფერი წარსულშია. ზოგჯერ მქონდა ხოლმე მომენტები, როცა ისევ ძველი ცხოვრების წესს მინდოდა დაგბრუნებოდი, მაგრამ მეგობრების, ოჯახის წევრებისა და, პირველ რიგში, ეკლესიის დახმარებით გამოვდიოდი მდგომარეობიდან.”

არ აქვს მნიშვნელობა, როგორ გზას აირჩევს მომხმარებელი მარისუანასთან საბრძოლველად. მთავარია, რომ მასში ამის სურვილმა გაიღვიძოს, კარგად და დროულად გაიაზროს, თუ როგორ ვნებს საკუთარ თავს და რამდენად მნიშვნელოვანია ამ სენის დროულად და საჭირო დოზით ინფორმირება მისი მავნებლობის შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ, რა შედეგებს მოიტანს მარისუანის დეკრიმინალიზაცია საქართველოში.

კვლევის დაწყების დრო: 28.05.2013 15სთ. 30წთ.

### **ინტერვიუ №1 - რესპოდენტი - გ.მ**

1) თქვენი აზრით რა უბიძგებს მარისუანის მოხმარებისკენ არასრულწლოვან პირს?

- მარისუანის მოხმარებისკენ ადამიანს ჩემი აზრით უბიძგებს ინტერესი იმისა თუ რა შედეგი მოჰყვება მის მოწევას რა გრძნობას იწვევს და ა.შ.

2) რომელ ასაკში გაგიჩნდათ სურვილი მოგეწიათ მარისუანა?

- პირველად მარისუანა გავსინჯე როდესაც 12 წლის ვიყავი და მის მერე არ გამჩენია მოწვევის სურვილი.

3) მარისუანას მოხმარებაზე ახდენს თუ არა გავლენას სამეგობრო წრე?

- დიახ, სამეგობრო წრეს ძაან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სხვა ისე ამ საკითხშიც.

4) რამდენად დასჯადი უნდა იყოს მარისუანას მოხმარება?

- არასრულწლოვანთა შემთხვევაში უნდა არსებობდეს გამოსასწორებელი დაწესებულებები და პირველ შემთხვევაში ერთ წელზე მეტით არ უნდა ისჯებოდნენ.

5) მარისუანას გასინჯვის შემდეგ რამდენად ხდები დამოკიდებული მასზე?

- დამოკიდებული ნაკლებად ხდები, ადამიანის ნებისყოფას გააჩნია მაგრამ არ იწვევს დამოკიდებულებას.

### **ინტერვიუ №2 - რესპოდენტი - გ.გ**

1) თქვენი აზრით რა უბიძგებს მარისუანის მოხმარებისკენ არასრულწლოვან პირს?

- პლანის გასინჯვის ინტერესი.

2) რომელ ასაკში გაგიჩნდათ სურვილი მოგეწიათ მარისუანა?

- პლანი პირველად გავსინჯე 16 წლის ასაკში.

3) მარისუანას მოხმარებაზე ახდენს თუ არა გავლენას სამეგობრო წრე?

- სამეგობრო წრე დიდ გავლენას ახდენს.
- 4) რამდენად დასჯადი უნდა იყოს მარიხუანას მოხმარება?
  - ჩემი აზრით მარიხუანას მოხმარება არ უნდა იყოს დასჯადი.
- 5) მარიხუანას გასინჯვის შემდეგ რამდენად ხდები დამოკიდებული მასზე?
  - დამოკიდებულებას არ იწვევს, თუმცა მნიშვნელოვანია რამდენად გაგაჩნია ნებისყოფა.

**ინტერვიუ №3 - რესპოდენტი - დ.კ**

- 1) თქვენი აზრით რა უბიძგებს მარიხუანას მოხმარებისკენ არასრულწლოვან პირს?
  - ინტერესი იმისა თუ რა გრძობაა მოწვევის შემდეგ.
- 2) რომელ ასაკში გაგიჩნდათ სურვილი მოგეწიათ მარიხუანა?
  - 19 წლის ასაკში (ზუსტად არ მახსოვს).
- 3) მარიხუანას მოხმარებაზე ახდენს თუ არა გავლენას სამეგობრო წრე?
  - რა თქმა უნდა, სამეგობროს 80% მოიხმარს პლანს.
- 4) რამდენად დასჯადი უნდა იყოს მარიხუანას მოხმარება?
  - ლეგალიზაცია უნდა იყოს ისე როგორც სხვა ქვეყნებში.
- 5) მარიხუანას გასინჯვის შემდეგ რამდენად ხდები დამოკიდებული მასზე?
  - პირველი გასინჯვის დროს არ ხდები მასზე დამოკიდებული, თუმცა დროთა განმავლობაში მოწვევის სურვილი უფრო და უფრო მეტად გვიჩნდება.

**ინტერვიუ №4 - რესპოდენტი - ი.ი**

- 1) თქვენი აზრით რა უბიძგებს მარიხუანის მოხმარებისკენ არასრულწლოვან პირს?
  - არასრულწლოვანს (აღამიანს) პლანის მოხმარებისკენ უბიძგებს ცდუნება გემოს გასინჯვისა.
- 2) რომელ ასაკში გაგიჩნდათ სურვილი მოგეწიათ მარიხუანა?
  - 18 წლის ასაკში.
- 3) მარიხუანას მოხმარებაზე ახდენს თუ არა გავლენას სამეგობრო წრე?
  - რა თქმა უნდა.
- 4) რამდენად დასჯადი უნდა იყოს მარიხუანას მოხმარება?
  - მსუბუქი დასჯის ფორმა უნდა მიეცეს.
- 5) მარიხუანას გასინჯვის შემდეგ რამდენად ხდები დამოკიდებული მასზე?
  - პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე მასზე დამოკიდებულებული არ ვარ.

**ინტერვიუ №5 - რესპოდენტი - პ.მ**

- 1) თქვენი აზრით რა უბიძგებს მარიხუანას მოხმარებისკენ არასრულწლოვან პირს?
  - წაქეზება.
- 2) რომელ ასაკში გაგიჩნდათ სურვილი მოგეწიათ მარიხუანა?
  - საერთოდ არ გამჩენია მარიხუანას მოწვევის სურვილი.
- 3) მარიხუანას მოხმარებაზე ახდენს თუ არა გავლენას სამეგობრო წრე?
  - არა.

- 4) რამდენად დასჯადი უნდა იყოს მარიხუანას მოხმარება?
  - უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაული.
- 5) მარიხუანას გასინჯვის შემდეგ რამდენად ხდები დამოკიდებული მასზე?
  - მეტ-ნაკლებად.

**ინტერვიუ №6 - რესპოდენტი – კ.კ**

- 1) თქვენი აზრით რა უბიძგებს მარიხუანის მოხმარებისკენ არასრულწლოვან პირს?
  - რათქმაუნდა ინტერესი იმისა თუ რა გრძობაა მოწვევის შემდეგ.
- 2) რომელ ასაკში გაგიჩნდათ სურვილი მოგეწიათ მარიხუანა?
  - არ გამისინჯავს თუმცა როგორც წესი პატარა ასაკში სინჯავენ.
- 3) მარიხუანას მოხმარებაზე ახდენს თუ არა გავლენას სამეგობრო წრე?
  - დიახ ძალიან დიდ გავლენას.
- 4) რამდენად დასჯადი უნდა იყოს მარიხუანას მოხმარება?
  - დასჯადი უნდა იყოს რადგან მარიხუანას მოხმარება არ იქნეს გადაზრდილი ნარკოტიკში.
- 5) მარიხუანას გასინჯვის შემდეგ რამდენად ხდები დამოკიდებული მასზე?
  - არ ვიცი, ალბათ არა.

**ინტერვიუ 7 - რესპოდენტი – მ.მ**

- 1) თქვენი აზრით რა უბიძგებს მარიხუანის მოხმარებისკენ არასრულწლოვან პირს?
  - ინტერესი.
- 2) რომელ ასაკში გაგიჩნდათ სურვილი მოგეწიათ მარიხუანა?
  - 17.
- 3) მარიხუანას მოხმარებაზე ახდენს თუ არა გავლენას სამეგობრო წრე?
  - ახდენს, მაგრამ შენ თუ არ გინდა ვერავინ ვერ დაგაძალებს.
- 4) რამდენად დასჯადი უნდა იყოს მარიხუანას მოხმარება?
  - ჩემი აზრით არ უნდა ისჯებოდეს.
- 5) მარიხუანას გასინჯვის შემდეგ რამდენად ხდები დამოკიდებული მასზე?
  - არ ხდები დამოკიდებული.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ინტერვიუს მეთოდით გვიჩვენა, რომ ასაკობრივმა ზღვარმა შესამჩნევად დაიწია, ასევე გამოკითხულთა უმეტესობა ამბობს, რომ მარიხუანას მოხმარებაზე დიდ გავლენას სამეგობრო წრე ახდენს. რაც შეეხება, იმ ფაქტს დასჯადი უნდა იყოს თუ არა მარიხუანას მოხმარება აზრი ორად გაიყო, ზოგი ამბობდა, რომ დასჯადი უნდა იყოს, ზოგი კი პირიქით.

**რეკომენდაცია**

დღეისათვის დანაშაულად გამოცხადებულ მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციით, უდავოდ აღდგება სოციალური სამართლიანობა. კერძოდ, დღეისათვის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 272-ე მუხლის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების (მათ შორის მარიხუანა) განმეორებით მოხმარება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე, ხოლო, იმავე კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ აღნიშნული ადამიანი ინახავს მარიხუანის გარკვეული ოდენობას, იგი შესაძლოა

დაისაჯოს 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთით და ეს ხდება მაშინ, როდესაც იმავე კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად აღფლავების ნიადაგზე განზრახ მკვლევლობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1-დან 3 წლამდე. სწორედ ამაში მდგომარეობს პრობლემა და არა იმაში, რომ ლეგალიზებულ უნდა იყოს თუ არა მარისუანას მოხმარება... სწორედ ის არის პრობლემა, რომ მოტივის მიუხედავად, ადამიანის სიცოცხლეზე უფრო მაღლა, ჩვენი სახელმწიფო აყენებს დღემდე ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას. ბუნებრივია დაგეგმადება კითხვა, მაშ რა შეიძლება იყოს გამოსავალი? მე გიპასუხებთ, რომ გამოსავალი იქნება ის, რომ არ მივბადოთ არც ევროპას, არც ამერიკას, არც აზიურ ქვეყნებს და საქართველოში ხელს ნუ შეეუწყობთ ამ ახალი "ეპიდემიის" გავრცელებას, მაგრამ ამავედროულად უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ვინმეს მართლაც საკუთარი თავი გაუმეტებია საამისოდ, არც ეგ უნდა დავსაჯოთ კანონის მთელი სისასტიკით და უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ დანაშაულის პრევენციისათვის ერთ-ერთი უმთავრესია დანაშაულის რესოციალიზაცია, მაგრამ რა თქმა უნდა - გარკვეული რეგულირების ფარგლებში. თუ შევადარებთ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ლამის საპრეზიდენტო კონტროლის დონემდე აყვანილ კამპანიას და იდეას ასეთი ქმედების დეკრიმინალიზაციის შესახებ, რა თქმა უნდა ჯობია დეკრიმინალიზაცია, მაგრამ დაუშვებელია მარისუანას მომხმარებელთა რაოდენობის ზრდისათვის ხელის ხელოვნურად შეწყობა და იგი აუცილებლად უნდა რეგულირდებოდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობით იმგვარად, რომ მართლაც რომ ავადმყოფ "მომხმარებლებს" გარდა სხვას არ გაუჩნდეს სურვილი დაეუფლოს თუნდაც ამ ე.წ. "ლეგალიზებულ", მაგრამ უდავოდ მაინებელ ბალანს...

## დასკვნა

საქართველოში მარისუანის მოხმარება ბოლო წლების მონაცემებით შემცირებულია თუმცა ისეთი ქვეყნისათვის როგორც საქართველო მაინც მძიმე სურათი გვაქვს განსაკუთრებით არასრულწლოვნებში აფიქრობთ რომ პირდაპირ მკაცრი სანქციის გატარების ნაცვლად სახელმწიფომ შედარებით სხვაგვარად უნდა მიუდგეს ამ საკითხს .

მოცემულ თემაზე მუშაობდნენ : ნინო ჯაფარაშვილი, რომელმაც შეადგინა ჯგუფთან შეთანხმებით 3 კითხვა და აიღო ინტერვიუ.

მარიამ ქუმარიტაშვილი: მოიძია ლიტერატურა და შეაჯამა ჯგუფთან შეთანხმებით.

გვანცა დვალიშვილი: შეადგინა სამი კითხვა და აიღო ინტერვიუ.

ლილი ბურძგლამ და დიმიტრი დეკანოზიშვილმა ერთობლივად მოიპოვეს მასალები ინტერნეტდან.

მარიამ ქუმარიტაშვილი  
ნინო ჯაფარაშვილი  
დიმიტრი დეკანოზიშვილი  
ლილი ბურძგლა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის ბაკალავრიატის სტუდენტები

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- 1) „კრიმინოლოგია“ ზაურ წულაია თბილისი 2003 წელი გვ.24;
- 2) „კრიმინოლოგია“ თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი თბილისი 2008წ. გვ.59-70;
- 3) www.embion.ge;
- 4) www.gestat.ge;
- 5) www.tabula.ge.

*მარიამ ქუმარიტაშვილი  
ნინო ჯაფარაშვილი  
დimitრი დეკანოზიშვილი  
ლილი ბურძგლა*

**არასრულწლოვანთა დანაშაულობის (მარიხუანის მოხმარება) კვლევა  
ინტერვიუს მეთოდით  
რეზიუმე**

ნაშრომში განმარტებულია კრიმინოლოგიური კვლევების მნიშვნელობა, განსაკუთრებით ინტერვიუს მეთოდი, განხილულია ქვეყანაში ნარკოდანაშაულის მდგომარეობა, მოცემულია ინტერვიუს მეთოდით გამოკითხულ რესპოდენტთა მიმართ კითხვები და პასუხები, კვლევის საფუძველზე მიღებული რეკომენდაციები და დასკვნები.

*Мариам Кумариташвили  
Нино Джафарашвили  
Димитри Деканозияшвили  
Лили Бурзгла*

**Исследование преступности среди несовершеннолетних (употребление марихуаны)  
методом интервьюирования  
РЕЗЮМЕ**

В работе разъяснено значение криминологических исследований, в особенности метод интервьюирования. Рассмотрено также положение в области наркопреступлений в стране, приведены вопросы и ответы опрошенных методом интервьюирования респондентов, а также полученные на основании исследования рекомендации и заключения.

*Mariam Kumaritashvili  
Nino Japharashvili  
Dimitri Dekanozishvili  
Lili Burzгла*

**Study of Juvenile Crime (Marihuana Use) through interview  
Summary**

The work interprets importance of criminological studies, especially through interviewing. It also discusses condition of drug crimes in Georgia, gives questionaries and answers of the respondents - who were questioned through interviewing method and gives recommendations and conclusions based on the studies.



### არასრულწლოვანთა დანაშაულობა და საზოგადოების აზრი

დღესდღეობით ყოველი სახელმწიფო ცდილობს შექმნას ისეთი პირობები, რომ შეამციროს დანაშაული და შეუქმნას თავიანთ მოქალაქეებს უსაფრთხო გარემო, განსაკუთრებით კი უზრუნველყოს მომავალი თაობის სრულფასოვანი განვითარება. სწორედ მათზეა დამოკიდებული სახელმწიფოს მომავალი. სახელმწიფო ვალდებულია გაატაროს ყველა სახის საჭირო ღონისძიება არასრულწლოვანთა დანაშაულში ჩართვის წინააღმდეგ, რათა თავიდან იქნას აცილებული არასრულწლოვანთა დანაშაულობა. არასრულწლოვანია – პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი და რომელიც ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით არ აქვს მინიჭებული უფლება ისარგებლოს გარკვეული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით. არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრობლემის გადაჭრას სახელმწიფოსაგან კომპლექსური მიდგომა სჭირდება. ამიტომაც აუცილებელი გაირკვეს და გაანალიზდეს ის მიზეზები, რაც განაპირობებს არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების ჩადენას, რათა აღარ განმეორდეს ამომიმართულებით შეცდომები და უფრო ხარისხიანად და ეფექტურად მოხდეს დასახული მიზნების განხორციელება.

არასრულწლოვნობის ასაკი - არის ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის პერიოდი, მისი განვითარება კი დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და იგი მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია. ასაკიდან გამომდინარე მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი და სოციალურად დაუცველი ფენაა. არასწორი ოჯახური აღზრდა, შეფერხებები სასწავლო პროცესის წარმართვაში და სხვა ხასიათის ნეგატიური პრობლემები პირდაპირ კავშირშია იმ სოციალურ გადახრასთან, რომლებიც ხშირად ხელს უწყობენ არასრულწლოვნის დანაშაულებრივ გზაზე აღმოჩენას. უმთავრესია გარემო, რომელშიც ბავშვი იზრდება, სადაც ყალიბდება მისი ფსიქოლოგია, მისი ხედვა სხვადასხვა მიმართულებით.

უმნიშვნელოვანესია, რომ პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელება ისე მოხდეს, რომ ბავშვის ფსიქოლოგიაზე უარყოფითი ზეგავლენა არ იქონიოს და პრევენციის მექანიზმები მისი პიროვნებისთვის შეურაცხმყოფელი არ იყოს. პრევენცია ანუ პროფილაქტიკა დანაშაულთან და სხვა სამართალდარღვევასთან ბრძოლის ძირითადი მიმართულებაა. მისი მიზანია დანაშაულის აღკვეთა-აცილება. დანაშაულის პროფილაქტიკის უშუალო სუბიექტები არიან სამოქალაქო საზოგადოების პირველადი რგოლები: ოჯახი, შრომითი და სასწავლო კოლექტივები. ისინი უშუალოდ ზემოქმედებენ ადამიანზე, ცხოვრებისა და აღზრდის პირობებზე, ადგენენ და თავიდან იცილებენ კონკრეტული დანაშაულების მიზეზებსა და პირობებს და ახდენენ რეციდივის პროფილაქტიკას. არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პროფილაქტიკა არის უმნიშვნელოვანესი ასპექტი საზოგადოებაში დამნაშავეობის აცილებისა, იმისათვის რომ ეს ძალისხმევა იყოს ეფექტური, აუცილებელია, რომ მთელი საზოგადოების ძალისხმევა ბავშვთა ჰარმონიული განვითარების მიზნით წარიმართოს. არასრულწლოვანთა განვითარების სწორად წარმართვის საკითხი გლობალურად უნდა იქნეს გააზრებული. პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილოს ყველა უწყებამ: სასწავლო

დაწესებულებებმა, საგანმანათლებლო, ახალგაზრდულმა, სპორტულმა და კულტურულმა ორგანიზაციებმა. ამასთან, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს სხვა ქვეყნების მუშაობის პრაქტიკაში არსებული პრევენციის ფორმები და მეთოდები. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა მექანიკურად, არამედ ეროვნული თავისებურების გათვალისწინებით.

იმისათვის, რომ გაგვევო საზოგადოების აზრი, არასრულწლოვანთა დანაშაულობის საკითხთან დაკავშირებით, ჩავატარეთ იქნა სოციალური კვლევა. კვლევის ფარგლებში 2013 წლის 18 აპრილს გამოკითხულ იქნა 60 რესპოდენტი: მათ შორის იყვნენ 20 მოსწავლე, 20 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და 20 უფროსი თაობის წარმომადგენელი.

**სოციალური კვლევა** არის სისტემატიზირებული გამოკვლევებსა და ანალიზის ერთობლიობა რათა მივიღოთ ახალი ცოდნა სოციალურ ფენომენზე. სოციალურ გამოკვლევებში ჩვენ ძირითადად შევისწავლით სოციალურ მოვლენებსა და ასევე ფაქტორებს, რომლებიც მართავს და ხელმძღვანელობს მათ. ადამიანი სოციალური კვლევის ობიექტია, იგი არის საზოგადოების ნაწილი, ხოლო სოციალური კვლევა შეისწავლის მას, როგორც ინდივიდუალურ პიროვნებას, შეისწავლის მის ქცევებს და აგროვებს მონაცემებს ადამიანის სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე.

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემაა მომავალი თაობა და არასრულწლოვანთა დანაშაული. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზად საზოგადოება ქუჩას და ეკონომიკურ მდგომარეობას მიიჩნევს.

გამოკითხულთა სამივე თაობის წარმომადგენლების უმრავლესობს მიაჩნია, რომ საუკეთესო საშუალება კრიმინალის ჩამდენი არასრულწლოვანების გამოსასწორებლად და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის არის ოჯახში და სკოლაში ბავშვის სწორ ღირებულებებზე აღზრდა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იწყება 14 წლის ასაკიდან. საზოგადოება ეთანხმება პასუხისმგებლობის ამ ზღვარს. 2010 წელს სისხლის სამართლის პროცესში შესული ცვლილების შედეგად ზღვარი დაწეულ იქნა 12 -მდე, რასაც საზოგადოებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მწვავე რეაქცია მოყვა, რის შედეგად მოხდა კვლავ ზღვარის აწევა.

10 წელი – ინგლისი, უელსი;

12 წელი – კანდა, საბერძნეთი, ჰოლანდია;

13 წელი – საფრანგეთი, პოლონეთი;

14 წელი – ავსტრია, ბულგარეთი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, იაპონია, ლიტვა, ლატვია, რუმინეთი;

15 წელი – ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, ნორვეგია, სლოვაკეთი, შვედეთი;

16 წელი – პორტუგალია, ესპანეთი;

18 წელი – ბელგია;

როგორც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მონაცემებიდან ჩანს, ჩვენს კანონმდებლობაში არ არის პრობლემა პასუხისმგებლობის ასაკობრივ ზღვართან დაკავშირებით, რაც შეესაბამება საერთაშორისო კანონმდებლობას და სტანდარტებს.

რაც შეეხება სასჯელს, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მხოლოდ მოსწავლეების უმრავლესობა თვლის რომ სასჯელადსრულების დაწესებულება უნდა იყოს გამოყენებული არასრულწლოვანთა სასჯელის სახედ, განსხვავებით უფროსი თაობისგან და სტუდენტებისგან, რომლებიც არ ეთანხმებიან ამას.

გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის მიხედვით, 18 წლამდე პირები ითვლებიან არასრულწლოვნებად და მათ მიმართ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი თავისუფლების აღკვეთა. ციხეში გაშვებით, შესაძლებელია რომ უფრო მძიმე შედეგი მივიღოთ, რომლის გამოსწორება შემდეგში ვეღარ მოხდება.

2010 წლიდან პროკურატურამ აამოქმედა არასრულწლოვნების მიმართ „განრიდების და მედიაციის“ მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაზარალებულთან შერიგების პროცესს, რომელსაც უძღვება მედიატორი და ასევე ამ დროს არასრულწლოვანის მიმართ თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად გამოიყენება სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი. მაგრამ საწუხარო ფაქტია, ის რომ საზოგადოება არ არის ინფორმირებული ამ ინსტიტუტის შესახებ, მათ შორის არც სტუდენტები და მოსწავლეები, რომლებიც განსაკუთრებით უნდა იყვნენ ჩართულები ამ პროგრამაში.. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, პირველად სისხლის სამართლის ისტორიაში, არასრულწლოვანის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, მისი დასჯადობის და სასჯელისაგან განთავისუფლების თავისუბურებებს დამოუკიდებელი თავი დაეთმო.

**რა ტიპის დანაშაულებია არასრულწლოვნებში გაგრძელებული?**

	უფროსი თაობა	სტუდენტები	მოსწავლეები	სულ
ა. ქურდობა	6	9	5	20
ბ. ყაჩაღობა	0	0	1	1
გ. მკვლელობა	0	0	3	3
დ. ნარკოდანაშაული	5	2	0	7
ე. ცივი იარაღის ტარება	9	9	11	29

საზოგადოებას მიაჩნია, რომ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დანაშაულთა შორის ყველაზე გაგრძელებულია ცივი იარაღის უკანონო ტარება, რომელსაც საზოგადოება დანაშაულად არ მიიჩნევს და არ ატყობინებს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გაამკაცროს კანონმდებლობა იარაღის შექმნის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

საზოგადოება თვლის , რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის შესამცირებლად სახელმწიფომ სკოლებში უნდა ჩაატაროს ლექციები ძალადობის შესახებ რომლის მიზანი იქნება სამართლებრივი განათლების მიღება. ხოლო მოსწავლეთა უმრავლესობა ამასთან ერთად კანონის გამკაცრებას მიიჩნევს საჭიროდ.

**თქვენი აზრით რა მექანიზმი უნდა განხორციელოს სახელმწიფომ, რომ შემცირდეს არასრულწლოვანთა დანაშაული?**

	უფრ. თაობა	სტუდენტები	მოსწავლეები	სულ
ა. კანონი უნდა გაამკაცროს	1	1	7	9
ბ. კანონი უნდა შეამსუბუქოს	0	0	1	1
გ. გამოიყენოს სხვა სადამსჯელო ხონისძიებები	4	9	5	18
დ. სამართლებრივი განათლების მიზნით სკოლაში ძალადობის შესახებ ლექციების ჩატარება	15	10	7	32

სახელმწიფომ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს საგანმანათლებლო ასპექტს. რაც გულისხმობს მოზარდებისათვის ისეთი ინფორმაციის გადაცემას, რომელიც ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ამავე დროს დაეხმარება მოზარდებს თვითშემეცნებისა და იდენტურობის ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ასპექტიც, რომლის მიზანია ახალგაზრდისათვის ადეკვატური თვითშეფასების, კონფლიქტების მოგვარების, გადაწყვეტილების მიღების და სხვა ამგვარი უნარების ჩამოყალიბება. ისინი სკოლაშივე უნდა ეცნობოდნენ თავიანთ უფლებებსა და ვალდებულებებს, რაც მიზნად ისახავს საკუთარ თავში რწმენისა და სოციალური მოთმინების ჩამოყალიბებას, ხოლო ამ ყველაფრის რეალიზებისათვის მთავარ როლს თამაშობს პედაგოგი. მასზეა დამოკიდებული რამდენად მოახერხებს არასრულწლოვანი პირი მისი უფლებების და ვალდებულებების განხორციელებას, თუმცა მასწავლებლის ინსტიტუტმა, განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად აქტუალობა დაკარგა, რაც ასევე ყურადღებას ითხოვს.

საქართველოს განათლების სფეროში გატარებული პროექტი “მანდატურის ინსტიტუტი” შექმნის დღიდანვე აქტუალურია. სწორედ ამ ინსტიტუტის შემოღების შედეგად დაკარგა თავისი როლი პედაგოგის ინსტიტუტმა, თუმცა გამოკითხული საზოგადოების უმრავლესობა დადებითად აფასებს ამ ინსტიტუტს როგორც დანაშაულის პრევენციის საშუალებას. შსს მონაცემებით ამ მექანიზმის ამოქმედების შემდეგ შემცირდა სკოლებში დანაშაულთა რიცხვი, ასევე ცივი იარაღის ტარება. თუმცა ეს ინსტიტუტი საჭიროებს გარკვეული სახის ცვლილებებს. მან არ უნდა მოახდინოს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის არსებული აღმზრდელობითი ფუნქციის და კავშირის დარღვევა და ის არ უნდა იწვევდეს ბავშვებში შიშს.

წინამდებარე კვლევაში კარგად გამოჩნდა საზოგადოების აზრი და დამოკიდებულება არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ. მათი შეფასება მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ნათლად დაგვანახოს ამ მწვავე საკითხთან დაკავშირებული პრობლემების რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სურათი. არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაული ძალიან პრობლემატური და ყურადსაღები თემაა. მომავალი თაობის ბედი ჩვენს ხელშია.

**გიორგი პაპკიაური  
თორნიკე ციციქიშვილი  
სოფო ბექაური  
მაია ბიძინაშვილი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ბაკალავრიატის სტუდენტები

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი - 2013 წლის მდგომარეობით.
2. ზ. წულაია - „კრიმინოლოგია“. 2008 წ.
3. გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია.
4. www.police.ge
5. ჟურნალი „კრიმინოლოგია“ 1(2). 2007წ

გიორგი პაპკიაური  
თორნიკე ციციშვილი  
სოფო ბეკაური  
მაია ბიძინაშვილი

### არასრულწლოვანთა დანაშაულობა და საზოგადოების აზრი რეზიუმე

ნაშრომი ეხება დანაშაულობას არასრულწლოვნებში. ჩამოყალიბებულია, თუ როგორ ხდება არასრულწლოვნის დანაშაულობის სუბიექტად ფორმულირება.

განხილულია არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის გზები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია წინასწარ აღმოიფხვრას მოზარდის დამნაშავედ ჩამოყალიბების ხელშემწყობი გარემოებები.

ნაშრომში ასევე მოცემულია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის შედეგები, სადაც დაფიქსირებულია გამოკითხულთა აზრი არასრულწლოვანთა დანაშაულობის კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით. ჩამოყალიბებულია არასრულწლოვანებში დანაშაულის შემცირებისათვის ოპტიმალურად დახვეწული პრევენციული ღონისძიებები და მათი საქართველოში გატარების ეფექტური გზები.

*Георгий Папкиаури  
Торнике Цицкишвили  
Софо Бекаури  
Майя Бидзинашвили*

### Преступность среди несовершеннолетних и общественное мнение РЕЗЮМЕ

Работа посвящена преступности среди несовершеннолетних. Изложена последовательность формирования несовершеннолетнего в субъект преступности.

Рассмотрены средства превенции преступления среди несовершеннолетних, применением которых создается возможность заблаговременного пресечения обстоятельств, способствующих формированию подростка в представителя преступного мира.

В работе также приведены результаты осуществленных в связи с рассматриваемым вопросом исследований, где зафиксировано мнение опрошенных лиц в отношении конкретных аспектов преступности среди несовершеннолетних. Определены оптимально разработанные превентивные меры по сокращению преступлений среди несовершеннолетних и эффективные пути их внедрения в Грузии.

*Giorgi Papkiauri*  
*Tornike Tsitskishvili*  
*Sopo Bekauri*  
*Maia Bidzinashvili*

**Juvenile Crime and Public Opinion**  
**Summary**

The work refers to the crimes among juveniles. It shows formulation of a juvenile as a crime subject. The work also discusses the ways for preventing crimes among juveniles by which it would be possible to eliminate all contributory circumstances for formulation of the juvenile as a criminal.

The work also shows the results obtained from the study of the issues to be discussed where public opinion regarding the concrete aspects of juvenile crimes is identified. The article also defines optimally developed preventive measures for reduction of number of crimes in juveniles and effective ways for their introduction in Georgia.

**რეცენზია-დასკვნა ქალბატონ ია დადუნაშვილის სადისერტაციო დისერტაციაზე  
- „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის/დაზარალებულის  
ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე და სამართლიანი სასამართლოს  
უფლება“**

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი დაკავშირებულია დღეისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, საზოგადოებისათვის საინტერესო და აქტუალურ თემასთან, რომელიც დიდი ხანია გასცდა ერთი რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს ფარგლებს და სახელმწიფოთაშორისო მნიშვნელობის საკითხად გადაიქცა, ალბათ ამიტომაც ამ ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა ინტერესებმა ამ მიმართულებით, ტარდება სხვადასხვა სახელმწიფო, საერთაშორისო, სამეცნიერო-პრაქტიკული ღონისძიებები, ხდება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შემუშავება და სრულყოფა, რაც დრო გადის საკითხის აქტუალობა მით უფრო მატულობს და ახალი სახეცვლილებით გვევლინება.

ამიტომაც ჩემი აზრით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრობლემების კომპლექსურ კვლევას სხვადასხვა კუთხით, რომელიც ამ მიმართულებით დაინტერესებულ თეორიტიკოსებს და პრაქტიკოს მუშაკებს საშუალებას მისცემს ყოველმხრივ შეისწავლონ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, მისი მსხვერპლის/დაზარალებულის უფლებები და თავისუფლებები, შეიმუშაონ სათანადო დასკვნები და რეკომენდაციები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია დოქტორანტი - ქალბატონ ია დადუნაშვილის სადისერტაციო თემის „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის/დაზარალებულის ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე და სამართლიანი სასამართლოს უფლება“ განსაკუთრებული მნიშვნელობა და აქტუალობა, მით უფრო ჩვენი ქვეყნისათვის, რომელსაც გააჩნია მრავალი გადაუჭრელი საკითხი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აღნიშნულ პრობლემასთან.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავის, ორმოცდაცხრა ქვეთავის და დასკვნისაგან, ასორმოდათორმეტ გვერდზე, რომელსაც თან ერთვის დანართები ცხრილების სახით, აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს საქართველოში, რადგან ამ საკითხზე ერთ-ერთი პირველი კომპლექსური კვლევა.

დისერტაციაში განხილულია მთელი რიგი აქტუალური საკითხები, კერძოდ:

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. მასთან დაკავშირებული სირთულეები, აღსრულების მონიტორინგი, ასევე რეკომენდაციები არსებული ვითარების გაუმჯობესებისათვის.

ნაშრომის მეორე და მესამე თავი განსაკუთრებით კვალიფიცირებულად არის შესრულებული, განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის (დაზარალებულთათვის), იდენტიფიცირების, დაცვის, დახმარების, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პრობლემები, ამ საკითხებზე ღონისძიებების განხორციელების პრაქტიკა და შესაბამისი ფუნქციის განმახორციელებელი სუბიექტების საქმიანობა. ასევე განხილულია იძულებითი შრომის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო გადაწყვეტილებების პრეცედენტები.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილ დასკვნას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან მისი ანალიზი შეიძლება გამოყენებული იქნას, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, ასევე ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფაში და პრაქტიკულ საქმიანობებში.

ამასთანავე სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა გარკვეული სურვილები, წინადადებები და შენიშვნები:

- დისერტაციის პირველი თავის “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი და მისი საერთაშორისო-სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობა” პირველ პარაგრაფში “ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში” - ავტორის მიერ მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ტრეფიკინგის მუხლები და აღწერილია ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებები, ჩემი აზრით ნაშრომის მეცნიერული ღირებულება გაიზრდებოდა ავტორს სისხლის სამართლი მუხლების აღწერასთან ერთად რომ შეეცადა და შემოეთავაზებინა გარკვეული მისეული ხედვები მათი სრულყოფისათვის.

- ამავე პარაგრაფში ავტორი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმებს რა დროსაც აქცენტი გაკეთებულია მათი გამოცემის პერიოდულობაზე და არაა მოცემული მათი სიღრმისეული შედარებითი ანალიზი.

- ამასთანავე აღნიშნული, საკითხი არ შეესაბამება პარაგრაფის სათაურს და კარგი იქნებოდა ავტორს განეხილა ცალკე პარაგრაფში.

- დისერტაციის 1.2 - პარაგრაფში - “სამართლიანი სასამართლოს უფლება –ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის პროცედურული საკითხები საქართველოში” – ავტორი შემოიფარგლება მხოლოდ ტრეფიკინგის საქმეთა სასამართლო განხილვის პროცედურული საკითხების დეტალური აღწერით, ნაშრომს მეცნიერულად უღაოდ გაამდიდრებდა მდგომარეობის აღწერასთან ერთად ავტორს ყურადღება გაემახვილებინა საკითხის კრიტიკულ ანალიზზე და პარაგრაფშივე დასკვნის სახით მოეცა მისივე კონკრეტული შეხედულებები უკეთესი შედეგების მიღებისთვის.

- 1.5 პარაგრაფში “საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებთან შესაბამისობა”- ავტორი კმაყოფილდება იმ დასკვნებით, რომ: “საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები შეესაბამება საერთაშორისო ნორმებით დადგენილ სტანდარტებს.” (გვ. 50) და რომ: “საქართველოში იძულებითი შრომის კუთხით მრავალი საკითხია დასარეგულირებელი, გასაუმჯობესებელი და დასახვეწი.” (გვ. 55) აქვე ავტორი დასძენს “მაგალითად, იმისათვის, რომ შემცირდეს არალეგალური შრომითი მიგრაცია და შესაბამისად ტრეფიკინგის რისკფაქტორი, აუცილებელია შეიქმნას ლეგალური შრომითი მიგრაციის არხები. აუცილებელია მიღებულ იქნას კანონი მიგრაციის შესახებ და გაეროსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიგრაციის კონვენციების რატიფიცირება.” ჩემი აზრით, სწორედ ამგვარ რეკომენდაციებს გააჩნიათ რეალური ღირებულება და კარგი იქნებოდა დოქტორანტი გაბედულად და სიღრმისეულად გეთავაზობდეს მათ, განხორციელების გზებით და სამომავლო სურათის – შედეგის მოდელირებით.



- შემდეგი შენიშვნა ეხება პარაგრაფ 2.1-ს “ადამიანთ ვაჭრობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების, დაცვის, დახმარების, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი ფუნქციის განმახორციელებელი სტრუქტურების საქმიანობა” (გვ.58) – პარაგრაფს მეტ ღირებულებას შესძენდა ავტორს ზოგად საქმიანობის პრინციპებთან ერთად განეხილა ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურა, საქმიანობა და მექანიზმები – რაც როგორც ხედავთ პარაგრაფის სათაურის შინაარსიდაც გამომდინარეობს.

- დისერტანტი დასკვნაში (გვ.144) აღნიშნავს, რომ „მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით სასურველია, უფრო ეფექტურად განხორციელდეს იმ საკანონმდებლო ნორმების პრაქტიკაში გამოყენება, რომლებიც შეეხება მსხვერპლთა სამოქალაქო სამართლებრივ უფლებებს. კერძოდ კარგი იქნება მსხვერპლთა ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება იმ მხრივ, რომ მათ უფლება აქვთ დააყენონ სამოქალაქო სარჩელი და სისხლის სამართლის საქმის წარმოების განმავლობაში მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება დამნაშავესაგან“.

დოქტორანტს ვეთანხმები ამ ნაწილში და აღვნიშნავ, რომ სასურველი იქნებოდა შესაბამის კატეგორიებთან ჩატარებულიყო სოციოლოგიური კვლევები, ანკეტირების, ინტერვიუს მეთოდებით, ზოგადად სამართლებრივი ცოდნისა და ინფორმირებულების დონის განსაზღვრის კუთხით, რაც საშუალებას მისცემდა დასმული პრობლემების განხილვისას დოქტორანტს გაეკეთებინა უფრო სრულყოფილი შეფასებები.

საზგასმით უნდა აღინიშნოს ავტორის განსაკუთრებული მონდომება იურიდიული ლიტერატურის მოძიების, მისი შესწავლის და კრიტიკული ანალიზის თვალსაზრისით.

ავტორმა პრაქტიკულად შეისწავლა ერთობლიობაში ოთხმოცზე მეტი ნაშრომი და ტრეფიკინგთან კავშირის მქონე ყველა საერთაშორისო სამართლის მქონე აქტი.

კვლევის შედეგად ავტორის მიერ მიღებული დასკვნები მოიცავენ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ირგვლივ არსებული პრობლემატიკის ფართო სპექტრს, ისინი გამომდინარეობენ ავტორის მიერ შესწავლილი სტატისტიკური მონაცემების, სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის და სხვა დოკუმენტური მასალის ანალიზიდან, რაც თავისმხრივ დასმული იყო კვლევის მიზნებში და ამოცანებში.

ამგვარად ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მიზნები და ამოცანები ასევე გამოყენებული მეთოდები შეესაბამება კვლევის შედეგებს.

ნაშრომი ჩემი აზრით სტრუქტურირებულია ლოგიკურად, მეცნიერული პრინციპების გათვალისწინებით, რაც დაინტერესებულ მკითხველს უქმნის საშუალებას საფუძვლიანად და ღრმად გაეცნოს ამა თუ იმ პარაგრაფით გათვალისწინებულ პრობლემატიკას, ასევე თვალსაჩინოა ლოგიკური კავშირი სხვადასხვა თავებსა და პარაგრაფებს შორის, რაც აადვილებს ნაშრომის გაცნობა-გაანალიზებას.

საბოლოო ჯამში ქალბატონ ია დადუნაშვილის სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის/დაზარალებულის ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე და სამართლიანი სასამართლოს უფლება“ არის დასრულებული კომპლექსური

მეცნიერული კვლევა, ხოლო თვით დისერტანტი იმსახურებს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

*მალხაზ ბაძაგუა*

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამართლის დოქტორი

*მალხაზ ბაძაგუა*

**რეცენზია-დასკვნა ქალბატონ ია დადუნაშვილის სადოქტორო დისერტაციაზე - „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის/დაზარალებულის ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე და სამართლიანი სასამართლოს უფლება“ რეზიუმე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტმა ია დადუნაშვილმა 2012 წლის ივნისის თვეში წარმატებით დაიცვა დისერტაცია, რომლის ოფიციალური შემფასებელი პროფესორი მალხაზ ბაძაგუა გარკვეული მიზეზების გამო დაცვას ვერ დაესწრო. რეცენზია-დასკვნაში განხილულია სადისერტაციო თემის მნიშვნელობა და აქტუალობა, გამოთქმულია სურვილები, წინადადებები და შენიშვნები.

*Малхаз Бадзагуа*

**Рецензия-заключение по докторской диссертации г-жи Ии Дадунашвили на тему: «Доступность правосудия для жертв/потерпевших торговли людьми (трефикинга) и право справедливого суда»**

**РЕЗЮМЕ**

В июне 2012 года докторант Технического Университета Грузии Ия Дадунашвили с успехом защитила диссертацию, при защите которой, ввиду определенных обстоятельств, ее официальный руководитель, профессор Малхаз Бадзагуа, не присутствовал. В рецензии-заключении рассмотрено значение и актуальность диссертационной темы, высказаны пожелания, предложения и замечания.

*Malkhaz Badzagua*

**Review-Conclusion on Mrs. Ia Dadunashvili's Doctorial Dissertation– “Availability of the Justice for Victims of Trafficking and Right of Fair Trail Summary**

PH.D. candidate of Technical University of Georgia – Mrs. Ia Dadunashvili successfully defended her dissertation in June, 2012 where Malkhaz Badzagua who was her official evaluator couldn't present due to some acceptable reason. Review – conclusion discusses importance and actual value of thesis, shows wishes, proposals and notes.

**სამართალდამცავ სტრუქტურებს რეალური რეფორმები ესაჭიროებათ**

უკანასკნელ წლებში საზოგადოებაში ფართოდ ვრცელდებოდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სამართალდამცავ სტრუქტურებში სწორად გატარებული რეფორმების შედეგად, კრიმინოგენური სიტუაცია ქვეყანაში თითქოსდა მკვეთრად გაუმჯობესდა.

პირდაპირ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ აზრის დამკვიდრება მხოლოდ და მხოლოდ წინა ხელისუფლების მიერ კარგი პიარკამპანიის წარმოებით გახდა შესაძლებელი და რეალობასთან საერთო არაფერი აქვს.

ჩემი ამ მოსაზრების ერთ-ერთ საფუძვლად დღეს აქ განხილვაზე წარმოდგენილი ბატონი გურამ გვეტაძის ნაშრომის ის თავიც გამოდგება, სადაც სამართალდამცავ ორგანოებში გასატარებელი რეფორმების შესახებაა საუბარი.

მოგესხენბათ, კრიმინოგენურ სიტუაციას ქვეყანაში, უპირველესად, შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება განსაზღვრავს.

აქედან გამომდინარე გასაგები ხდება საბჭოთა კავშირის რღვევისა და მის შემდგომ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამეფებული ანარქიისა და კრიმინალური სტრუქტურების აღზევების მიზეზებიც.

თითოეული ჩვენგანის თვალწინ, უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე, განვითარდა მოვლენები, როდესაც საქართველო კრიმინალური ბანდების სათარეშო პოლიგონად იქცა. საომარი მოქმედებები ცხინვალში, აფხაზეთში, სამოქალაქო ომი და ბოლოს ხელისუფლების სათავეში კრიმინალების აღზევება მაქსიმალურად ხელს უწყობდა სრულ ანარქიას. მოიშალა და აბსოლუტური დეგრადაცია განიცადა სამართალდამცავმა სისტემამ. ბიუჯეტის ფაქტიურად არ მქონე ქვეყანაში სამართალდამცავი ორგანოები პრაქტიკულად უანგაროდ ანხორციელებდნენ თავიანთ უფლებამოსილებას. ყოველივე ამას რაღა თქმა უნდა თან ახლდა თანმდევი კორუფციული მოვლენები.

მიუხედავად უამრავი სირთულეებისა, ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების მაქსიმალური მობილიზაციის და არნახული ძალისხმევის შედეგად, მდგომარეობის სტაბილიზაცია მოხერხდა. 1996 წლის დასაწყისიდან შეიქმნა ქვეყნის განვითარების რეალური პირობები.

სამწუხაროდ სიტუაცია მალევე გამძაფრდა. რუსეთ-ჩეჩნეთის ომის გამო პანკისის ხეობაში ნამდვილი კრიმინალური ანკლავი ჩამოყალიბდა, რასაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ხელისუფლების პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა. თავისთავად ეს გადაწყვეტილებანიც რუსეთსა და ჩრდილოკავკასიელთა ომში საქართველოს შესაძლო ჩათრევის ასაცილებლად იყო მიღებული.

ხეობაში დაბანაკებულმა ათასობით კბილებამდე შეიარაღებულმა „ბოევიკებმა“, „მოჯახედებმა“ და კრიმინალთა ბანდებმა აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აუტანელი მდგომარეობა შექმნეს. ნარკობიზნესი, ყაჩაღობა, მკვლელობა, ადამიანის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ რეალობად იქცა.

ამას დაემატა ქვეყნის შიგნით მოქმედი დესტრუქციული ძალების

მცდელობები სახელმწიფო გადატრიალების თუ ტერორისტული აქტების განსახორციელებლად.

მორღვეული პირობითი საზღვრები აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან, შიდა პარტიული დაპირისპირებები და ე.წ. „ახალგაზრდა რეფორმატორების“ ხელისუფლებაში ვადამდელი არჩევნების გზით მოსვლის დაუოკებელი წყურვილი. ალბათ გახსოვთ მათი ორგანიზებული არაერთი საზოგადოებრივი აქციები ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით (სანაიას საქმე, პანკისის მოვლენები, რუსთავი-2 და ბოლოს ვარდების რევოლუცია).

ასეთ ვითარებაში, 1999-2002 წლებში დამნაშავეობის აღზევება კვლავ აღინიშნა.

2000 წლის შემოდგომაზე ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის გადაწყვეტილებით უშიშროების საბჭომ და სამართალდამცავმა სტრუქტურებმა შეიმუშავეს გადაუდებელ ფართომაშტაბიან ღონისძიებათა გეგმა, რომლის განხორციელება იმავე წლის დეკემბერში დაიწყო და პრაქტიკულად 2003 წლის დასაწყისში წარმატებით დასრულდა.

კრიმინოგენური მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა უკეთესობისკენ და შეიქმნა მიღწეული წარმატებების კიდევ უფრო განვითარების საუკეთესო პირობები.

თუმცა ასეთ პირობებში 2003 წლის შემოდგომის რევოლუციის შემდეგ, ამ მიღწევების „ნაყოფი“ უკვე ახალმა „ვარდოსანმა“ ხელისუფლებამ მოიძიო.

როგორც ზემოთ ავღნიშნე მაღალპროფესიონალურ დონეზე განხორციელებული პიარკამპანიის მეშვეობით დამნაშავეობასთან ბრძოლის მიმართულებით მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება ახალმა ხელისუფლებამ მთლიანად თავის დამსახურებად წარმოაჩინა.

იყო რაღათქმაუნდა დადებითი ძვრებიც. კერძოდ, აღსანიშნავია პატრულის პროექტის განხორციელება, შენობა-ნაგებობების განახლება, ტრანსპორტითა და სპეცტექნიკით აღჭურვა, შრომის ანაზღაურების გაზრდა და სხვა.

მაგრამ საზგასასმელია ის რომ ყოველივე ეს განხორციელდა მას შემდეგ რაც შს სამინისტროს ბიუჯეტი 1 მილიარდიანი გახდა. ალბათ ადვილად წარმოიდგენთ იმ სირთულეებს რაც ჩვენს წინაშე იდგა მაშინ როდესაც ბიუჯეტი 500 მილიონს ვერ აღწევდა და ისიც ნაწილობრივ ფინანსდებოდა.

სამართალდამცავ სტრუქტურებში განხორციელებულ ე.წ. რეფორმებს რეალურად მოჰყვა გამოუსწორებელი შედეგები.

- ჩამოყალიბდა „პოლიტიკური პოლიცია“;
- ერთი ადამიანის ნებას დაექვემდებარა სასამართლო სისტემა;
- გაჩნდნენ პოლიტიკური პატიმრები;
- სასჯელადსრულების დაწესებულებები გარდაიქმნენ წამებისა და საშინელებათა დაწესებულებად;
- ქვეყანა ტოტალური უკანონო მოსმენების პოლიგონად გადაიქცა;
- მივიღეთ, უფლებააყრილი, ქონებაჩამორთმეული და დეგრადირებული საზოგადოება;
- შეიქმნა პროფესიონალი კადრების მწვავე დეფიციტი.

ბატონებო, ქვეყანას შეველა სჭირდება. სამართლიანობის აღდგენისა და დამკვიდრების მიზნით საჭიროა გადაუდებელი რეალური რეფორმები, რაც

ქვეყნის ინტელექტუალური ძალების მაქსიმალურ მობილიზაციას და მუშაობის სწორად ორგანიზებას მოითხოვს. მიმაჩნია, რომ თითოეული ჩვენგანი ხელისუფლების მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში თავის წვლილს შეიტანს იმ კეთილშობილურ საქმეში, რასაც ქვეყნის სიმშვიდე და სტაბილურობა ჰქვია.

*ზურაბ ჩხაიძე*

პოლიციის თადარიგის გენერალ-მაიორი

*ზურაბ ჩხაიძე*

**სამართალდამცავ სტრუქტურებს რეალური რეფორმები ესაჭიროებათ  
რეზიუმე**

სტატიაში აღნიშნული საკითხები ავტორმა 2013 წლის 12 აპრილს გენერალ-ლეიტენანტ გურამ გვეტაძის წიგნის „გენერლის მოგონებათა ზარდახმა“ განხილვისას დააყენა, სადაც მოცემულია სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობა „ვარდების რევოლუციამდე“ და მის შემდეგ. დასმულია საკითხი მათი რეალური რეფორმის განხორციელების შესახებ.

*Зураб Чхaidze*

**Правоохранительным структурам необходимы реальные реформы  
РЕЗЮМЕ**

Указанные в статье вопросы автор поднимал 12 апреля 2012 года, при рассмотрении книги генерала-лейтенанта Гурама Гветадзе «Шкатулка воспоминаний генерала», в которой описана деятельность правоохранительных структур до и после «Революции роз». Задан вопрос об осуществлении в структурах реальных реформ.

*Zurab Chkhaidze*

**Law-enforcement bodies are in need of real reforms  
Summary**

The discussed issue was raised by the author on 12<sup>th</sup> of April, 2013 during the discussion of General Guram Gvetadze book “Jewelry box of General’s memories” where is given activity of law enforcement bodies before and after the “Rose Revolution”. The matter for implementation of reforms is already highlighted.

## ნაწევრები წიგნიდან „გენერლის მოგონებათა ზარდახმა“

## აფრასიძეების ოჯახის ტრაგედია

თითქმის 30 წლის განმავლობაში სვანეთში, სოფელ ეცერში მცხოვრებ ევგენი აფრასიძეზე და მის შვილებზე უამრავი კრიმინალური ამბები ვრცელდებოდა საქართველოში.

მას იცნობდნენ როგორც მკვლელს, დაუნდობელ და მოუხელთებელ ბოროტმოქმედს. მრავალი წლების მანძილზე ევგენი აფრასიძეს თითქოს ეძებდა მილიცია, მაგრამ უშედეგოდ.

ჩემი შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნისთანავე მოვითხოვე გასაცნობად გახმაურებული გაუხსნელი სისხლის სამართლის საქმეები და ძებნაში მყოფ დამნაშავეთა დოსიები, მათ შორის ევგენი აფრასიძის საქმეც.

აღმოჩნდა, რომ იგი – 16 წელიწადს იძებნებოდა, როგორც მკვლელობაში ეჭვმიტანილი. 1980 წელს სამართალდამცავებმა აფრასიძე დააპატიმრეს, მაგრამ მკვლელობა ვერ დაუმტკიცეს და მხოლოდ იარაღის უკანონო ტარებისათვის სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

საინტერესოა მომხდარი მკვლელობის გარემოებანი და ეჭვმიტანილის „ძებნის“ ისტორია.

იმ პერიოდში, როდესაც ევგენი აფრასიძე მიმაღვაში იმყოფებოდა თავის სოფელში ეცერში სახლი აიშენა, დაცოლშვილებული სრულიად ნორმალურ ცხოვრებას ეწეოდა.

ევგენი აფრასიძეს ბრალად 1964 წელს თავისი სიძის გვარად პირველის მკვლელობა ედებოდა. მაშინ ის დაახლოებით 20 წლის ბიჭი იქნებოდა, რაც შეეხება სიძესთან ურთიერთობას, აქ გარკვეული როლი ითამაშა ევგენის დამ, რომელმაც საკუთარ ძმასა და ქმარს შორის შუღლი ჩამოაგდო. ქალი ირწმუნებოდა მეუღლე ცუდად ექცევა, ხშირად ცემს და აფრასიძეებმაც, როგორც ჩანს სიძის დასჯა გადაწყვიტეს. დანაშაულის შემდეგ ევგენი მიიმაღა და მასზე ძებნა გამოცხადდა.

მას შემდეგ აფრასიძეს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. პირიქით ოქროს ხელების პატრონი ბევრს ეხმარებოდა მეზობლებს. სვანეთში მას უზომოდ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, როგორც სამართლიან, ფიზიკურად ძლიერ და კეთილ ადამიანს.

60-70-იან წლებში ამ კაცთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიაზე სისტემატურად იხილავდნენ მისი ძებნის საკითხს. იყო ზეწოლა მოსკოვიდანაც. ამდენი ხნის ძებნილია, ამჟამად შეიარაღებულია, იცით სად არის და ვერაფერს უხერხებთო. ვინ არ ჩაერია მაშინ საქმეში. უთვლიდნენ ჩაგვბარდო, მაგრამ არავის სიტყვამ არ გაჭრა, აფრასიძე არავის ენდობოდა. ეშინოდა, რომ დახვრეტდნენ.

ვიცოდით, რომ ძებნილი სახლს იშენებდა. სამშენებლო მასალების ნაკლებობას განიცდიდა. ამიტომ ზემო სვანეთში უნდა აგვეგზავნა მზვერავი, როგორც ცემენტის გამყიდველი, რომელიც ევგენის ნდობას მოიპოვებდა. შემუშავდა სათანადო გეგმა.

მინისტრის მოადგილე ალექსანდრე კავსაძე გეგმას გაეცნო, კმაყოფილი დარჩა. საჭირო იყო ამ სარისკო ოპერაციის შემსრულებელი შეგვერჩია.

ღონისძიების ჩატარება ითავა სისხლის სამართლის სამსახურის გამოცდილმა თანამშრომელმა პოლკოვნიკმა ვახტანგ ჯაფარიძემ.

გთავაზობთ ფრაგმენტს მისი ნაამბობიდან, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში, „კვირის პალიტრა“ 2000 წლის 10-16 აპრილს:

„კავსადეს ვუთხარი, თავად წავალ-მეთქი. ცოტა ხანს ვიდავეთ 60 წლისა სრულდებით, როგორ შეძლებთ ამასო, ბოლოს როგორც იქნა დამთანხმდა. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ერთმა მანდილოსანმა მშვენიერი პარიკი და წვერი გამიკეთა (სხვათა შორის ის ქალბატონი საიმედო გრიმისთვის მოგვიანებით ოქროს საათით დააჯილდოეს), ჩავჯექი დახურულ სატვირთო მანქანაში და ასეთი მასკარადით ეცერისკენ გავწიე.

სოფელში მისვლისთანავე აფრასიძის სახლთან გავჩერდი, მანქანიდან გადმოვედი და ეზოში მყოფ ქალებს ცივი წყალი ვთხოვე. მახლობლად წყარო იყო და ევგენის მეუღლე ჭიქის მოსატანად შინისკენ გაემართა.

ამ დროს მთელი ყურადღება სახლისკენ მქონდა მიპყრობილი და უცებ, კარი ოდნავ გაიღო და იქიდან მალულად მამაკაცმა გამოიხედა. აფრასიძე იყო. ამის შემდეგ იგი უკანა კარიდან გამოვიდა სახლს შემოუარა და მოულოდნელად ჩემს წინ აიტეხა.

ევგენიმ მაშინვე შემიტია, ჩემთან ვინ მოგაგზავნაო. თამამად მივუგე: „რა სვანეთში სიარულს და ცემენტის გაყიდვას მიშლი?“ თუ გინდა შენც იყიდე, არადა თავი დამანებე - მეთქი. არა მოგზავნილი ხარო, დაიხემა თან გარშემო მივლის და მათვალაიერებს. შეშფოთებულმა და უკიდურესად დაძაბულმა ვიფიქრე იქნებ პარიკი ამეჩეხა და შენიშნა. ვეუბნები, რას მიტრიალებ? სვანები სტუმართმოყვარე ხალხი მეგონეთ და შენ რანაირად იქცევი – მეთქი. ამის შემდეგ თითქოს დაწყნარდა და მეკითხება, რა ცემენტი გაქვსო. „400 მარკიანი, - ვუთხარი, - წამოდი გიჩვენებ“ მივიყვანე მანქანასთან და საქონელი დავათვალაიერებინე. ეს ცემენტი კი არა ტალახიაო, განმიცხადა. მე უფრო მაღალი ხარისხის მინდა და საერთოდ საღებავის შოვნაც ხომ არ შეგიძლიათ. კი მეთქი შევპირდი და გახარებული, ევგენის ნდობა, რომ დავიმსახურე ზუგდიდისკენ წამოვედი.

მასალის გასაყიდად ზემო სვანეთში რამდენჯერმე ავედი. ცემენტს იაფად ვყიდდი, თუმცა ამის გამო ვინმეს ჩემში ეჭვი, რომ არ შეპარვოდა ზოგჯერ გზის ხარჯსაც წავუმატებდი. თანხას მუდამ პატიოსნად მიხდიდნენ ევგენისაც დავუძმაკაცდი (მოგვიანებით კი შევიტყვე, რომ ევგენის ცოლი არ მენდობოდა და მეუღლეს აფრთხილებდა „არ დაუჯერო ამ კაცს, ხელები მუშისა არა აქვსო“). ოპერაცია გადამწყვეტ ფაზას უახლოვდებოდა.

სამინისტროში გამართულ ოპერატიულ თათბირზე დამტკიცდა იმ ათი კაცის სია, რომლებსაც ძებნილი უნდა დაეკავებინათ. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა თვით მინისტრის მოადგილე სანდრო კავსადე. „რაფითა“ და „ნივით“ გავემზავრეთ და უკვე ზუგდიდ-სვანეთის გზაზე გადახურულ სატვირთო ავტომანქანაში გადავჯექით. მე კვლავ საჭეს მივუჯექი, დანარჩენები ძარაზე ჩასაფრდნენ და თან ნაგაზიც იახლეს.

გეგმა ასეთი გეგმონდა: როგორც წესი, აფრასიძე თავად ათვალაიერებდა სატვირთოს ძარას და ალბათ, ამჯერადაც ასე მოიქცეოდა. სწორედ ამ დროს მე მას ზურგიდან უნდა ვცემოდი და ჩვენი ბიჭებისთვის დამეძახა. ისინიც მაშინვე გადმოხტებოდნენ და ევგენის დააკავებდნენ. მივუახლოვდით აფრასიძის სახლს, მანქანა მის ეზოში გავაჩერე და გადმოვედი.

ვხედავ ევგენი გარეთ გამოვიდა თითქოს ეჭვის თვალით მიყურებს.

უგუნებოდ არის ჩვეულების საწინააღმდეგოდ, რატომღაც მანქანასთან ახლოს არ მისულა, დადგა მოშორებით და მაკვირდება.

- ევგენი მოგიტანე საღებავი, ძალიან მეჩქარება და მოდი იყიდე – მეთქი. უცებ სახლიდან მისი თხუთმეტი წლის ვაჟი გამოვიდა და სატვირთოს მიმართულებით დაიძრა, ვატყობ მანქანის დათვალიერება სურს და ჩვენი გეგმაც საცაა ჩაიშლება.

აღარ ვიცი რა ვიღონო... ლაპარაკ – ლაპარაკით მიუახლოვდი აფრასიძეს, მის გვერდით შევჩერდი და მოულოდნელად, ასეთი რამ ხდება: სატვირთო მანქანიდან ძაღლის წკმუტუნის ხმა გაისმა! ევგენი ყველაფერს მისვდა, ვეფხვივით შეხტა და მიყვირა, ბიჭო, ძაღლები მომიყვანე?! სიტყვა აღარ დავასრულებინე, ვეძგერე, ხელები შემოვხვიე, ჰაერში ავიტაცე და ყვირილი მოვრთე, არიქა, მიშველეთ-მეთქი! პირველი აფრასიძის მეუღლე მეტაკა და ფრჩხილებით სახე დამიკაწრა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ევგენი შევიპყართ და იქაურობას გავეცალეთ, სანამ ადგილობრივები აზრზე მოვიდნენ...

აღბათ, კითხვა გაგიჩნდებათ, მქონდა თუ არა მაშინ სიბრაღულის გრძნობა იმ ადამიანისადმი, რომელთანაც უკვე მშვენიერი ნაცნობობა მაკავშირებდა. რა თქმა უნდა, მქონდა, მაგრამ პროფესიული მოვალეობა გაცილებით დიდი იყო და რაც მთავარია, მინდოდა აფრასიძისთვის სიცოცხლე შემენარჩუნებინა. რომ არა მისი ასეთი აყვანა, იგი მომავალში ვინმეს აუცილებლად შემოაკვდებოდა. დაკავებულს თავიდან ეგონა რომ მისი მოკვლა გესურდა, მაგრამ მგზავრობისას დაწყნარდა და თბილისს რომ მოუახლოვდით, უკვე ხუმრობდა კიდევ”.

ამ პერიოდში სამინისტროს პრესცენტრს ხელმძღვანელობდა გამოცდილი ჟურნალისტი ვაჟა გავაშელი. მას დაევალა პრესის და ტელევიზიისათვის მასალების მომზადება ევგენი აფრასიძის დაკავებასთან დაკავშირებით. იგი ციხეში შეხვდა დაკავებულს და შემდგომ გვიზიარებდა თავის შთაბეჭდილებას პატიმართან შეხვედრის შესახებ.

ჟურნალისტის წარმოსახვაში აფრასიძე წარმოადგენდა „თვალებგადმოქაჩულ აბრაგს“, ფაქტიურად იგი შეხვდა თხელი ტანის, საშუალოზე მაღალ, ძაღზე მშვიდ ამავე დროს მეტყველი გამოხედვის და წყნარად მოსაუბრე ადამიანს, რომელიც არ ტოვებდა მკვლელის შთაბეჭდილებას.

საუბრისას პატიმარმა გამოთქვა სინანული ჩადენილი დანაშაულის გამო, ამავე დროს შეწუხებული იყო იმის გამო, რომ ბავშვებს სკოლაში არ იღებენ ვინაიდან დედ-მამა არარეგისტრირებულ ცოლქმრულ ურთიერთობაში არიან და შვილებს რეგისტრაციაში არ ატარებენ მამის გვარზე.

სამინისტროს ხელმძღვანელობის ნებართვით ციხის უფროსის კაბინეტში ჩატარდა ცოლ-ქმრის საქორწინო რეგისტრაცია, ხოლო „ქორწილის მაყარი“ იყო სისხლის სამართლის სამსახურის განყოფილების უფროსი გივი ყვარელაშვილი, რომელიც ევგენის დაკავების ერთ-ერთი მონაწილე გახლდათ.

მაღე შედგა ევგენი აფრასიძის სასამართლო, სადაც დადასტურდა, რომ სიძე სისტემატიურად შეურაცხყოფდა ცოლს, ევგენის დას, რაც ვერ აპატიო თავმოყვარე ვაჟკაცმა და მას ესროლა. მკვლელობა აღელვების ნიადაგზე მომხდარ დანაშაულთა კატეგორიას მიაკუთვნეს და დამნაშავეს 3 წლით პატიმრობა აკმარეს.

სასჯელის მოხდის შემდეგ ევგენი დაბრუნდა ეცერში და საბჭოთა



მეურნეობაში დაიწყო მძლოლად მუშაობა.

ევგენი აფრასიძის ოჯახის მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდზე და შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე მოგვითხრობს ჟურნალისტი ვაჟა გავაშელი თავის პუბლიკაციაში „ისტორიული შემორიგება“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში „კვირის პალიტრა“ 2002 წლის 25 აპრილი – 5 მაისის ნომერში.

მკითხველს გავაცნობ ამონარიდს აღნიშნული პუბლიკაციიდან: „1984 წელს ზემო ხაიშში ერთმანეთს დაერივნენ ბიძაშვილ-მამიდაშვილები. ყოველ მეორე დღეს ერთ-ერთ მხარეს ვიღაცას კლავდნენ. სისხლის აღების წესი, ჩემი აზრით ერთადერთია, რაც სვანებს ძველი ტრადიციებიდან თითქმის უცვლელად შემორჩათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ აკვანში მძინარე ექვსი თვის ბიჭუნა მოკლეს, გვიან ღამით ფანჯრიდან ნასროლი ტყვიით. სამინისტროდან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს პოლკი გაგზავნეს ასოციაციის შემადგენლობით. მზად იყო კიდევ ამდენი, მაგრამ რას გააწყობს სვანეთის მთებში პოლკი ან დივიზია, როცა მისმა არც ერთმა წევრმა არც გზა იცის და არც ბილიკი. სისხლის ამღებები, ანუ მკვლელები ტყეებს შეეფარნენ და არავინ იყო იქიდან მათი გამოძევანი. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა, ბატონმა გურამ გვეტაძემ. მისი ბრძანებით, ხაიშში უნდა მიეკვლინებინათ იქაურობის მცოდნე თანამშრომელი, რომელიც შეძლებდა ადგილობრივ ავტორიტეტებთან (მკითხველს ვთხოვ ისინი ქურდებში არ აერიოს, როგორც ეს ჩვეულებისამებრაა მიღებული), ანუ უხუცესებთან საერთო ენის გამონახვას. ბუნებრივია, მას არც ევგენი აფრასიძე გამორჩენია მხედველობიდან. იმხანად მე სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელი, მორიგი მივლინებიდან გამომიძახეს.

მინისტრი მეუბნება:

- ვიცი, რომ სვანებთან ლაპარაკი არ გიჭირს, იქაურებსა და იქაურობასაც კარგად იცნობ. ჯარი ვერაფერს გახდა. არადა მკვლელობების რიცხვი კატასტროფულად იზრდება. დღესვე უნდა გაემგზავრო. იქიდან პირდაპირ ჩემთან გამოხვალ კავშირზე, მეტისმეტს ნუ შეჰპირდები. მაგრამ კანონის ფარგლებში კი აუცილებლად ვუშუამდგომლებთ იმათ, ვინც თავისი ნებით ჩაგვბარდება. დროს ნუ დაკარგავ!

ეს საუბარი საღამოს შედგა, გამთენიისას კი ხაიშში ვიყავი. იქაური მილიციის პუნქტში ერთადერთი მილიციელი დამხვდა. წინ გაგიძლოლე და მოსისხლე ოჯახები მოვინახულე. ვინმესთან დალაპარაკება შეუძლებლად მეჩვენა, რადგან ორივე მხარე დახოცილებს გლოვობდა – ერთ მხარეს სამი მიცვალებული იყო, მეორეს – ჯერჯერობით, ორი. მითხრეს, დასაფლავებამდე, რაც იქაური წესებით ორ კვირამდე გრძელდება, ვერავის შეხვდებიო. ორ კვირაში კი დახოცილებს კიდევ ექვსი-შვიდი მიცვალებული მიემატებოდა. დაგბრუნდი ეცერში ევგენისთან. ბედად, იგი თავისი მანქანით გზად შემხვდა და როცა ვითარება ავუსხენი, თვალი არ დაუხამხამებია, ისე მითხრა – წავიდეთ! ევგენის გამოჩენაზე ჯერ ერთი, მერე მეორე მხარის ჭირისუფლები უფრო მოლბნენ. ჩვენი თხოვნის პირველი პუნქტი მოსისხლე მხარეების შერიგება იყო, მაგრამ რაკი იქაური ადათ-წესებით ამას დრო სჭირდება, მანამდე სისხლის აღების შეჩერება ვითხოვეთ. მხოლოდ და მხოლოდ ევგენის ხათრით დაგვთანხმდნენ მოსისხლეები. გავბედე და ჭირისუფლებს შევკადრე, თუ მკვლელები თავისი ნებით ჩაგვბარდებიან, მინისტრის სახელით გიცხადებთ, შელავათს გავუწევთ-მეთქი. მოკლედ მომიჭრეს: ვიდრე აქ ჯარი დგას, მაგაზე ლაპარაკი არ იქნებაო.

- თუ ასეა, თანახმა ვართ. ოღონდ ჯერ ჯარი გავიდეს.

მაშინ მობილური ტელეფონები არ იყო და ქვემო ხაიშში მომიწია ჩასვლა. მინისტრს დაუურეკე შეთანხმების შესახებ მოვახსენე და ჯარის გაყვანა ვთხოვე. მან იქვე გასცა შესაბამისი განკარგულება და ჯარი მართლაც იმავე დღეს გავიდა. მომდევნო დღით კი ყველა ძებნილი ზუგდიდის ციხეში გადავიყვანე. ამის შემდეგ როგორც მოსალოდნელი იყო, მოსისხლე მხარეები დამშვიდნენ და შერიგებაზე მოლაპარაკებაც, რომლის ინიციატორი, რა თქმა უნდა, ევგენი გახლდათ, შედარებით იოლად წარიმართა, მოსისხლეები შერიგდნენ”.

მაგრამ სიმშვიდე აფრასიძეების ოჯახში დიდხანს არ გაგრძელებულა. 1993 წელს ევგენი აფრასიძეს კონფლიქტი მოუვიდა სვანეთში კარგად ცნობილ ძმების კახა და გოჩა უშხვანების ოჯახთან, რომელთა ახლობლებმა აფრასიძეს მანქანა მოჰპარეს. შეტაკებისას უშხვანთა მხრიდან ორი კაცი დაიღუპა. აფრასიძე კვლავ მკვლელობაში ეჭვმიტანილად გამოაცხადეს, თუმცა მისი დაკავება ან შემორიგება ვერ მოხერხდა.

ამის გამო აფრასიძემ კვლავ გაამაგრა სახლი, რომელსაც შეიარაღებულ სამ ვაჟთან ერთად იცავდა. - აფრასიძეს არაერთხელ განუცხადებია, თუ ჩემს აყვანას შეეცდებიან, მომხდურებს გაუსწორდები და თან ბოლო ტყვიას ჩემთვის შევინახავო...

გაზეთი „რეზონანსი“ 1997 წლის 26 სექტემბრის პუბლიკაციაში „სვანეთში განთქმული ყაჩაღი მტრების დახოცვამ დაამწუხრა“ იტყობინება, რომ ციხე-სიმაგრესავით გამაგრებული სახლის ირგვლივ ევგენი აფრასიძის სათვალთვალ პოსტები აქვს, სადაც ოჯახის წევრები მორიგეობენ. მთელი ღამის განმავლობაში.

უფროსი ვაჟიშვილი „კალაშნიკოვის“ ტყვიამფრქვევით იყო შეიარაღებული, თავად ევგენი აფრასიძე კი ღამის სათვალთვალ მოწყობილობასაც კი იყენებდა. ჰაერიდან თავდასხმის მოსაგერიებლად ჰქონდა ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარი „სტრელა-2”.

როგორ შეძლეს სამართალდამცავებმა ამ „ბასტიონის“ აღება?

ეცერში აფრასიძეების წინააღმდეგ იერიში შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმმა განახორციელა 2005 წლის 24 მარტს გამთენიისას. ოფიციალური ცნობით აფრასიძეებს 400-მდე სპეცრაზმელთან მოუწიათ შებრძოლება. სპეცრაზმელების შეტევას ჰაერიდან უჭერდნენ მხარს ვერტმფრენები. როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ ევგენი აფრასიძე სამ შვილთან ერთად იცავდა თავს. ეს იყო ნამდვილი ომი, რომელშიაც აფრასიძეები დამარცხდნენ. ოჯახის თავკაცი ევგენი აფრასიძე და მისი ვაჟი ომეხი მოკლულ იქნენ. დანარჩენი ორი ვაჟი გოჩა და შმაგი ცოცხლად აიყვანეს სპეცრაზმელებმა.

აფრასიძეების ეზოში ორი სახლი იდგა, ერთმანეთისაგან 20 მეტრის დაშორებით. ერთში ცხოვრობდა ევგენი თავისი ორი შვილით, ხოლო მეორე სახლში შმაგი მეუღლესთან და 4 შვილთან ერთად. ამ ბავშვების თვალწინ ხდებოდა საშინელი ტრაგედია. ორივე სახლი ფაქტიურად განადგურდა.

ცოცხლად დარჩენილ ძმებს აფრასიძეებს ბრალად ედებოდათ პოლიციელის მკვლელობა, ტურისტების, ხალხის გატაცება, ყაჩაღობა, რაც გამოძიების მსვლელობაში არ დადასტურდა. ასევე აფრასიძეებს არ დაუდასტურდათ ფეხბურთელ კახი კალაძის ძმის ლევან კალაძის გატაცებაში მონაწილეობა.

საბოლოოდ ძმებს აფრასიძეებს ბრალდებად პოლიციელების მკვლელობის მცდელობა და ხულიგნობა შერჩათ.

სოფელ ეცერში აფრასიძეების სახლის სიახლოვეს სამართალდამცავებმა სამარხი აღმოაჩინეს, სადაც 29 გვამი აღმოჩნდა. გავრცელდა ვერსია, რომ ეს აფრასიძეების მიერ დახოცილი ადამიანებია. ტელევიზიითაც აჩვენეს გახვრეტილი თავის ქალა. ექსპერტიზიტ დადგინდა, რომ არცერთ ნეშტს მსგავსი არაფერი ჰქონდა. ამბობდნენ, რომ ნეშტებს შორის ერთ-ერთი მოზარდი გოგონას გვამი იყო, რომელიც თითქოს გაიტაცეს და მოკლეს. ეს ვერსია არ აღმოჩნდა სწორი. ნეშტებს შორის არ აღმოჩნდა ლევან კალაძის ნეშტიც.

პროკურატურამ ეცერის მოსახლეობიდან მიიღო წერილი, რომელსაც 55 პიროვნება აწერდა ხელს. ისინი მოითხოვდნენ სიძველეების დაცვას და წინაპართა ნეშტების სამარხში დაბრუნებას, ხოლო იმ პირების მიმართ ვინც სოფლის სასაფლაოს წაბილწვის ბრძანება გასცა, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

ეცერში აღმოჩენილი ნეშტები მოსახლეობის მოთხოვნით სამარხს დაუბრუნდა.

აქვე მინდა ავლნიშნო, რომ ლევან კალაძის მიმართ ჩადენილი დანაშაული გაიხსნა. მისი ცხედარი ნაპოვნი იქნა თბილისის მიდამოებში და ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს. მათი კავშირი აფრასიძეებთან არ დადასტურდა.

ასე დამთავრდა სვანეთში აფრასიძეების ოჯახის ტრაგედია. რა მიზეზებმა განაპირობა ამ ოჯახის ასეთი ტრაგიკული დასასრული. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან სამართალდამცავი ორგანოების გაუმართლებელი, ხანგრძლივი უმოქმედობა უფროსი აფრასიძის ძებნის პროცესზე, თუმცა არსებობდა უტყუარი ინფორმაცია, რომ იგი მშვიდად ცხოვრობდა სოფელ ეცერში. მხოლოდ გააზრებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად 16 წლის „ძებნის“ შემდეგ იგი იყო დაკავებული და გასამართლებული.

შემდგომში ევგენი აფრასიძე და მისი შვილები ეჭვმიტანილები იყვნენ მძიმე დანაშაულებების ჩადენაში, რაც უსაფუძვლო გამოდგა.

ბოლოს მცდარ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარდა მაშტაბური სამხედრო ოპერაცია ამ ოჯახის მიმართ, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო კავსაძე, რომელიც საბჭოთა პერიოდში ევგენი აფრასიძის დაკავების ოპერაციას ხელმძღვანელობდა, გაზეთ „ვერსიას“ 2005 წლის 13-15 მაისის ნომერში მიცემულ ინტერვიუში ასე აფასებს აფრასიძეების დაკავებასთან დაკავშირებულ ღონისძიებების შედეგებს: „ნეშტების ასეთი ფორმით გათხრა და სენსაციური ინფორმაციების გავრცელება არაკომპეტენტურობის კლასიკური ნიმუშია“.

სანდრო კავსაძე და ვახტანგ ჯაფარიძე იგონებენ, რომ მათ ბევრჯერ ქონდათ შესაძლებლობა ევგენი აფრასიძის ფიზიკური განადგურების, მაგრამ ეს არ გაუკეთებიათ, რადგან კანონი სასამართლოს განაჩენის გარეშე ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას ანუ პოლიციის ჯარგონით „ლიკვიდაციას“ არ ითვალისწინებდა და ზნეობრივადაც მიუღებელი იყო.

შინაგან საქმეთა ორგანოებიდან წასვლის შემდეგ სანდრო კავსაძე მუშაობდა მთელ რიგ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, მათ შორის

„ადამიანთა უფლებათა და ეროვნებათშორის ურთიერთობების კომიტეტში და ყოველთვის გამოირჩეოდა წესიერებით, პრინციპულობით და გულისხმიერებით.

ასევე შემიძლია დავახასიათო ვაჟა გავაშელი, გივი ყვარელაშვილი, გრიგოლ შონია, გოგი ქეშელაშვილი, მალხაზ ჯაფარიძე ვინც მასთან ერთად არ იშურებდნენ თავის ცოდნას და გამოცდილებას აფრასიძეების ოჯახთან დაკავშირებული სიტუაციების კანონიერების ჩარჩოში მოსაქცევად.

### **სოლიკო ხაბეიშვილის საქმე სხვადასხვა რაკურსში**

არც ერთ სისხლის სამართლის საქმეს ჩვენს ქვეყანაში გასული საუკუნის 80-იან წლებში არ ჰქონია ისეთი რეზონანსი, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის სოლიკო ხაბეიშვილის მიმართ აღძრულ საქმეს, რომელსაც ბრალი კორუფციაში ედებოდა.

ამ საქმეზე ბევრი დაიწერა, როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ პრესაში, მაგრამ დღესაც საზოგადოების ბევრი შეკითხვა ამ საქმის ირგვლივ უპასუხოდაა დარჩენილი.

სისხლის სამართლის საქმის დეტალებზე მე არ შევჩერდები, იგი მკითხველისათვის ცნობილია საგაზეთო პუბლიკაციებიდან და ტელეგადაცემებიდან. მკითხველს გავაცნობ მხოლოდ ზოგიერთ გარემოებებს, რაც დაკავშირებულია გამოძიების მიმდინარეობასთან და საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო შემოსვლა საგანგაშო, სერიოზულმა ინფორმაციამ დიდი ოდენობით მიწერების და სახელმწიფო სახსრების დატაცებაზე ყურძნის, ჩაის ფოთლის დამზადების, ასევე ამ დარგებში გავრცელებული კორუფციის ფაქტებზე, რაც უკავშირდებოდა თანამდებობის პირების დანაშაულებრივ საქმიანობას. ეს მოხდა იმ პერიოდში, როდესაც გავრცელდა ხმები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის ქ. მოსკოვში საკავშირო ორგანოებში ხელმძღვანელ სამუშაოზე გადაყვანის შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირველი ხელმძღვანელის სხვა სამუშაოზე გადაყვანის ვითარებაში ყოველთვის იწყება ბრძოლა „ტახტისთვის“ პრეტენდენტებს შორის. ამ ბრძოლის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მაკომპრომენტირებული მასალა, რომელსაც ავრცელებენ პრეტენდენტთა მხარდამჭერი პირები.

ამ ბრძოლაში როგორც წესი იმარჯვებს ის, ვისაც უფრო მეტი მხარდამჭერი აღმოუჩნდება ზემდგომ პარტიულ აპარატში, ძალოვან სტრუქტურებში, მასმედიაში და საზოგადოებაში.

გამორიცხული არ იყო, რომ ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი ამ შემთხვევაშიც, რის გამოც შინაგან საქმეთა სამინისტრო თავიდანვე შემოსული მასალების შემოწმებას მოეკიდა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით. ჩაყენებული იქნა საქმის კურსში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე. მან მკაცრად გაგვაფრთხილა მასალების შემოწმებისას გამოგვეჩინა მაქსიმალური სიფრთხილე და ობიექტურობა, ვინაიდან შემოსულ

ინფორმაციაში აღნიშნულ დანაშაულებრივ ფაქტებში იმხილებოდნენ პარტიული აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ამ შემთხვევაში დაწინაურების პრეტენდენტებათ ითვლებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორი დარგობრივი მდივანი: ჯუმბერ პატიაშვილი და სოლიკო ხაბეიშვილი.

ედუარდ შევარდნაძე გადაყვანილ იქნა ქ. მოსკოვში და დაინიშნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად, ხოლო ჯუმბერ პატიაშვილი, 1985 წლის ივლისში გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

შემდგომი მოვლენები განვითარდა დრამატულად.

1986 წლის 24 იანვარს თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა: „გამოუსწორებელი მორალური ზიანი მოგვაყენა თავისი დანაშაულებრივი საქმიანობით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა მდივანმა ხაბეიშვილმა, რომელიც ახლა დაპატიმრებულია“.

ამავე მოხსენებაში დასახელებულნი არიან სიღნაღის და მახარაძის პარტიის რაიკომების პირველი მდივნები: ბუჩუკური და თენგიშვილი, მათ ბრალად ედებოდათ მექრთამეობა. თელავისა და ახმეტის რაიკომის პირველ მდივნებს კობაიძეს და ბატიაშვილს მომხსენებელი უწოდებს პირწავარდნილ გაიძვერებს, დამტაცებელთა, საქმოსანთა და კომბინატორთა მფარველებს.

შემოსული დანაშაულებრივი ფაქტების შემოწმებას აწარმოებდა საგამომძიებლო-ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მინისტრის მოადგილეები შოთა გორგოძე და ზიბერტ ხაზალია, ხოლო გამოძიებას ზედამხედველობას უწევდა რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე ვახტანგ რაზმაძე.

რესპუბლიკის პროკურორი ანზორ ბარაბაძე გამოძიების მსვლელობაში უშუალოდ არ ერეოდა ვინაიდან იგი მუშაობდა წარსულში ქალაქ ქუთაისის პროკურორად, როდესაც სოლიკო ხაბეიშვილი იყო ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივანი. ამ გარემოებას შესაძლოა ეჭვსკვეშ დაეყენებინა გამოძიების ობიექტურობა.

მე როგორც მინისტრი პერიოდულად ვისმენდი ჩემი მოადგილეების ინფორმაციას გამოძიების მსვლელობაზე, საყურადღებო ინფორმაციას ვახსენებდი პირველ მდივანს, თუმცა ვიცოდი, რომ იგი უშუალოდაც იღებდა მისთვის საინტერესო ინფორმაციას ჩემი მოადგილეებიდანაც.

მთელი პასუხისმგებლობით ავღნიშნავ, რომ ჩემთან საუბრისას ედუარდ შევარდნაძე მოითხოვდა მხოლოდ მაქსიმალურ ობიექტურობას და სიფრთხილეს გამოძიების მსვლელობისას, რასაც შემდგომ მე ვთხოვდი ჩემს მოადგილეებს და საგამომძიებლო სამმართველოს უფროსს პოლკოვნიკ მამია ჯაფარიძეს.

ერთ-ერთი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც შემდგომ დაუკავშირდა სოლიკო ხაბეიშვილს იყო სიღნაღის რაიონის ღვინის ქარხნის დირექტორის, მეტსახელად „ნულლას“ საქმე, რომელიც გამოძიების დაწყებისთანავე მიიმაღლა.

გამოძიებით გამოვლინდა ფალსიფიცირებული ღვინის დამზადების,

ყურძნის შესყიდვის, უსაქონლო ოპერაციების გაფორმებისა და ამ გზით სახელმწიფო სახსრების დიდი ოდენობით დატაცების ფაქტები.

„ნულლას“ ახლობლები შეეცადნენ გამოძიებლების „მოსყიდვას“, მაგრამ როდესაც ეს ვერ შეძლეს, გადაწყვიტეს საქმის მოგვარება საკავშირო ორგანოების საშუალებით.

„ნულლას“ მეუღლე დაუკავშირდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს, რომელსაც სთხოვა დახმარება და დაპირდა შესაბამის გასამრჯელოს.

საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მოსკოვში ვნუკოვოს აეროპორტში დააკავეს „ნულლას“ მეუღლე, რომელსაც თან აღმოაჩნდა მილიონ ოთხასი ათასი მანეთი განკუთვნილი მოსკოვში საქმის მოსაგვარებლად.

ჩატარებული გამოძიებით მისი ბრალი დადასტურდა და სასამართლომ მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

„ნულლას“ მეუღლის დაკავებამ კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოებრიობის ყურადღება მექრთამეობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების მიმდინარეობაზე. გაირკვა ისიც, რომ სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა სოლიკო ხაბეიშვილის რეკომენდაციით.

შემდგომი შემოწმებით სერიოზული დანაშაულებრივი ფაქტები გამოვლინდა ახმეტის, მახარაძის და ზოგიერთ სხვა რაიონებში დაისვა საკითხი ამ რაიონების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი. დაკითხვებისას მათ აღიარეს სოლიკო ხაბეიშვილთან კორუფციული ურთიერთობის ფაქტი, რის შემდეგაც რესპუბლიკის პროკურატურის წარდგინებით ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სოლიკო ხაბეიშვილი გაათავისუფლა ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან, ხოლო შემდეგ დაპატიმრებული იქნა.

ამავე პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოში მიმდინარეობდა გამოძიება საქართველოს ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ა. უბირიას მიმართ.

იგი დაბეჯითებით ითხოვდა ჩემთან შეხვედრას საუბრისათვის. მინისტრის მოადგილის ზ. ხაზალიას თხოვნით მე იგი მივიღე. საუბრისას ა.უბირიამ განაცხადა, რომ გამოძიებელი მისგან ითხოვს ჩვენებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან სოლიკო ხაბეიშვილის მიმართ, რომელიც იმხილებოდა მექრთამეობაში. ა. უბირია ჩემგან ითხოვდა რჩევას, როგორ მოქცეულიყო.

მე განუმარტე უბირიას, რომ მრჩეველად მას არ გამოვადგებოდი, ამასთანავე გავაფრთხილე, იყოს მაქსიმალურად ობიექტური და ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე. უბირიასთან საუბარმა დამაეჭვა, ხომ არ ხდებოდა პატიმრიდან ჩვენების გამოძალვა, რის შესახებაც მივუთითე ზ. ხაზალიას. მასვე ვთხოვე გაეფრთხილებინა გამოძიებლები პატიმრებთან ურთიერთობისას მაქსიმალურად დაეცვათ კანონიერება და ობიექტურობა.

რამდენიმე დღის შემდეგ მე გამოძახებული ვიყავი ჯუმბერ პატიაშვილთან მივიღე შენიშვნა, რომ უსაფუძვლოდ ვერეოდი ს. ხაბეიშვილის საქმის გამოძიებაში, რაც დაუშვებლად მიაჩნია. იყო კიდევ ერთი გარემოება,

რომელიც მოითხოვდა დეტალურ შემოწმებას. საქმის მასალების მიხედვით, სოლიკო ხაბეიშვილს ქრთამის სახით მიღებული ჰქონდა 400 ათას მანეთზე მეტი. მე ვითხოვდი საგამოძიებო ჯგუფიდან დაედგინათ, სად წავიდა ეს ფული. ბრალდებულს არ აღმოაჩნდა არც ფული, არც ფასეულობანი, არ ჰქონდა ბრილიანტები, აგარაკი, ავტომანქანა. ოჯახში არსებული ტელევიზორი აღმოჩნდა ნაქირავები. ამ კითხვაზე მე პასუხი ვერ მივიღე.

მახსენდება კიდევ ერთი ფაქტი, რომელმაც გამოიწვია ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის რისხვა.

იყო შაბათი დღე, ჩვეულებისამებრ დილით მივედი სამინისტროში და ვეცნობოდი ღამის განმავლობაში მომხდარ შემთხვევათა ნუსხას. შემოვიდა ჩემთან საგამოძიებო სამმართველოს უფროსი.

მან მომახსენა, რომ შეგროვდა საკმაო მამხილებელი მასალა ს. ხაბეიშვილის საქმის თანამონაწილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორის ზურაბ მაისურაძის დაპატიმრებისათვის. ამასთანავე მ. ჯაფარიძემ მაცნობა, რომ წინა დღეს მაისურაძეს ბავშვი ელექტროდენით დაეწვა და ამჟამად საავამდყოფოში იმყოფება. იგი ითხოვდა ჩემს თანხმობას, მაისურაძის დაკავების რამდენიმე დღით გადადებოდა. შექმნილი გარემოების გათვალისწინებით. მე დავთანხმდი ამ წინადადებას, ამასთანავე ვთხოვე ეს საკითხი შეეთანხმებინა პროკურორთან.

მეორე დღეს, კვირას, კვლავ მივედი სამინისტროში. მისაღებში დამხვდა მინისტრის მოადგილე, გამოძიების კურატორი ზიბერტ ხაზალია, რომელმაც მომახსენა, რომ წუხელის დაპატიმრეს ზურაბ მაისურაძე.

მე დავინტერესდი, რამ განაპირობა წინა დღეს მიღებული შეთანხმების სასწრაფოდ შეცვლა. ზიბერტ ხაზალიამ მაცნობა, რომ ზ. მაისურაძის დაპატიმრება თითქოს მოხდა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის ვ. რაზმაძის მითითებით.

ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ მე გამომიძახეს ცენტრალური კომიტეტში, მეორე მდივანთან ბორის ნიკოლსკისთან. მან შემომთავაზა სამუშაოდ გადასვლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწედ სამობილიზაციო საკითხებში. ამგვარად 1986 წლის თებერვალში მე განტავისუფლებული ვიყავი შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან და 55 წლის ასაკში გავხდი პენსიონერი.

კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებით გამოყვანილი ვიქენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობიდან.

ვადაზე ადრე პირადი განცხადებით დავტოვე საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნება.

რესპუბლიკის პროკურორი ანზორ ბარაბაძე გულის შეტევით უეცრად გარდაიცვალა...

რესპუბლიკის პროკურორად დაინიშნა ვახტანგ რაზმაძე.

აი როგორ ხსნის გაზეთ „ქრონიკის“ ჟურნალისტი ვანო პავლიაშვილი თავის პუბლიკაციაში ჩემს სასწრაფო „დაწინაურებას“ (იხილე №16, 2005 წ) „ხელისუფლებაში მნიშვნელოვანი გადაადგილება მოხდა. გვეტაძეს შს მინისტრის პოსტი დაატოვებინეს და ამ პოსტზე შოთა გორგოძე დანიშნეს. ცკ-ს კულუარებში ხმა გავრცელდა, გვეტაძე „პირველის“ თამაშს არ თამაშობდა და თავიდან მოიცილესო“. უნდა ვიქიროთ, რომ ეს დასკვნა სწორია. ჩემთვის

თავიდანვე ცხადი იყო, უმაღლეს ხელისუფლებას სურვილი ჰქონდა, ჩამოეშორებოდა ს. ხაბეიშვილის საქმის გამოძიებას.

ამ საკითხს გამოეხმაურა იტალიური გაზეთი „ექსპრესო“, რომელიც 1986 წლის 4 მაისს იტყობინებოდა, რომ გაათავისუფლეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გ. გვეტაძე, რომელსაც „მფარველობდა“ რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე. ამით ახალი ხელმძღვანელი ჯ. პატიაშვილი განთავისუფლდა არასასურველი მინისტრისგან.

ხაბეიშვილის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებული საყურადღებო მასალები გამოქვეყნდა რუსეთის პრესაში. ჟურნალმა „როდინამ“ 1990 წელს გამოქვეყნდა ჟურნალისტს ანდრეი ყარაულოვის ვრცელი, კრიტიკული სტატია „იუდა მარტო არ იყო“. გაზეთმა „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ 1990 წლის 8 აპრილს გამოქვეყნდა სტატია, „ნოკაუტი“, რომელშიაც აღნიშნულია, რომ 1983 წელს სიღნაღის რაიკომის მდივანმა ბუჩუკურმა დაადანაშაულა ჯ. პატიაშვილი მექრთამეობაში, რაც შემოწმებით არ დადასტურდა. 1984 წელს, მას შემდეგ რაც ბუჩუკური თვითონ დააპატიმრეს მექრთამეობისათვის, დაიწყო ჩვენების მიცემა ს. ხაბეიშვილზე. ამ ფაქტით გამოძიება საერთოდ არ დაინტერესებულა.

მკითხველთათვის ალბათ საინტერესო იქნება, როგორ წარიმართა სოლიკო ხაბეიშვილის საქმის სასამართლო განხილვა და რა ბედი ეწია საბოლოოდ ამ ადამიანს.

გაზეთ „კომუნისტში“ 1987 წლის 22 თებერვალს დაიბეჭდა ცნობილი ჟურნალისტის მ. მიქაძის ვრცელი პუბლიკაცია „განკითხვა“ სადაც დეტალურად აღწერილია სასამართლო პროცესის მსვლელობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თ. გერსამიას თავმჯდომარეობით. 1987 წლის 9 თებერვლის ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა სოლიკო ხაბეიშვილის საქმე, დამნაშავედ ცნო იგი. სოლიკო ხაბეიშვილს ქრთამის აღებაში ამხელდა 11 პიროვნება, საქმეში დაფიქსირებული იყო 24 ეპიზოდი 411 ათას 657 მანეთის თანხით. სასამართლომ დადასტურებულად ცნო სამი პირის ჩვენება, 6 ეპიზოდი 75,5 ათასი თანხით. სასამართლომ მოხსნა 18 ეპიზოდი დაუდასტურებლობის გამო.

სოლიკო ხაბეიშვილს მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, აქედან 5 წელი საპყრობილეში.

საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ გადასინჯა ს. ხაბეიშვილის საქმე და შეუმცირა მას სასჯელი 15 წლიდან 8 წლამდე. გამოცხადდა ამნისტია და სოლიკო ხაბეიშვილი განთავისუფლდა.

იგი სათავეში ჩაუდგა ედუარდ შევარდნაძის ფონდს, სადაც იმუშავა სიცოცხლის ბოლომდე.

1995 წლის 20 ივნისს სოლიკო ხაბეიშვილი მოკლული იქნა ბოროტმოქმედთა მიერ. მკვლელები აღმოჩნდნენ ტერორისტული დაჯგუფების წევრები, რომელთაც ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით ჩადენილი ჰქონდათ არაერთი ტერორისტული აქტი, მათ შორის სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიმართ 1995 წლის 29 აგვისტოს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 1995 წელს განიხილა 1994 წელს სოლიკო ხაბეიშვილის მიერ შეტანილი საჩივარი და თავისი დადგენილებით გაამართლა, მის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის



არარსებობის გამო.

ეს მოხდა დაგვიანებით, მისი მკვლევლობის შემდეგ.

უზენაესი სასამართლოს საბოლოო ვერდიქტის მიღების შემდეგ თითქმის 15 წელი გავიდა. დღეს მშვიდი გონებით და დამცხრალი ემოციით, როდესაც ანალიზს უკეთებ ს. ხაბეიშვილის საქმის გამოძიების და სასამართლო განხილვის გარემოებებს, რწმუნდები, რომ ამ საქმეში მაინც დარჩა თეთრი ლაქები.

კერძოდ, ს. ხაბეიშვილს გამოძიების პროცესში თითქმის ათჯერ აქვს მიცემული აღიარებით ჩვენებები სხვადასხვა ეპიზოდებზე. ასევე აღიარებითი ჩვენებები სამჯერ მიცემული აქვს სსრ კავშირის პროკურატურის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის, მათ შორის საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის ა. რეკუნკოვისათვის. ეს აღიარებები შემდგომში ს. ხაბეიშვილმა უარყო და ახსნა რაღაც ზებუნებრივი ძალების ზემოქმედებით. რა ძალებს გულისხმობდა ს. ხაბეიშვილი დღესაც გაურკვეველია.

სასამართლო პროცესზე ბრალდებიდან 18 ეპიზოდის მოხსნა გამოძიების მნიშვნელოვან ხარვეზებზე მიუთითებს, რაც რეაგირების გარეშე დარჩა. ამ საქმეში საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. ბრალდების 11 მოწმიდან 7 დაპატიმრებული იყო, ერთი სასჯელს იხდიდა, დანარჩენი სამი სასამართლოს მოელოდნენ. ასეთ ვითარებაში არ არის გამორიცხული, რომ მათზე შესაძლო ზემოქმედება გამოძიების მხრიდან, ძიებისათვის სასურველი ჩვენების მიღების მიზნით.

სასამართლო პროცესზე ცნობილი გახდა, რომ ბრალდების ზოგიერთმა მოწმემ ცრუ ჩვენებები მისცა.

მოვიყვან ერთ მაგალითს.

მოწმემ ზურაბ მაისურაძემ სრულიად შეგნებულად გამოძიებას მისცა არასწორი ჩვენება, თითქოს მან ა. უბირიასაგან მიიღო ქრთამის სახით 5 ათასი მანეთი ს. ხაბეიშვილისათვის გადასაცემად. ეს ფული ჩადებული კონვერტში მან მიუტანა და გადასცა სამუშაო კაბინეტში. ამ დროს მას თითქოს მოუხდა კონფლიქტი ს. ხაბეიშვილის პირად მდივანთან, თამრიკო ტაბიძესთან, რომელიც არ უშვებდა მას კაბინეტში, ვინაიდან ცეკას მდივანი დაკავებული იყო. ამ ჩვენებას ადასტურებდა უბირია, მაგრამ უარყოფდა ხაბეიშვილი.

სასამართლო პროცესზე ზურაბ მაისურაძემ თავისი ჩვენება უარყო. აღმოჩნდა, რომ ეს ეპიზოდი გამოძიებას არ ქონდა სრულყოფილად შემოწმებული. იმ პერიოდში, როდესაც ზ. მაისურაძემ უბირიას თხოვნით ს. ხაბეიშვილს თითქოს „რაღაც“ კონვერტი გადასცა, თამრიკო ტაბიძე ერთი წლის გარდაცვლილი იყო.

შემდგომში ზ. მაისურაძემ ახსნა, რომ ეს „აღიარება“ მას სჭირდებოდა იმისათვის, რომ როგორც მოწმე აუცილებლად მოხვედრილიყო სასამართლო პროცესზე და იქ ეთქვა სიმართლე.

გამოძიების ეს და სხვა მსგავსი ხარვეზები სასამართლოს კრიტიკული შეფასების გარეშე დარჩა.

ასე ტრაგიკულად დაამთავრა თავისი ცხოვრება გასული საუკუნის 80 წლების ერთ-ერთმა მოაზროვნე, ენერგიულმა პარტიულმა მუშაკმა სოლიკო ხაბეიშვილმა.

ბევრი მისი მეგობარი და თანამოაზრე დღესაც ამბობს, რომ სოლიკო

ხაბეიშვილს ქონდა დიდი გეგმები, იგი შეეწირა „სასახლის კარის ინტრიგებს“ და ძალაუფლებისათვის ბრძოლას.

სოლიკო ხაბეიშვილის საქმე სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებში ირჩეოდა 8 წლის განმავლობაში. ამ საქმესთან შეხება ქონდა სამ უმაღლესი რანგის პროკურორს (რეკუნკოვს, ა. ბარაბაძეს, ვ. რაზმაძეს), სამ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს (კ. კეთილაძე, გ. გვეტაძე, შ. გორგოძე) მრავალ გამომძიებელს, ექსპერტს, ადვოკატს და მოწმეს. ეს საქმე იყო პრესის, ტელევიზიის და საზოგადოების დაუცხრომელი ყურადღების საგანი.

მიუხედავად ასეთი დიდი „აუდიტორიის“ დაინტერესებისა, ამ საქმეში, როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვანი კითხვები უპასუხოდ დარჩა.

სხვადასხვა რაკურსიდან განხილვისას ეს საქმე განსხვავებულ ელფერს იღებდა და საპირისპირო შინაარსს ღებულობდა.

ფილოსოფოსები გვასწავლიან, რომ ჭეშმარიტება ერთია, მაშინ რომელი გადაწყვეტილება მივიჩნიოთ ჭეშმარიტებად, გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი?

უნდა ვირწმუნოთ, რომ ჭეშმარიტება დადგინდა 1995 წლის 26 სექტემბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლითაც გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1987 წლის 9 თებერვლის განაჩენი და ყოფილი სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს 1990 წლის 21 აგვისტოს განჩინება სოლიკო ხაბეიშვილის მიმართ და საქმე წარმოებით შეწყვიტა დანაშაულის არ არსებობის გამო.

ამ გადაწყვეტილებით დღემდე არავინ დაინტერესებულა.

ნაწევრები წიგნიდან „ბეწვის ხიდზე“ ბოროტებასთან მებრძოლი –  
 მონოლოგი საგამოძიებო საქმეებზე

ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საქმედ ჩემ მიერ გამოძიებულ საქმეებს შორის მივიჩნევ 1977 წლის გამოძიებულ ბანდიტიზმის საქმეს, სადაც საბოლოო ჯამში მხილებული იქნა 17 პირი, მათ შორის 2 დაცვის მილიციის მუშაკი, ძმები ჯაჯანიძეები. მათი მონაწილეობა ბანდაში მოსკოვმა განიხილა და მიიჩნია, როგორც საგანგებო შემთხვევა სსრ კავშირის მასშტაბით. ჩადენილი დანაშაულის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ყაჩაღები დაზარალებულთა საწამებლად იყენებდნენ ცხელ უთოს და იჩენდნენ განსაკუთრებულ სისასტიკეს. ამას ემატებოდა ის გარემოება, რომ დაზარალებულთა შორის აღმოჩნდა თელავის რაიკომის პირველი მდივანი ალექსი ბატიაშვილი და სხვა თანამდებობის პირები. დაყაჩაღებულთა შორის იყვნენ დაღესტნის მოქალაქეებიც, რომლებიც ყვარლის გავლით შაბათს ჩამოდიოდნენ თელავის ბაზრობაზე და კვირას უკან ბრუნდებოდნენ. სწორედ ამ ეპიზოდთან დაკავშირებით შემთხვევის ადგილიდან ამოვიღე გაზეთის ნაჭერი, პატარა ზომის, რომელზეც ფანქრით იყო გაკეთებული აღნიშვნა მხოლოდ ერთი ასოთი - „ხ“. ჩანდა, რომ ეს მონიშვნა ფოსტალიონის მიერ უნდა ყოფილიყო შერსულებული. შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი ამ საქმეების გასახსნელად და გამოსაძიებლად. ჯგუფის ხელმძღვანელობა დამევალა მე. დავკითხე ყვარლის სოფლების ფოსტალიონები, შედეგი არ გამოიღო. დავიწყე თელავის სოფლების ფოსტალიონების დაკითხვა და ერთ-ერთმა ფოსტალიონმა დაადასტურა, რომ ეს მისი შესრულებული იყო და გაზეთი ეკუთვნის თელავის რაიონის სოფელ კიხისხევის მცხოვრებს ხვთისო ხვთისიშვილს, რომელიც ყაჩაღობისთვის იყო ნასამართლევი და 6 თვის წინ განთავისუფლებული საპატიმრო დაწესებულებიდან. იმავე დამეს დავაკავეთ. მესამე დღეს აღიარა მხოლოდ ლეკებზე თავდასხმა. გავარკვიეთ, რომ საპატიმრო ადგილიდან მასთან ერთად გათავისუფლდნენ გურჯაანში მცხოვრები გამდლიშვილი და ლაზაშვილი. სხვა შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ნივთმტკიცებებზე აღმოჩნდა მათი თითის კვალი. ასე დაიწყო ეს საქმე და 9 თვის თავზე ძმებ ჯაჯანიძეებს, რომლებიც იმ დროისათვის პატიმრობაში იმყოფებოდნენ, ოპერატიული გზით დავადგინეთ, რომ არ ადარდებდათ ჩადენილი ყაჩაღობები, ეშინოდათ უფრო მძიმე დანაშაულის, კერძოდ მკვლელობის. არ ვიცოდით მოკლულის ვინაობა, გავარკვიეთ, რომ იმავე სოფელში, საიდანაც ჯაჯანიძეები იყვნენ, უგზო-უკვლოდ იყო დაკარგული მათი მეზობელი თამაზ თასოვეი, რომელიც თბილისში გაემგზავრა მანქანის საყიდლად და თან ფული ჰქონდა 4 000 მანეთი. ამ მიმართულებით მუშაობამ შედეგი გამოიღო. ჯაჯანიძეებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული. მათ თასოვეი მოკლეს თბილისის ზღვაზე იმ იარაღით, რომელიც ამოღებული გვქონდა. თასოვეი დაკრძალული იყო დაუდგენელ გარდაცვლილთა სასაფლაოზე და გვამის ექსპერტიზის დროს თავის ქალადან ამოვიღეთ ტყვიის გულა. ბალისტიკური ექსპერტიზით დადგინდა, რომ ტყვიის გასროლა მოხდა თამაზ ჯაჯანიძის იარაღიდან. სულ დავადგინეთ შეიარაღებული ბანდის მიერ მოქალაქეებზე განხორციელებული 21 თავდასხმის ფაქტი, რომლებშიც მხილებულ იქნა 17 პირი. საქართველოს უმაღლეს სასამართლომ თამაზ ჯაჯანიძეს სიკვდილით დასჯა-დახვრეტა მიუსაჯა, მაგრამ მოსკოვმა 15 წლით თავისუფლების აღკვეთით შეუცვალა. ზემოთ ნახსენებმა ბანდიტიზმის საქმემ ჩემი კარიერის საწყის ეტაპზე დიდი როლი შეასრულა. მთავრობის ჯილდოც მომცეს, როგორც ამას გამოძიების საწყის ეტაპზე დამპირდა სისხლის სამართლის სამსახურის უფროსი,

ბრწყინვალე ადამიანი და ხელმძღვანელი ვახტანგ ოდიშელი და თან დამნიშნეს პირველი განყოფილების უფროსის მოადგილედ. ეს დამწყები გამოძიებლისათვის დიდი დაწინაურება იყო. ამასთან საქართველოს ტელევიზიამ ჩემზე და ჩემს ოჯახზე გააკეთა სპეციალური ფილმი ასეთი სათაურით: „დაუბინდავი სარკე“. იმ დროისათვის ასეთი გადაცემის გაკეთება მილიციის გამოძიებელზე პირველად მოხდა. ეს მითხრა კიდევაც ტელევიზიის იმდროინდელმა შეფმა ნუგზარ ფოფხაძემ. ამას მოჰყვა შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება მოსკოვში, აკადემიაში ჩემი სასწავლებლად გაგზავნის შესახებ, ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელ ფაკულტეტზე. აქვე მინდა ხაზი გავუსვა კიდევ ერთ გარემოებას. გარდა კეთილგანწყობისა, ხელშეწყობისა და უანგარო დახმარებისა, სხვა არაფერი მიგრძნია არასდროს ბატონების: გურამ გვეტაძის, შოთა გორგოძის, ვარლამ შადურის, თემურ სიღამონიძის, სანდრო კავსაძის, ზიბერტ ხაზაღიას, რობიზონ თუშურაშვილის, გივი კვანტალიანის, დილარ ხაბულიანის, რომან გვენცაძის, გერმან სერიოდკინისა და იური ერმოლაევისაგან. 1980 წლის ზაფხულში, როცა ჩემი მოსკოვში გაგზავნა გადაწყდა, ბატონ გურამ გვეტაძემ მკითხა კიდევ: „ჯემალ როგორ ახერხებთ ყველა ჩვენთაგანისაგან ასეთ კეთილგანწყობას?“ ვუპასუხე: „კონფლიქტები არ მიყვარს, მისი განმუხტვისთვის კი ძალ-ღონეს არ ვიშურებ“. ჩემი პასუხით კმაყოფილი დარჩა. არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემს კარიერულ წინსვლაში, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, ბატონ შოთა გორგოძის დამსახურება. სწორედ მასთან ერთად მომიწია რამდენიმე განსაკუთრებით რეზონანსული ეკონომიკური დანაშაულის გამოძიება.

სხვათა შორის ჩემ მიერ გამოძიებული საქმეებიდან ორი შემთხვევა იყო, როცა ბრალდებულს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. ერთი შემთხვევა უკვე აღვწერე, მეორე გახლდათ ანაგის ღვინის ქარხნის დირექტორი თამაზ მჭედლიშვილი, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის (3 მილიონი მანეთი) სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ვინაიდან მისი თანამონაწილე უფრო სწორად, დანაშაულის ორგანიზატორი ნუღლა ბაკაშვილი თავისი ნებით ჩაბარდა გამოძიებას (ის ოთხი წელი იძებნებოდა), ამან განაპირობა გამოძიების ხელახლა ჩატარება და ორივემ 15-15 წელი მიიღეს სასჯელის ზომად. 15 წელი პატიმრობის მაქსიმალური ვადა იყო 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, დღევანდელ ვითარებასთან შედარებით შეიძლება ცოტა უცნაურადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

ბაკაშვილის საქმეზე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც მინდა ვახსენო. კვალიფიციურად შეიძლება ითქვას, მაღალ დონეზე ჩატარებულმა საგამოძიებო და ოპერატიულ ღონისძიებებმა საშუალება მოგვცეს ქ. მოსკოვში ვნუკოვოს აეროპორტში ამოგვეღო ერთი მილიონი მანეთი, რომელიც „საქმის ჩასაწყობად“ ჩაიტანა ბაკაშვილის მეუღლემ მავრამ. ოპერაციაში უშუალოდ მე ვღებულობდი მონაწილეობას თბილისიდან. ამ ოდენობის თანხის ამოღება იმ დროისათვის სენსაცია იყო. შინაგან საქმეთა მინისტრი ფედერჩუკი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ფული თბილისში წამომეღო. ყველაფერი გავაკეთე ამისათვის, სხვანაირად თბილისში არ ჩამომესვლებოდა. შოთა გორგოძემ მითხრა კიდევ: თუ ფულს არ ჩამოიტან, დარჩი მოსკოვში ფედერჩუკთანო. ამ საქმეზე მაშინ საკმაოდ არასასიამოვნო გადაწყვეტილება მივიღეთ. დავაპატიმრეთ ბაკაშვილის მეუღლე მავრა, რომელსაც 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მიუხედავად ამ არაპოპულარული გადაწყვეტილებებისა, ამ ოჯახთან დღემდის, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ნორმალური ურთიერთობა მაქვს.

1978 წელს მიმავლინეს აფხაზეთში, კერძოდ გაგრაში. იქ უკვე დამხვდა მოსკოვიდან ჩამოსული საგამოძიებო ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი ვალენტინა გრიაზნოვა, მილიციის პოლკოვნიკი. ეს ქალბატონი გამოირჩეოდა მაღალი კვალიფიკაციით, სიმკაცრით და შეუვალობით, მასთან მუშაობა დიდ სიამოვნებას არავის ანიჭებდა. ცნობისთვის, მან გამოიძია ჩვენთან ისეთი განხმარებული საქმე, როგორც იყო მიხეილ ბაბუნაშვილის საქმე და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დაწვის ფაქტი, რა თქმა უნდა, ჩვენს გამომძიებლებთან ერთად. იმ დროისთვის, მე დამწყებ გამომძიებლად ვითვლებოდი. სწორედ იმ დროს გუდაუთაში მოხდა აფხაზი რადიკალი ნაციონალების გამოსვლები, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბზიფის ავტობაზის თანამშრომლები. იქ დაახლოებით 2 500 კაცი მუშაობდა. ამ ავანტიურას სათავეში ედგა ბაზის დირექტორი ვინმე აჟიბა, ბზიფის სკოლის დირექტორი კეხირიპა, ცნობილი პიროვნებები ინალიფა, შინკუბა, ძიძარია და სხვ. მათ მოთხოვნათა შინაარსი სხვა არაფერი იყო, თუ არა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა და რუსეთთან გაერთიანება. ბზიფის ავტობაზის საქმის გამოძიებისას გაირკვა, რომ სწორედ აჟიბამ და მისმა თანამშრომლებმა ასეულათასობით სახელმწიფო ფული მიითვისეს პრემიების სახით. ერთ დღეს გრიაზნოვა პირადად მე მანდობს ასეთ საიდუმლოებას: რა ვქნა, ჯემალ ვლადიმეროვიჩ, ცენტრიდან გვითხრეს: რამდენ აფხაზს დააპატიმრებთ, იმდენი ქართველი უნდა დააპატიმროთ. თან დაუმატა: შენმა ხელმძღვანელობამ ეს არ უნდა გაიგოსო. მტელი ღამე არ მეძინა, არც არავისთვის დამირეკია, გარშემო ყველაფერი ისმინებოდა. მეორე დღეს ვუთხარი, მე გავდივარ ჯგუფიდან, თანაც მიზეზსაც არ დავმაღავ-მეთქი, დავრჩები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს გადავწყვეტთ არა ეროვნულობის მიხედვით, არამედ ჩადენილი დანაშაულის მიხედვით. გრიაზნოვას ეს არ ესიამოვნა, მაგრამ მოსკოვთან რამდენჯერმე საუბრის შემდეგ დამთანხმდა. მოხდა ისე, რომ დაპატიმრებულებს შორის 6 აფხაზი იყო და 2 ქართველი.

გამოძიებისას, ჩემი აზრით, გაირკვა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. ავტობაზის დირექტორთან უშუალოდ გრიაზნოვა მუშაობდა და მისი არყოფნის შემთხვევაში მხოლოდ მე მქონდა მისი დაკითხვის უფლება. აჟიბა იმყოფებოდა უშიშროების კომიტეტის თბილისის საგამოძიებო იზოლატორში. აჟიბაზე განაწყენებულმა ერთ-ერთმა აფხაზმა, გვარად ბარციცმა, მაცნობა, რომ აჟიბა სულაც არ არის აფხაზი, იგი ეროვნებით ჩერქეზია და დაგვანებოს თავიო. ამ ინფორმაციას უყურადღებოდ როგორ დავტოვებდი და როგორც კი მომეცემოდა საშუალება, ვცდილობდი, ყოველივე გამერკვია აჟიბასთან. ერთ ღამეს სახლში მირეკავს საგამოძიებო იზოლატორის უფროსი ტარიელ დალიბაზაშვილი და მთხოვს მისვლას, აჟიბა სასწრაფოდ თხოულობს თქვენთან შეხვედრასო. მაშინვე გავემგზავრე და იზოლატორში შევედი. საუბარი დილაამდე გაგრძელდა. მთელი ღამის საუბრის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მართლაც არ იყო აფხაზი, იყო ჩერქეზი და ომის დროს 5 წლის ჩამოიყვანეს სოხუმში, მშობლების შესახებ არაფერი იცოდა, იქიდან სხვა ბავშვებთან ერთად გუდაუთაში ოჯახებში დაანაწილეს, ფაქტობრივად, ეს ბავშვები აფხაზებზე გააშვილეს. ჩემი პატიმარი აჟიბას ოჯახმა აიყვანა, გაზარდა და გვარიც მისცა.

გავაფორმე ჩვენება, როგორც წესი და მოსკოვიდან ჩამოსულ გრიაზნოვას გავაცანი. მას ეს ინფორმაცია არ ესიამოვნა და რამდენჯერმე დაკითხა აჟიბა. იგი იგივეს ადასტურებდა. დავკითხე აჟიბას გერი ძმა და და, მათაც დაადასტურეს ყველაფერი ეს. ერთი სიტყვით, ეროვნებით არააფხაზი,

ფაქტობრივად, სათავეში ედგა აფხაზების ბუნტს და მოითხოვდა ქართველების შევიწროებას. ეს ამბავი იმდენად მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, რომ ედუარდ შევარდნაძემ, როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, განაცხადა მოსკოვის „მაღალი“ ტრიბუნიდან. მოსკოველებისათვის ეს საკმაოდ დიდი დარტყმა იყო იმ დროისათვის, თუმცა ამან პროცესები მხოლოდ დროებით შეაჩერა. მერე ყველაფერი რით დამთავრდა, ყველასთვის კარგად არის ცნობილი. უბრალოდ მინდა ვთქვა, რომ აუიბასნაირი ბევრი გააფხაზებული აღმოჩნდა და გასაკვირი ის იყო, რომ ყველაზე დიდი აგრესიულობით სწორედ ისინი გამოირჩეოდნენ, ხოლო მოგვიანებით, ომის დროს – დიდი ვერაგობითა და დაუნდობლობით...

1984 წლის ზაფხულში, თუ არ ვცდები აგვისტოს თვე იყო, რუსთაველის გამზირზე არაფორმალებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, იქნებოდნენ დაახლოებით 30-40 კაცი. ამ აქციას ხელმძღვანელობდნენ: გია ჭანტურია, ირინა სარიშვილი, ირაკლი წერეთელი, თამრიკო ჩხეიძე და ზურაბ ჭავჭავაძე. აქციის მონაწილეებმა ჩაუარეს სასტუმრო „თბილისს“, სადაც აივნებიდან უცხოელმა ტურისტებმა ფოტოებზე აღებჭდეს ეს ყველაფერი. რა თქმა უნდა, ტრანსპორტის მოძრაობა რუსთაველის გამზირზე შეფერხდა. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ორი ტრანსპარანტი ქართული და ინგლისური წარწერით „ჩვენ გვინდა სიტყვის თავისუფლება“. დემონსტრანტები პარლამენტის შენობასთან მილიციამ დააკავა და წარმოადგინეს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში. ამ სამმართველოში მე ვმუშაობდი საგამოძიებო განყოფილების უფროსად. შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსად მუშაობდა დავით სალარიძე. შინაგან საქმეთა სამინისტროდან სპეციალურად, ამ საგანგებო ფაქტთან დაკავშირებით, სასწრაფოდ მოვიდა ვარლამ შადური. პირველი, რაც გავაკეთეთ, გავესაუბრეთ ორგანიზატორებს, მე პირადად მომიწია საუბარი გია ჭანტურიასთან. მას წვერი მოშვებული ჰქონდა, ძალიან სიმპათიური, სასიამოვნო ახალგაზრდა გახლდათ, რაც მთავარია საოცრად განათლებული, ერუდირებული და „მოწამლული“ დისიდენტი. არ დამიძალა, რომ ის ვერასოდეს ვერ შეეგუება კომუნისტურ მართველობას და გადაწყვეტილი აქვს თავისი შემდგომი მოღვაწეობა ეკლესიაში გააგრძელოს. აქვე ვიტყვი, რომ გია ჭანტურიას შევხვდი მეორედ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ, მან დეტალებში გაიხსენა ჩვენი პირველი შეხვედრა და საუბარი, ის ჩემზე ნაწყენი არ იყო. ვარლამ შადურთან გავარჩიეთ მომხდარი. დავით სალარიძემ გამიყვანა გვერდზე და მთხოვა: ჯერ მთავარი რამე სამართლებრივად, რომ როგორმე ამ საქმის გამოძიებას თავი დავადვიოთ და ეს პრობლემა მოვიშოროთ. არავითარი სურვილი არ გვქონდა ამ ფაქტის გამოძიების, პირიქით. გავანალიზე რა მომხდარი, ჩავთვალე, რომ მათ მოქმედებაში არ იყო ხულიგნობა (ხულიგნობის საქმეებზე გამოძიებას აწარმოებდა შსს), ამ საქმის გამოძიებას არც ანტისაბჭოთა ავიტაცია-პროპაგანდის მუხლით არ დაუშვებდნენ. ყველაზე რეალური იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მესამე პრიმა მუხლით მომხდარ ფაქტზე მსჯელობა. მუხლი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისათვის, რასაც თან ახლდა ხელისუფლების წარმომადგენლობისათვის დაუმორჩილებლობა და ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება. ამ მსჯელობაში ვართ, რომ დაგვირეკეს: 1 საათში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან ალექსი ინაურთან უნდა შევიკრიბოთ. შევიკრიბეთ მე, დავით სალარიძე, ვარლამ შადური, მინისტრი

გურამ გვეტაძე, გენერალური პროკურორი ანზორ ბარაბაძე, მისი მოადგილე ვახტანგ რაზმაძე, ქალაქის პროკურორი სულიკო ნანიტაშვილი, მისი მოადგილე ვასილ ფოცხვერია, „მასპინძლები“ ალექსი ინაური, თავისი მოადგილეებით და სუკ-ის საგამოძიებო განყოფილების უფროსი ალექსანდრე მირიანაშვილი. ყველა მათგანი, უდავოდ, დიდი გამოცდილებისა იყო და მათ თავიანთ გავლილ გზაზე ღრმა კვალი დატოვეს. მათი შემფასებელი მე ვერ ვიქნები, მაგრამ ზოგიერთებზე ჩემი შეხედულება რომ არ ვთქვა, სწორი არ ვიქნები.

ალექსი უნაური რუსულად ლაპარაკობდა და იკითხა: აბა, ვინ მოგვასხენებს ამ ხულიგნების შესახებო. დავიწყე მოხსენება. ინაურმა რომ დემონსტრანტები ხულიგნებად მოიხსენია, მივხვდი და სწორედ იმით დავიწყე, რომ ისინი ხულიგნები არ არიან-მეთქი. ინაურმა პირდაპირ მომახალა: ბოდიში ხომ არ უნდა მოვუხადოთო. დავიწყე მათი ქმედებების შეფასება და ვთქვი, რომ თუ რაიმე დანაშაულზე შეიძლება საუბარი, მხოლოდ 206-ე მესამე პრიმით გათვალისწინებულზე-მეთქი. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. ალექსანდრე მირიანაშვილმა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლის ძებნა, ვერ ნახა. სამწუხაროდ, მე კოდექსი თან არ მქონდა. მირიანაშვილი მეუბნება: ჯემალ, საიდან მოიტანე, ასეთი მუხლი კოდექსში არ არისო. აველდი, ცოტა დავიბენი, ამას დაემატა ინაურის არცთუ დაუფარავი საყვედური: ეს ახალგაზრდა ყველაფერთან ერთად კანონებსაც გვასწავლისო. დამსწრეთა შორის ატყდა გარჩევა-გამორჩევა. სალარიძე მეუბნება: ჯემალ, მართლა თუ რამე შეგვეშალა იცოდე ორივეს დაგვიჭერენო. მალე მოვეგე გონს და შევამჩნიე, რომ ალექსანდრე მირიანაშვილს ძველი რედაქციის კოდექსი ეკავა ხელში, 1970 წლის გამოცემა. ეს მუხლი კი კოდექსში დამატებით შევიდა 1978 წელს. ბატონ ალექსანდრეს, რომელსაც ძალიან დიდ პატივს ვცემდი, ჩუმად ვუთხარი ამის შესახებ. ის გავიდა, მალევე დაბრუნდა ახალი კოდექსით და ეს მუხლიც „ვიპოვეთ“. მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. ჩემი პოზიციები უფრო რადიკალურად დავაფიქსირე, ისლა დამრჩენოდა მეთქვა, რომ 206-ე მესამე პრიმით გათვალისწინებულ დანაშაულზე გამოძიებას ატარებს პროკურატურის ორგანოები და არა შინაგან საქმეთა სამინისტრო-მეთქი. მიზანი მიღწეულ იქნა. მასალები იმავე ღამესვე გადავეცით ქალაქ თბილისის პროკურატურას. ასე დამთავრდა ჩემი და ჩემი კოლეგების არცთუ სასიამოვნო შეხვედრა ინაურთან.

## ჩვენი მილოცვები

ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს დაარსებიდან 20 წლის იუბილეს და უსურვებს კვლავაც მრავალი ხანი ემსახუროს ქვეყნის განათლების და ახალგაზრდა თაობის აღზრდის სამსახურში. ამასთანავე ულოცავს უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **მამუკა თავხელიძეს** 2012 წლის რექტორად დასახელებას და ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვებას.

2012 წლის 5 მაისს საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილებით აკადემიის პრეზიდენტად ერთხმად არჩეულ იქნა ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მამუკა თავხელიძე**. ხოლო ვიცე-პრეზიდენტად, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი, ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს მთავარი რედაქტორი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია კოლეგებს უსურვებს წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

### იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ოთარ გამყრელიძეს

ბატონო ოთარ, თანამედროვე ქართული სამართლის სკოლის ბერძენი გილოცავთ დაბადების 80 წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას თქვენი ოჯახისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მიუხედავად საზოგადოების მხრიდან აღიარებისა ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ სათანადოთ არ არის დაფასებული თქვენი ღვაწლი, ამ უკმარისობის გრძნობას თქვენდამი გამორჩეული პატივისცემა გვიღვივებს. საქართველო მუდამ ამაყობდა ფართო მასშტაბის მქონე პიროვნებებით, მათ შორის თქვენ განსაკუთრებული ადგილი გიკავიათ. ამიტომაც ქედს ვიხრით თქვენი პიროვნების წინაშე.

ბატონო ოთარ, ნამდვილად შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი განვლილი ცხოვრებით, გაკეთებული საქმეებით, აღზრდილი თაობებით. ბედნიერია ერი, ვისაც თქვენებრ მამულიშვილი ყავს.

თქვენ ბრძანდებით სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიის და, ზოგადად, თანამედროვე სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. დემოკრატიის მშენებარე ქვეყნისთვის, სამართლის დამკვიდრება თანმდევია პროცესია და ვის თუ არა თქვენ, სამართლიან, პრინციპულ მეცნიერს უნდა გეტვირთათ ეს.

გვჯერა კვლავაც წარმატებული იქნება თქვენი საზოგადოებრივი, სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა.

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის სახელით:**

უნივერსიტეტის რექტორი  
პროფესორი

ცენტრის ხელმძღვანელი  
პროფესორი

**მამუკა თავხელიძე**

14 მარტი 2013 წელი

**მალხაზ ბაძაღუა**



## საქართველოს პარლამენტის თავჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს

ბატონო დავით,

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა თაობის მეცნიერ-პრაქტიკოს იურისტებს, მიესალმება პოლიტიკურ ცვლილებას და გულთადად გილოცავთ საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე თქვენდამი ნდობის გამოცხადებას, გისურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამსახურებრივ საქმიანობაში.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ქვეყანაში მოშლილია დანაშაულობის მეცნიერული კვლევისა და პროგნოზირების სისტემა. აღსადგენია თანამშრომლობის კავშირი საზოგადოებას, აკადემიური წრეებს, არასამთავრობო სექტორს და ხელისუფლებას შორის.

ვიმედოვნებთ, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ნების გათვალისწინებით, თქვენი პირადი მხარდაჭერით თანამშრომლობა პერსპექტიული და საქმიანი იქნება. აღნიშნულის შემთხვევაში ჩვენ საზოგადოების წარმომადგენლები, სამართლის დარგის მეცნიერები და პრაქტიკოსები, მზადყოფნას გამოვთქვამთ ნებისმიერი ფორმით ურთიერთთანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

**მალხაზ ბაძაღუა**

ცენტრის ხელმძღვანელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი,

30 ნოემბერი 2012 წელი

## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა თაობის მეცნიერ-პრაქტიკოს იურისტებს, მიესალმება პოლიტიკურ ცვლილებას და გულითადად გილოცავთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე თქვენდამი ნდობის გამოცხადებას, გისურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამსახურებრივ საქმიანობაში.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ქვეყანაში მოშლილია დანაშაულობის მეცნიერული კვლევისა და პროგნოზირების სისტემა. აღსადგენია თანამშრომლობის კავშირი საზოგადოებას აკადემიურ წრეებს, არასამთავრობო სექტორს და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის.

მაგალითისთვის საკმარისია ათეული წლების განმავლობაში ამ პროფილის ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან სისტემის ურთიერთობა, რომელიც ა.შ.შ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროკავშირის, „ღია საზოგადოება-საქართველოს“ და სხვათა მხარდაჭერით ანხორციელებს რიგ კრიმინოლოგიურ კვლევებს დანაშაულობის ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე და მიზნად აქვს დასახული დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების შესწავლა-ანალიზი და მისი თავიდან აცილების მექანიზმების ძიება.

ამასთანავე ცენტრი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან ერთობლივად გამოსცემს ყოფილ საბჭოთა სივრცეში ერთადერთ სამეცნიერო პრაქტიკულ ჟურნალს „კრიმინოლოგი“. მიუხედავად არაერთი მცდელობისა ცენტრი ცალმხრივად თანამშრომლობდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

პრობლემები მრავლადაა, ყურადღებას მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ თქვენთვის უკვე აღბათ ცნობილ საკითხზე მივაპყრობთ.

ვიმედოვნებთ, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ნების გათვალისწინებით, თქვენი პირადი მხარდაჭერით თანამშრომლობა პერსპექტიული და საქმიანი იქნება. აღნიშნულის შემთხვევაში ჩვენ საზოგადოების წარმომადგენლები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები, სამართლის დარგის მეცნიერები, მზადყოფნას გამოვთქვამთ ნებისმიერი ფორმით ურთიერთთანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

**მალხაზ ბაძაღვა**

ცენტრის ხელმძღვანელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი,

30 ნოემბერი 2012 წელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას

ბატონო ვლადიმერ,

ჩემი და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის, ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს სახელით, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა თაობის მეცნიერ-პრაქტიკოს იურისტებს გულითადად გილოცავთ ქვეყნის უპირველესი უმაღლესი სასწავლებლის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე თქვენს არჩევას, გისურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამსაუბრებო საქმიანობაში, მით უფრო, რომ თქვენ ბრძანდებით ცენტრის მიერ 2002-2003 წლებში განხორციელებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტის „ანტიკორუფციული მოძრაობა“ აქტიური მონაწილე და გამოცემული კრებული თანაავტორი.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ქვეყანაში მოშლილია დანაშაულობის მეცნიერული კვლევისა და პროგნოზირების სისტემა. აღსადგენია თანამშრომლობის კავშირი საზოგადოებას, აკადემიურ წრეებს, არასამთავრობო სექტორსა და ხელისუფლებას შორის.

ვიმედოვნებთ, რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით თქვენი ხედვის გათვალისწინებით და პირადი მხარდაჭერით თანამშრომლობა პერსპექტიული და საქმიანი იქნება.

აღნიშნულის შემთხვევაში ჩვენ საზოგადოების წარმომადგენლები, სამართლის დარგის მეცნიერები და პრაქტიკოსები, მზადყოფნას გამოვთქვავთ ნებისმიერი ფორმით ურთიერთთანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

**მალხაზ ბაძაღუა**

ცენტრის ხელმძღვანელი, ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს მთავარი  
რედაქტორი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

27 აგვისტო 2013 წელი

2012 წლის მაისში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერიის ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის სადისერტაციო საბჭოზე მოხდა დისერტანტ **ია დადუნაშვილის** დისერტაციის დაცვა თემაზე „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის/დაზარალებულის ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე და სამართლიანი სასამართლოს უფლება“.

2012 წლის ივნისში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის და სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე მოხდა დოქტორანტ **სოფიო ასანიძის** დისერტაციის დაცვა თემაზე „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) კრიმინოლოგიური დახასიათება“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: - **მაღნაზ ბაძაღვა**, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი. ოფიციალური ოპონენტები: - **ჯემალ გახოკიძე**, სამართალმცოდნეობისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი; **თამარ ებრაღიძე**, სამართლის დოქტორი, პროფესორი, თინათინ წერეთლის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; **თემურ ბერიძე**, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი, ჟურნალ „კრიმინოლოგი“-ს სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტების აქტიურ მონაწილეს **ია დადუნაშვილს** და ცენტრის წევრს **სოფიო ასანიძეს** დისერტაციების დაცვას და სამართალმცოდნეობის დოქტორის აკადემური ხარისხის მოპოვებას.

**დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში  
2003-2013 წლები  
(განვითარების ეტაპები და ქრონოლოგია)**

**შესავალი**

გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს დეტალურ ინფორმაციას ყველა საგამომიებო უწყების სისხლის სამართლის ერთიანი სტატისტიკური ანგარიშგების, მისი განვითარების ეტაპების, მონაცემთა შეგროვების ტაქტიკური ხერხებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ. დანაშაულის სტატისტიკა, ძირითადი და დამატებითი პრიორიტეტული პარამეტრების საფუძველზე, კონსოლიდირებულ რაპორტში აისახება დანაშაულის კლასიფიკაციის სტანდარტული სქემის შესაბამისად და მათ შორის ცალკე აღირიცხება ყველაზე მეტად გავრცელებული და საზოგადოებრივად რელევანტური დანაშაულები. ასეთი ტიპის ანგარიში ფარავს სისხლის სამართლის პროცესის დიდ ნაწილს, დანაშაულის ჩადენის მომენტიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე, გარდა სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის, მსჯავრდებულის გათავისუფლების და საზოგადოებაში რეინტეგრაციის კომპონენტებისა. მისთვის სააღრიცხვო ერთეულს წარმოადგენს რაოდენობრივი და ტიპოლოგიური მაჩვენებლები „რეგისტრირებული დანაშაულის ფაქტის“ შესახებ, აგრეთვე, მასთან გარკვეულ კომბინაციაში - „დანაშაულის ჩამდენი პირი“.

ამასთან, წინსწრებით შევნიშნავთ და ქვემოთ დეტალურად განვმარტავთ მიზეზთა იმ ერთობლიობას, რომელთა გამოც, კატეგორიულად მიზანშეუწონელია კრიმინალური სიტუაციის გაუარესება-გაუმჯობესების დინამიკის პირდაპირი შეფასება მხოლოდ სხვადასხვა მეთოდოლოგიით გაანგარიშებული რაოდენობრივი მონაცემების ურთიერთშედარების საფუძველზე.

სისხლის სამართლის სტატისტიკისათვის აუცილებელი მონაცემების შეგროვება-სისტემატიზაცია 2011 წლის ბოლომდე ხორციელდებოდა სააღრიცხვო სტატისტიკური ფორმების მეშვეობით. აღნიშნული პერიოდი პირობითად ორ ნაწილად უნდა დაიყოს, კერძოდ:

ა) 2005 წლამდე პერიოდი – როდესაც მოქმედებდა ადრინდელი (ე.წ. „საბჭოური“) სახის 4 სხვადასხვა სააღრიცხვო ფორმა;

ბ) 2005 – 2011წწ. - განხორციელდა პროცესუალური მოქმედებების ამსახველი შესაბამისი სააღრიცხვო ფორმების დანაწევრება-დეტალიზაცია, რის შედეგადაც მათი რაოდენობა გაიზარდა 13-მდე.

გასათვალისწინებელია, ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრირების გაუმჯობესების ხარჯზე დიდწილად აღმოიფხვრა 2003 წლამდე ფართოდ გავრცელებული დანაშაულის დამალვის პრაქტიკა, რაც იძლეოდა მთელი რიგი ინსენუაციებისა და სპეკულაციების საშუალებას, შედეგად, სტატისტიკურ აღრიცხვიანობაში უმეტესად ხვდებოდა მხოლოდ ის დანაშაულები, რომელთა გარანტირებული გახსნის შესახებაც წინასწარვე იყო ცნობილი. აღნიშნული გარემოებიდან მომდინარეობს დანაშაულის გახსნის იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებლებიც. ამასთანავე, როგორც წესი, სწორედ ასეთი ტიპის კრიმინალური შემთხვევები უქდებოდა და ვრცელდებოდა მედია საშუალებებით.

მითითებული პერიოდის შემდგომ, მონაცემთა შეგროვების მეთოდისა და ტაქტიკური ხერხების დახვეწა-განვითარების პარალელურად, მიუხედავად კრიმინოგენული ვითარების გაუმჯობესებისა, ციფრობრივ გამოსახულებაში რაოდენობრივი მაჩვენებლები 2006 წლის ჩათვლით განუწყვეტლად უარესდებოდა, თუმცა, დროთა განმავლობაში, ლატენტურობის ხარისხის კლებიდან გამომდინარე, რეალური კრიმინალური სიტუაციის პოზიტიური დინამიკა და სტატისტიკური მონაცემები თანხვედრაში მოვიდა 2007 წლიდან.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დასახელებულ სქემასაც გააჩნდა მთელი რიგი ხარვეზებისა, მაგალითად:

**ა) სისრულე** – ყველა საპროცესო მოქმედების შესაბამისი ბარათი ან არ ივსებოდა, ან ივსებოდა, მაგრამ დაუდევრობის, საფოსტო კავშირის გაუმართაობის თუ სხვა ორგანიზაციული პრობლემის გამო არ ივსავებოდა სააღრიცხვო დანაყოფში;

**ბ) სიზუსტე** – გამომდინარე რიგი ფაქტორებიდან (მაგ: ფორმების საკმაოდ რთული ბუნების გამო რამდენიმე სააღრიცხვო ფორმას შორის ზღვარი ცალსახად არ იმიჯნებოდა და მათი შევსების ვალიდაციის სათანადო ხარისხი ვერ მიიღწეოდა; ტერიტორიული ქვემდებარეობის მიხედვით მიკუთვნების, გადაცემული ან გაერთიანებული საქმეების ამა თუ იმ დანაყოფისადმი მითვლის და ა.შ. წესები ერთგვაროვანი არ იყო და სხვა) მონაცემთა კორექტულობის უზრუნველყოფა ყველა შემთხვევაშივერ ხერხდებოდა;

**გ) ოპერატიულობა და დროულობა** – მიუხედავად ბრძანებით განსაზღვრული 72 საათიანი ვადისა, როგორც წესი, ფორმების უმრავლესობა საინფორმაციო ცენტრში ივსავებოდა მიმდინარე სააღრიცხვო პერიოდის დასასრულს ან მისი ვადის გასვლის შემდგომ, რაც ობიექტურად, ხოლო რიგ შემთხვევებში გამიზნულად იძლეოდა დანაშაულის ამა თუ იმ საანგარიშო პერიოდისადმი მიკუთვნებით მანიპულირების შესაძლებლობას;

**დ) სუბიექტივიზმი** (იმ დროისათვის არსებული აღრიცხვა-გაანგარიშების მექანიზმები და პროცედურები იძლეოდა დანაშაული/გახსნის პროცენტით ამა თუ იმ დანაყოფის სასარგებლოდ ლავირების საშუალებას)...

- მთლიანობაში კი, დასახელებული და სხვა მიზეზების ერთობლიობა გარკვეული ხარისხით ამახინჯებდა რეალურად არსებულ სურათს.
- პარალელურად, 2011 წლის განმავლობაში, იუსტიციის სამინისტროს კოორდინირებით ინერგებოდა სისხლის ელექტრონული სამართალწარმოების პროექტის (crimecase) საპილოტო ვერსია, რომელიც ექსპლუატაციაში სრულფასოვნად შევიდა 2012 წლის პირველი იანვრიდან, თუმცა, შესაბამისი სტატისტიკური მოდული იმ მომენტისათვის სრულად არ იყო ამოქმედებული და მისი გამოყენებით ძიება შესაძლებელი იყო მხოლოდ ცალკეული პარამეტრების მიხედვით, რომელთა მეშვეობითაც შსს სტანდარტული სისხლისსამართლებრივი კონსოლიდირებული სტატისტიკური ფორმის დათვლა-დაანგარიშება ვერ ხერხდებოდა.
- ვინაიდან, იმავე პერიოდში შეწყდა სააღრიცხვო ფორმების შევსება და საინფორმაციო ცენტრში გამოგზავნა, იმისათვის რათა სტატისტიკის წარმოება გაგრძელებულიყო, ჩვენს მიერ იუსტიციის სამინისტროდან ელექტრონული სახით სინქრონიზებულ იქნა ამისათვის აუცილებელი რიგი მონაცემები, თუმცა, რადგანაც სრულყოფილი სტატისტიკური

დათვლისათვის საჭირო ყველა სტატუსი მოქმედ პროგრამულ უზრუნველყოფაში გათვალისწინებული თავიდანვე არ ყოფილა (მაგ: კვალიფიკაციის შეცვლა, საქმის გაერთიანება და ა.შ.), შესაბამისად, საინფორმაციო ცენტრის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, რომელთა შესწორებაც FEEDBACK-ების („უკუკავშირის“ სისტემის) მეშვეობით ხორციელდებოდა დანაყოფებიდან მოწოდებული შენიშვნების საფუძველზე.

- მიუხედავად ამისა, იუსტიციის სამინისტროდან მიღებული საბაზისო მონაცემების არასრულყოფილების გამო (მაგ: საქმეში ახალი მუხლის გაჩენისას შეუძლებელი იყო გამიჯვნა, ხდებოდა ახლად გამოვლენილი დანაშაულის დამატება თუ ძველი კვალიფიკაციის შეცვლა), კორექტულობის შესაბამისი ხარისხის მიღწევა ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე, ძველი სახით სტატისტიკის წარმოების პარალელურად ჩვენს მიერ დასმულ იქნა ამოცანა ახალი კონსოლიდირებული სტატისტიკური ფორმის შექმნის შესახებ, რომლის ტექნიკური რეალიზებაც განხორციელდა იუსტიციის სამინისტროს მიერ.

ამასთან, თვისობრივად თავიდან გადამუშავდა მეთოდოლოგია და გაანგარიშების ძირითადი პრინციპები. თუმცადა, რჩება ზოგიერთი ტიპის არაორდინალური საკითხი, რომელთა ცალსახა რეგლამენტაციაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით არაა რეგულირებული (მაგ: საქმის გადაგზავნა რაიმე სახის პროცესუალური დოკუმენტით არ ფორმდება, საქმის გამოყოფის შემთხვევათა საფუძვლების ამომწურავი ჩამონათვალი დადგენილი არ არის (პირის მიმართ, ფაქტის მიმართ თუ შერეული წესით) და ა.შ.)

- შესაბამისად, ყველა გამონაკლისი შემთხვევისათვის, სათანადო პროცედურა და სტატუსი CRIMECASE-ში აპრიორი გათვალისწინებული ვერ იქნებოდა. აქედან გამომდინარე, სტატისტიკისათვის აუცილებელი პროცესუალური მოქმედებების დაფიქსირების მიზნით, შემოღებულია რიგი პირობითი პარამეტრებისა და იმავდროულად, ხარვეზის გამოვლენის პარალელურად, პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციონალსა და ალგორითმის ლოგიკაში, ხორციელდება შესაბამისი ტიპის ცვლილებები და კორექცია.
- გარდა ამისა, არც თუ იშვიათია საგამოძიებო ორგანოების მიერ პროგრამის არასწორად გამოყენების ფაქტები (მაგ: ბრალის დადგენილებით ნაწილში მუხლის დაფიქსირების შემდეგ პროგრამის შესაბამისი ველიდან მისი წაშლა და ა.შ.), რის აღმოსაფხვრელადაც იუსტიციის სამინისტროს მიერ, ჩვენი თხოვნით, შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, რომელიც დაეგზავნა როგორც პროკურატურის სათანადო ორგანოებს, ასევე შსს საინფორმაციო პორტალის (WWW.POL.GE/ICMIA) მეშვეობით ეცნობა შს სამინისტროს შესაბამის დანაყოფებს.
- ამასთან ერთად, გასათვალისწინებელი და ყურადსაღებია, რომ სხვადასხვა მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ერთგვაროვანი საანგარიშო პერიოდების მონაცემთა პირდაპირი ურთიერთშედარება თეორიულად მიზანშეწონილი არ არის და გარკვეულ ფარგლებში ყოველთვის ამახინჯებს სურათს მატება-კლების დინამიკისა და ტენდენციების შესახებ.

- მეტი თვალსაჩინოებისათვის, ხსენებულ კონტექსტში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ტიპური შემთხვევა, კერძოდ:
  - ა) წარმოებით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეები, მიუხედავად შეწყვეტის საფუძვლისა, ადრინდელი ტიპის სტატისტიკურ რაპორტში არ აისახებოდა.
  - ბ) საქმის გახსნილად გამოცხადების ერთადერთ საფუძველს ბრალის წარდგენის შესახებ დადგენილება წარმოადგენდა, თუმცა, იმ დროისათვის მოქმედ სააღრიცხვო სისტემას არ გააჩნდა ბრალის კომპონენტის გარეშე საქმის გახსნილად ჩათვლის მექანიზმი, ამიტომ, რათა არ მომხდარიყო გაუხსნელი საქმეების რიცხვის გაუმართლებელი გაზრდა, ასეთი დანაშაულების ერთიანი კონსოლიდირებული რაპორტის ფორმაში გათვალისწინება საერთოდ არ ხორციელდებოდა.
- დღეის მდგომარეობით, ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაზე გადასვლამ მოგვცა აღნიშნული მეთოდოლოგიური ხარვეზის გამოსწორების საშუალება, შესაბამისად, ნებისმიერი ისეთი საფუძვლით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დანაშაულს არ გამოიცხადებს (პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, განრიდება, მედიაცია, ქმედითი მონაწილეობა, ბრალის არარსებობა...), მიმდინარე კონსოლიდირებული სტატისტიკური ანგარიშისათვის უკვე წარმოადგენს სააღრიცხვო ობიექტს. ასეთმა მიდგომამ, ერთის მხრივ ცხადია გამოიწვია საანგარიშო ფორმებში ასახული დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებლების მატება, თუმცა, მეორეს მხრივ უზრუნველყო აღრიცხვიანობის სისრულე და სიზუსტე და მაქსიმალურად დაუახლოვა რეალობას.
- ამდენად, ამ ეტაპზე საქართველოში უკვე სრულფასოვნად ფუნქციონირებს სისხლის სამართალწარმოების ერთიანი ელექტრონული სისტემა (CRIMECASE), რომლის განვითარების დონე იძლევა მონაცემთა ვიზუალიზაციის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი დახვეწა-გაუმჯობესების შესაძლებლობას. აღნიშნული მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის ზოგადი პოლიტიკის შემუშავებისა და წარმართვის კუთხით ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი სწორედ სხვადასხვა სახის კრიმინოლოგიური კვლევებია, რომლებიც იძლევიან მრავალი ნიშნით სორტირებულ სტატისტიკურ მახასიათებლებს არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის შესახებ, რაც თავის მხრივ აუცილებელი მდგენელია როგორც დანაშაულთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგიის, ასევე ცალკეული კატეგორიის სამართალდარღვევათა წინააღმდეგ მაქსიმალურად ეფექტური ტაქტიკური ხერხების განსაზღვრისა და წარმოებისათვის.
- როგორც წესი, განასხვავებენ მონაცემთა ასახვის 3 ძირითად ფორმას – ტექსტური რაპორტი, ცხრილის სახით ან სქემატურ-გრაფიკული. ამასთან, ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შეუქცევადად ვითარდება, ბოლო პერიოდში სულ უფრო ფართო გამოყენება სწორედ მე-3 მეთოდმა ჰპოვა, რომელიც ციფრების სახით სისტემატიზირებული მონაცემების თვალსაჩინოდ, ინტუიტიურ დონეზე აღქმის შესაძლებლობას იძლევა.
- აღნიშნულ კონტექსტში, დიდი პოპულარობით სარგებლობენ სისხლის სამართლის სტატისტიკისა და კრიმინალური სიტუაციის ამსახველი



ინტერაქტიული რუკები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სახის მონაცემთა რეალურ დროში გენერირების შესაძლებლობა. დღევანდელი მდგომარეობით, მათი ინტენსიური გამოყენების პრაქტიკა აპრობირებულია როგორც წამყვან დასავლეთ-ევროპულ ქვეყნებში, ასევე ამერიკის კონტინენტის რიგ სახელმწიფოებში (აშშ, კანადა, მექსიკა...).

- ასეთი ტიპის რუკების დიდი უპირატესობაა მათი მოხერხებულობა, ვინაიდან იძლევიან, როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე კონკრეტული რეგიონის მასშტაბით ყველა კატეგორიის დანაშაულის (ერთად ან/და ცალ-ცალკე), მათი მატება-კლების, გახსნის პროცენტულობის, სეზონური რხევების დინამიკის, ე.წ. „კრიმინოლოგიური დანაშაულების ზონების“ და სხვა მტელი რიგი ფაქტორების ნათლად ილუსტრირების შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ დანაშაულთან ბრძოლის დაგეგმარების, არსებული მატერიალური თუ ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გადანაწილებისა და დანაშაულის ზოგადი პრევენციის ერთ-ერთისა უკეთესო მეთოდოლოგიური ინსტრუმენტია.
- აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართალწარმოების ერთიანი ელექტრონული სისტემის (CRIMECASE) განვითარების მეორე ეტაპად უკვე მოაზრებული და დაგეგმილია ზემოაღწერილი ინტერაქტიული ტიპის კრიმინოლოგიური რუკის შექმნა, რისი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის სამუშაოებიც იუსტიციის სამინისტროს სათანადო დანაყოფის მიერ უკვე განხორციელებულია, ხოლო პროექტის პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყება შსს საგამოძიებო ორგანოების GPS პოზიციონირების მოწყობილობებით აღჭურვისთანავე.
- პროექტის საპილოტო ფაზის დასრულებისთანავე მიზანშეწონილი იქნება საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელი სახელმწიფო უწყებების ყველა დანაყოფის აღნიშნულ სისტემაში ინტეგრირება, რისი საბოლოო მიზანიცაა ქვეყნის მასშტაბით ერთიანი და ეფექტური სისხლის სამართლის სტატისტიკური აღრიცხვიანობის უზრუნველყოფა.

ამრიგად, კიდევ ერთხელ ავლნიშნავთ, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით, ახალი ერთიანი სააღრიცხვო სტატისტიკური მოდულისა და სისხლის სამართალწარმოების ელექტრონული სისტემების მეშვეობით მინიმუმამდეა დაყვანილი დანაშაულის ლატენტურობის ხარისხი, ხოლო სტატისტიკურ ანგარიშებებში ასახული ინფორმაცია კომპილირდება და სისტემატიზირდება თვისობრივად გადამუშავებული მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოყენებით, რაც თავის მხრივ, ინფორმაციის მაქსიმალური სისრულიდან და სიზუსტიდან გამომდინარე, ზრდის რეგისტრირებული დანაშაულის საერთო რაოდენობას. მაგალითისათვის, მხოლოდ შეწყვეტილი, ანუ იმ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში, რომელიც ადრინდელ ანგარიშში არ ხვდებოდა, ხოლო მიმდინარე რაპორტში უკვე აღრიცხება, საშუალოდ, რეგისტრირებული მონაცემის 5-6%-ს წარმოადგენს და შესაბამისად, ამ თანაფარდობით ზრდის კიდევ დანაშაულის რიცხვს. აქედან გამომდინარე, მხედველობაში განსაკუთრებულად მისაღებია, რომ სხვადასხვა მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ერთგვაროვანი საანგარიშო პერიოდების მონაცემთა პირდაპირი ურთიერთშედარება თეორიულად მიზანშეწონილი არ არის და არსებული ტენდენციების და დინამიკის ცალსახა ინდიკაციას ვერ იძლევა.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,  
საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი**

### ტექნიკური რედაქტირება:

იოსებ წიკლაური  
შორენა ხაინდრავა  
თამარ ცისკარიშვილი  
თამარ მაისურაძე - თარგმნა რუსულ ენაზე  
შორენა შეყლაშვილი - თარგმნა ინგლისურ ენაზე

### Technical editors:

Ioseb Tsiklauri  
Shorena Khaindrava  
Tamar Tsiskarishvili  
Tamar Maisuradze – Russian translation  
Shorena Sheklashvili - English translation

**გრეგოლ რობაკიძის სახელობის უნივერსიტეტი**  
საქართველო, თბილისი, 0160, ჯანო ბაგრატიონის 6.  
ტელ: (995 322) 384 406, 382 706  
ფაქსი: (995 322) 384 406  
ელ. ფოსტა: [info@gruni.edu.ge](mailto:info@gruni.edu.ge)

### **Grigol Robakidze University**

6, Jano Bagrationi Street  
Tbilisi, 0160, Georgia  
Tel: (995 322) 384 406, 382 706  
Fax: (995 322) 384 406  
E-mail: [info@gruni.edu.ge](mailto:info@gruni.edu.ge)